გამოიცემა 1934 წლიდან

№230 (12 605) 1 ოქტომბერი ოთხშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
14

# დღეს ქართული ლიგაც გვექნება

## სიურპრიზები სამი საათიდან




წინა სეზონის ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯიას ნაპერწკლები არ აკლდა

3-4

## ბატემ იუვენტუსი ზოლებიან ბატებს დაამსგავსა




ჩემპიონთა ლიგა. ტექნიკური შედეგები 15

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — IV ტური

## რომელია საქართველოს პირველი კურორტი: ბორჯომი თუ გაგრა?

**ბორჯომი-გაგრა**

**3:2**

30.09. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
200 მაყურებელი

1:0 პ. ხორგუაშვილი (1. ბეჟანიძის პასით), 2:0 ი. კიკნაძე (5), 2:1 დათუნაშვილი (23. გაბედავას პასით), 3:1 კიკნაძე (57. ბეჟანიძის პასით), 3:2 ფილია (73. გაბედავას პასით).

ბორჯომი: შეყრილაძე, ვაჩიბერიძე, ლაცაბიძე, ქარქუზაშვილი, პ. ხორგუაშვილი, ვ. ხორგუაშვილი, ვაშაკიძე, ბეჟანიძე (58. ავალიანი), ნოზაძე (79. ქავთარაძე), ალავერდაშვილი (70. ბაქრაძე), კიკნაძე.

*სათადარიგოები: ჯინჭარაძე, ხულორდავა, გოგიჩაიშვილი, ლომიძე.*

გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია (86. ხოკერაშვილი), გიგაური, მგელაძე, გაბუნია, ჩარგეიშვილი, ტყეშელაშვილი, გაბედავა, დათუნაშვილი (89. სეთურიძე), შარიქაძე (72. ფილია), მეტრეველი.

*სათადარიგოები: კოტრიკაძე, კვანტალიანი, ლალიანი.*

გაფრთხილება: მგელაძე (45), ვაშაკიძე (45), ლაცაბიძე (74)

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

კიდევ ერთი ყოფილი ბორჯომელი იხილა მაყურებელმა ჯემალ ზეინკლიშვილის სახელობის სტადიონზე. ესაა „გაგრის" მწვრთნელი **ვლადიმერ ხაჩიძე**, რომელმაც სამი სეზონი გაატარა აქ და დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა ბორჯომელ ფეხბურთელთა და გულშემატკივართა შორის. მართლაც რომ ხელებდაკაპიწებულმა იშრომა, რადგან ყოველ ნახევარ სეზონში ფაქტობრივად ახალი გუნდს ქმნიდა!

...თამაში სრულიად არაპროგნოზირებულად დაიწყო. ხოლოდ ხუთი წუთი იყო გასული, რომ ანგარიში 2:0 გახდა! არავინ ამას არ ელოდა. მსაჯმა მისცა თუ არა ნიშანი, **ბეჟანიძე** გაიჭრა ფლანგზე, ჩააწოდა მეტოქის საჯარიმო მოედანში და **ხორგუაშვილმა** ანგარიში გახსნა 1:0. სტუმრებმა ვერც კი მოასწრეს გონს მოსვლა, რომ მოედნის ცენტრში ბურთი მიიღო **ირაკლი კიკნაძემ**, გაემართა კარისკენ, გზაში ინდივიდუალურად მოატყუა ორი გაგრელი, მეკარეც და ანგარიში გახადა 2:0!

ამგვარი დასაწყისი წელში გატეხავდა ნებისმიერ გუნდს, მაგრამ გაგრელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შოკმა გასტანა სულ რაღაც 3-4 წუთს. მერე მათ ძალები მოიკრიბეს და გადავიდნენ შეტევაზე, რაც თამაშის ბოლომდე არ შეუნელებიათ. არც ბორჯომელები ჩამჯდარან ყრუ დაცვაში, გაჩაღდა უშელავათო ბრძოლა. ბორჯომელები ალბათ ფიქრობდნენ, სატურნირო მდგომარეობა არასახარბიელო გვაქვს, თუ დებიუტანტს ვერ მოვუგეთ, სხვასთან ვისთან უნდა ავიღოთ ქულებიო. გაგრელებს სტიმულს კი ის აძლევდა, თვით თბილისის „დინამო" დავამარცხეთ და ასეთ მძიმე ფინანსური მდგომარეობაში მყოფ გუნდთან როგორ უნდა წავაგოთო.

დებიუტმა გაიარა და თანდათან გაირკვა გუნდების ტაქტიკა - „გაგრა" დიდი ძალებით უტევდა, „ბორჯომი" საკუთარ ნახევარზე პრესინგს თამაშობდა და მძაფრ, უაღრესად საშიშ კონტრიერიშებს ახორციელებდა.

თუკი ერთ დროს (70-80-ანი წლები) ეს ორი ცნობილი კურორტი დამაინტრიგებელ კითხვას უსვამდა დამსვენებლებს, სად წასულიყვნენ, ბორჯომსა თუ გაგრაში, ამჟამად ეს კითხვა იმან შეცვალა, თუ რომელი კურორტის გუნდი აჯობებდა.

მცირე ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად საგოლე მომენტები დაახლოებით თანაბარი იყო. წინა თამაშებისაგან განსხვავებით ბორჯომელებს ვერ იცნობდით. საკვირველია ფაქტობრივად შეკრებაგაუვლელმა გუნდმა როგორ გაუძლო 90 წუთი ამგვარ ტემპს. ასე რომ ეთამაშათ წინა მატჩები, სატურნირო ცხრილში სულ სხვაგვარად ექნებოდათ საქმე. ბორჯომელთაგან უნდა გამოვყოთ მარცხენა ნახევარმცველელი **ლაშა ვაშაკიძე**, რომელიც ნახევარდაცვაშიც იყო, დაცვაშიც, თავდამსხმელებს მშვენიერი პასებითაც ამარაგებდა და დიდებულად ასრულებდა საჯარიმო დარტყმებს. ერთი სიტყვით, გუნდის დირიჟორად და ლიდერად წარმოგვიდგა. ასევე უნდა აღვნიშნოთ „ბორჯომის" თავდამსხმელი 21 წლის ირაკლი კიკნაძე. სპეციალისტებმა, ალბათ, ყურადღება უნდა მიაქციონ შესანიშნავი მონაცემების ამ ფეხბურთელს. მატჩი იმითაც იყო ნიშანდობლივი, რომ „ბორჯომის" მთავარი მწვრთნელი **გიორგი სუხიაშვილი** ვოვა ხაჩიძის აღზრდილია - მის დროს გუნდში მეორე მწვრთნელად ჰყავდა და ვოვას „გაგრაში" წასვლის შემდეგ დაიკავა მისი ადგილი. უნდა ითქვას რომ შეგირდმა ნამდვილად არ შეარცხვინა ოსტატი.

სახიფათო მომენტი უხვად იყო ამ მატჩში. პირველი ტაიმის შუა ნაწილიდან „გაგრა" გააფთრებით უტევდა. 29-ე წუთზე **გაბედავა** გადავიდა მეტოქის ნახევარზე, გზაში მოატყუა ორი ბორჯომელი და ბურთი გადააწოდა საჯარიმო მოედანში მყოფ **დათუნაშვილს**, რომელმაც 10 მეტრიდან მეკარე „დალურსმა" 1:2. გოლმა ფრთები შეასხა სტუმრებს, თუმცა ბორჯომელებმა 33-ე წუთზე კვლავ შექმნეს სახიფათო მომენტი მეტოქის კართან. მერე, 57-ე წუთზე, ბეჟანიძემ მოზომილი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა კიკნაძე - 3:1.

ვიფიქრეთ, ეს იქნებოდა გაგრელთა გუნდისათვის საბოლოო დარტყმა, მაგრამ მათ მეტი სიმძაფრით შეუტიეს. ორმხრივი საგოლე მომენტების განიავების შემდეგ **გაბედავა-ფილიას** კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დაგვირგვინდა თამაშის 73-ე წუთზე - 2:3. მეტოქეთა მცდელობის მიუხედავად ანგარიში აღარ შეცვლილა.

სამი გაშვებული ბურთის გამო მავანმა შეიძლება იფიქროს **თევდორაძეს** სუსტად უთამაშიაო, მაგრამ ასე არ არის. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერმა საიმედოდ, დამაჯერებლად ითამაშა და არცერთი გოლი მისი ბრალი არ იყო. მეტიც, მან რამდენჯერმე გადაარჩინა თავისი კარი.

### მატჩის შემდეგ

**ვლადიმერ ხაჩიძე (გაგრა):** „სულ ორი თვეა, რაც „გაგრაში" ვარ. რა თქმა უნდა, მოკლე ხანში ძნელია გუნდის რადიკალურად შეცვლა, თუმცა „რაღაც" კი გავაკეთე. დროა საჭიროა. გუნდში ბევრია 18-19 წლის ბიჭი, ისინი უნდა დალვინდნენ, დაიკუნთონ. კმაყოფილი იმით ვარ, რომ მათ ფსიქოლოგიურად წელში გამართვა შეძლეს და უშელავათოდ იბრძოლეს. ყველაფერი გადაწყვიტა დაცვაში დაშვებულმა ორმა მძიმე შეცდომამ, რაც „ბორჯომმა" არ გვაპატია და დაგვსაჯა. ვულოცავ ჩემს ყოფილ გუნდს პირველ გამარჯვებას".

**გიორგი სუხიაშვილი (ბორჯომი):** „ბოლნისის „სიონთან" მატჩის შემდეგ ვირწმუნე, რომ წარმატებული თამაში შეგვიძლია. ეს ისეთი თამაში იყო, მეტი გოლის გატანაც შეგვეძლო. ისე კი, „გაგრამ" ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე... ვოვა ხაჩიძემ ხეზე ასვლა თუ მასწავლა? ის დიდებული მწვრთნელია. ხეზე რა გითხრათ, მაგრამ ბევრი მასწავლა. მთელი ცხოვრება მის წინაშე ვალში ვიქნები".

**ომაზ ჩხეიძე**
ბორჯომიდან



| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 3 | 3 | 0 | 0 | 4-0 | 9 |
| 2. ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 3. გაგრა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 4. ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 5. სიონი | 4 | 1 | 2 | 1 | 1-1 | 5 |
| 6. მესხეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-3 | 5 |
| 7. ბორჯომი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 8. დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 5-4 | 3 |
| 9. მგლები | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 10. ოლიმპი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 11. სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**დღეს**

**1 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

15:00 მგლები-სპარტაკი
15:00 ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
15:00 დინამო-ოლიმპი

*ზესტაფონი ისვენებს*

**მომდევნო ტური**

**4 ოქტომბერი, შაბათი**

გაგრა-სიონი

**5 ოქტომბერი, კვირა**

სპარტაკი-ბორჯომი
ზესტაფონი-დინამო
ლოკომოტივი-მგლები
ოლიმპი-ვიტ ჯორჯია

*მესხეთი ისვენებს*

ოქტომბერში თამაშები 15 საათზე დაიწყება



ამერიდან სიონში გადასულ სულიკო დავითაშვილს გუშინ არც მინდორზე უმართლებდა და არც ჰაერში

## მესხეთი სხვებსაც გაამწარებს

### სიონმა სახლში მეორეც ვერ მოიგო

**სიონი-მესხეთი**

**0:0**

30.09. ბოლნისი. თ. სტეფანია
1500 მაყურებელი

სიონი: ბობლიაშვილი - კობაური (80. რ. გოცირიძე), სვანიძე, კაკაშვილი, ქემოკლიძე - ქურასბედიანი, კოშკაძე, დიდავა (72. ბაჯელიძე), ხუბუა (46. ალავიძე) - დავითაშვილი, ს. იაშვილი.

*სათადარიგოები: ქვაჩახია, ჩივაძე, შ. ჯიქია*

მესხეთი: სომხიშვილი - რაქვიაშვილი, გ. კვახაძე, მემარნიშვილი, ლეკიშვილი - თაყაძე (81. სამადაშვილი), თედიაშვილი, გოჩაშვილი, ინასარიძე, ლ. ახალაია - გონჩაროვი (90. სუდაძე).

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, კობესაშვილი, ქოჩორაშვილი, მურმანაშვილი*

გაფრთხილება: რაქვიაშვილი (39), კობაური (51), თედიაშვილი (63), დიდავა (71)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

ალა და ფანოზა კვლავ გულნატკენი დარჩა. ბოლნისელებმა შინ ზედიზედ მეორე შეხვედრა ვერ მოიგეს. ზედიზედ მეორე გასვლითი მატჩი არ წააგო ახალციხის „მესხეთმა" და ამჯერადაც, ქულა ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან მოიპოვა.

„სიონმა" პირველივე წუთებიდან შეუტია. იერიშებს უნარიანად წარმართავდა **ალეკო კოშკაძე**, რომელმაც სეზონი ძალიან კარგად დაიწყო. მის გარეშე „სიონი" შეტევას არც იწყებდა და არც ავითარებდა. აქტიურობდნენ ფლანგის ფეხბურთელებიც. **ხუბუა** და **ქურასბედიანი** საჯარიმოში ხშირად სახიფათოდ აწვდიდნენ, თავდამსხმელები - **დავითაშვილი** და **იაშვილი** მცველებს მუდამ დაძაბულობაში ამყოფებდნენ, მაგრამ რა -"სიონმა" მეტოქის კარის აღება მაინც ვერ მოახერხა.

**კობა თედიაშვილმა**, ისევე როგორც „ზესტაფონთან", ახალციხელებს დაცვითი ფეხბურთი ათამაშა. საინტერესოა, რომ გუნდი ფიზიკურად კარგად არაა მომზადებული, მაგრამ მოთამაშეები იმდენად რაციონალურად და გონივრულად ანაწილებენ ენერგიას, იმდენად სწორად იხსნებიან და თამაშობენ, ზოგჯერ ჭირს კიდეც იმის დაჯერება, რომ ამას აკეთებს... ქართული გუნდი.

თედიაშვილის კრებულის წინააღმდეგ თამაში სახიფათოა იმიტომაც, რომ ხშირად მიმართავენ ხელოვნურ თამაშგარეებს და ამას კარგადაც აკეთებენ. ასე მოხდა ზესტაფონში და ასე იყო გუშინ ბოლნისშიც. ეს მასპინძელთა აღშფოთებას იწვევდა და ლაინსმენებთან ხშირად ჰქონდათ პრეტენზია, მაგრამ... ლაინსმენები ნამდვილად არაფერ შუაში იყვნენ.

„სიონი" ძალიან მონდომებული იყო, ნავსი უნდა გაეტეხათ და რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, უნდა მოეგოთ. მასპინძლებს ძალა და ენერგია არ დაუშურებიათ, მაგრამ ფლანგებსა და მოედნის ცენტრში, მოკლედ, სადაც კი შეიძლებოდა, სტუმართა მხრიდან დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ.

პირველ წუთებზე თავის გამოჩენა შეეძლო დავითაშვილს, მაგრამ ვერც ქურასბედიანის გადაცემა შეირგო და ვერც ხუბუას ჩაწოდება. 37-ე წუთზე სულიკომ კუთხური მოაწოდა და **კაკაშვილმა** ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა. მე-40 წუთზე მასპინძლებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს - კოშკაძემ იაშვილი მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი ბურთი გაატარა, ქურასბედიანს ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ცუდად დაარტყა.

მეორე ტაიმში ტემპმა და „მესხეთის" კარზე დაწოლამ აშკარად იმატა. კარგად ჩაერთო თამაშში **ალავიძე**, რომელმაც ტრავმირებული ხუბუა შეცვალა. მისი ჩაწოდებები საკმაოდ მწვავე იყო, მაგრამ მესხთა ტანმაღალი მცველები იაშვილამდე ბურთს არ უშვებდნენ. თუმცა ერთი მომენტი მაინც გაეპარათ, როცა ალავიძემ იაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა და „სიონის" ფორვარდი ვალდებული იყო, გაეტანა, მაგრამ ახლო მანძილიდან ააცილა.

ბოლო წუთებზე მასპინძლებმა შტურმი მოაწყვეს. „სიონის" მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ კორღალიძემ** მცველის ნაცვლად **რევაზ გოცირიძის** სახით მესამე თავდამსხმელიც გამოიყვანა, საყრდენი **დიდავა** კი შემტევი **ბაჯელიძით** ჩაანაცვლა, მაგრამ... ბოლნისელთა საშველი არ იყო. „მესხეთის" ქულები კი ყარაულის თოფიდან გავარდნილს არ ჰგავს. ახალციხელები, ალბათ, სხვა ფავორიტებსაც გაამწარებენ.

**მერაბ მამულაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

ნომრის მორიგე რედაქტორი
დავით თავართქილაძე

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

IV ტურის წინათქმა

დღეს ტურის ორი მთავარი მატჩია და ძალიან ძნელია, მათგან რომელიმეს გამორჩევა. როგორც უნდა იყოს, „ვიტ ჯორჯია“- „ლოკომოტივის“ დაპირისპირებას ალბათ თავისებური ხიბლი აქვს.

და რას ფიქრობენ „ვიტ ჯორჯიას“ და „ლოკომოტივის“ გამორჩეული ფეხბურთელები დღევანდელ მატჩზე? ვიტჯორჯიელთა კაპიტან ლექსო კვახაძეს და ლოკომოტიველთა ფორვარდ რატი ალექსიძეს გუშინ ვესაუბრეთ.



## ლექსო კვახაძე:

## გამოცდილება? ლოკომოტივს დიდი უპირატესობა ვერ ექნება

**- „ლოკომოტივს“ ახალგაზრდების გარდა გამოცდილი ფეხბურთელებიც ჰყავს. როგორ ფიქრობ, ეს დიდ უპირატესობას აძლევს მოწინააღმდეგეს?**

- მასეა, „ლოკომოტივი“ გამოცდილებით აღემატება „ვიტ ჯორჯიას“, მაგრამ ჩვენ მებრძოლი, ერთ მუშტად შეკრული გუნდი ვართ და როგორც უნდა იყოს, „ლოკომოტივს“ ჩვენთან დიდი უპირატესობა ვერ ექნება. ისიცაა, რომ „ვიტ ჯორჯიას“ მაინცდამაინც გამოუცდელი გუნდი არ ეთქმის, ფეხბურთელები 4-5 წელია უმაღლეს ლიგაში ერთად ვთამაშობთ, ზოგიერთები ბავშვობიდან ერთად მოვდივართ - ყოველივე ამაშია ჩვენი ძალა.

**- წინა სეზონთან შედარებით, „ვიტ ჯორჯია“ წინ წავიდა თუ დაახლოებით იმავე დონეზე დარჩა? ამას იმიტომაც გეკითხები, რომ საამსეზონოდ „ლოკომოტივი“ მნიშვნელოვნად მოღონიერდა...**

- რა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯია“ წინ წავიდა, გამოცდილება მოგვემატა. წლეულს ევროსარბიელზე საძი მატჩი ვითამაშეთ და ეს ერთობ წაგვადგა, ევროგამოცდილება სულ სხვაა.

**- „ვიტ ჯორჯია“ წინ ვერ წავიდა საგოლე მომენტების რეალიზაციაში - არ გეთანხმები?**

- ეს პრობლემა ისევ გვაქვს, რომ არა საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალი პროცენტი, „ვიტ ჯორჯია“ წინა სეზონში ჩემპიონი გახდებოდა. ახლა ამ მხრივ ცოტა უკეთესობა კი არის, მაგრამ მთლიანობაში პრობლემა არ გადაჭრილა, მეგოლე თავდამსხმელი რომ გვყავდეს, უკეთესი იქნებოდა.

**- წინა ტურის „ლოკომოტივი“-“დინამოს“ არ უყურეთ „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებმა?**

- ამ მატჩის ვიდეოჩანაწერი ჯერ არ გვინახავს, თუმც „ლოკომოტივთან“ თამაშამდე ალბათ ესეც მოესწრება.

## რატი ალექსიძე:

## ეიფორია გასახდელში დამთავრდა

- კონკურენტს სტუმრად ვეთამაშებით და ამ შეხვედრისთვის ურიგოდ მომზადებული ნამდვილად არ გვეთქმის. „დინამოსთან“ მატჩამდე ერთი ტური გაგვიცდა და კარგ ტონუსში ვერ ვიყავით, ახლა კი ამ მხრივ უკეთ ვართ, უფრო შევთამაშდით კიდეც. მოკლედ, „ლოკომოტივში“ ბევრი კარგი ხდება. მეტოქეზე კი ახალს ვერაფერს ვიტყვი, „ვიტ ჯორჯია“ მართლაც კარგი გუნდია, რომელთანაც ფაქტობრივად ექვსქულიანი თამაში გვაქვს.

**- „ლოკომოტივშიც“ და ნაკრებშიც ფაქტობრივად ეული ფორვარდი ხარ - ეს თავისებურ დისკომფორტს არ გიქმნის?**

- ეს მართლაც არ არის კომფორტული ჩემთვის, მაგრამ ის უნდა გავაკეთო, რასაც მწვრთნელები, გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე დამავალებენ. მირჩევნია, გვერდით მეორე, ასე ვთქვათ, გამქცევი ფორვარდიც მყავდეს, თუმცა მეორე მხრივ, როცა წინწაწეული თავდამსხმელი მარტო მე ვარ, უფრო ბევრი უნდა ვიწვალო და ასე უფრო მალე დავიბრუნებ ოპტიმალურ კონდიციას.

**- ანუ „ვიტ ჯორჯიასთანაც“ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშებს „ლოკომოტივი“?**

- ზუსტად არ ვიცი, მგონი, „ლოკომოტივის“ მწვრთნელები რაღაც-რაღაცეების შეცვლას აპირებენ. კიკნაძე და ზამთარაძე ახალგაზრდა მწვრთნელები კი არიან, მაგრამ უკვე საკმაოდ მოძლიერდნენ, რაშიც მალე ყველა დარწმუნდება „ლოკომოტივის“ შედეგებით.

**- ხომ არ გეჩვენება, რომ „დინამოსთან“ გამარჯვების შემდეგ, ცოტა არ იყოს, ეიფორიაში ხართ?**

- ეიფორიაში შესაძლოა ცოტა ხნით ვიყავით, მაგრამ „დინამოსთან“ მატჩის შემდეგ მწვრთნელებმა გასახდელშივე გვითხრეს, უკვე „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩისთვის უნდა მოვემზადოთო, ეიფორიისთვის ერთი დღეც არ დაგვიტოვეს. რაც მთავარია, ჩვენს გუნდში უკვე დევს ჯიგარი.

**დავით თავართქილაძე**



## ცხრილისკენ ნუ გაიხედავთ...

ტურში ერთი ცენტრალური შეხვედრა რომ არის, ქომაგებს ის ახარებთ და ორზე ხომ მით უმეტეს; მეოთხე ტური გუშინ ორი მატჩით კი დაიწყო, მაგრამ ადვილი მისახვედრი იქნება, თუ განსაკუთრებულ ყურადღებას დღევანდელ ორ შეხვედრას დავუთმობთ. აღარც ვიცით, საიდან დავიწყოთ: „დინამო“-“ოლიმპიც“ საინტერესო და დამაინტრიგებელ პაექრობას გვპირდება და „ვიტ ჯორჯია“-“ლოკომოტივიც“. წესითა და რიგით, განსაკუთრებული ყურადღება ბოლო ორი ჩემპიონის დაპირისპირებას უნდა გამოეწვია; თუმცა ვერც „დინამო“და ვერც „ოლიმპი“ საწყის ტურებში ვერ ბრწყინავენ. რა თქმა უნდა, ჯერ მხოლოდ სამი ტურია გასული, მაგრამ, არა გვგონია, რომ „დინამოსა“ და „ოლიმპის“ ხელმძღვანელებს სატურნირო ცხრილისკენ გახედვა სიამოვნებდეთ: მოქმედი ჩემპიონი მერვე ადგილზეა, ექსჩემპიონი კი - მეათეზე... კიდევ ვიმეორებთ, ჯერ სეზონის სტარტია, მაგრამ დაკარგული ქულები იქით იყოს და, სხვა კონკურენტებიც ხომ წინ არიან?!. თანაც, იმავე „დინამოს“ წინა ჩემპიონატის სტარტი რომ გავიხსენოთ, აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს მივიღებთ: ერთი წლის წინ ჩვენმა ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა ზედიზედ რვა მატჩი მოიგო! ადრეც ვახსენეთ, რომ „დინამოს“ გერმანელი თავკაცის **რაინერ ცობელის** სამწვრთნელო შესაძლებლობებში მესამე, მეოთხე და მეხუთე ტურის მერე დავრწმუნდებით-თქო; ცობელმა ერთი პრინციპული მატჩი უკვე წააგო, დღეს არანაკლებ ძლიერ მეტოქეს ხვდება, კვირას კი ზესტაფონში ჩავა და საქართველოში ყოფნის დროს პირველად მოუწევს გადაჭედილი ტრიბუნების ხილვა. პროგნოზებისგან თავს შევიკავებთ, უბრალოდ, საინტერესოა, თუ რას დაუპირისპირებს „დინამოს“ მწვრთნელი ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტ „ოლიმპს“, გუნდს, ყველაზე მეტად რომ გაძლიერდა და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ერთი-მეორეზე გამორჩეული ფეხბურთელები რომ ჰყავს. ის ფაქტი, რომ „ოლიმპს“ ჯერ გამარჯვება არ აქვს, დღევანდელ მატჩს უფრო მეტ ინტრიგას მატებს; თანაც, რუსთაველთა კლუბის მთავარ მწვრთნელს **ხვიჩა ქასრაშვილს** ნახევარდაცვასა და თავდასხმაში, მართლაც, ასარჩევად აქვს საქმე, მაშინ, როცა მისი გერმანელი კოლეგა ასეთ ფუფუნებას მოკლებულია. აქვე დღევანდელ მეტოქეთა ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაზეც ვთქვათ: ორი შეხვედრა „დინამომ“ მოიგო (მათგან ერთი დიდი სკანდალით დასრულდა), ერთი ფრედ დასრულდა („ოლიმპს“, ფაქტობრივად, ჩემპიონობა რომ მოუპოვა) და ერთიც წააგო.

ახლა კი ტურის მეორე და არანაკლებ პრინციპულ დაპირისპირებაზეც; უფრო ზუსტად, „ვიტ ჯორჯია“-“ლოკომოტივის“ მატჩი უფრო უნდა მივიჩნიოთ ცენტრალურად, ვიდრე - „დინამო“-“ოლიმპის“ შეხვედრა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დღეს ხომ ის ორი გუნდი ხვდება ერთმანეთს, ახალ ჩემპიონატში ქულა რომ არ დაუკარგავს. ეგ კი არა, საკუთარ კარში გოლიც არ გაუშვიათ და ეს, რა თქმა უნდა, ორივე გუნდის მეკარის - **გრიგოლ ბედიაშვილის** („ვიტ ჯორჯია“) და **გიორგი ლომაიას** („ლოკომოტივი“) დიდი დამსახურებაა. ლომაია შემთხვევით არ გვიხსენებია: სადებიუტო, 1999-2000 წლების სეზონში, თბილისის „ლოკომოტივის“ 20 წლის მეკარემ თასის მეოთხედფინალში პატარა სასწაული რომ ჩაიდინა (სამი პენალტი მოიგერია), მეტოქე... „ვიტ ჯორჯია“ იყო! ამას გარდა, გიორგი ლომაიას დღეს... ძმის წინააღმდეგ მოუწევს ასპარეზობა - „ვეტერინართა“ ცენტრალური მცველი **დავით ლომაია**, თავის ამპლუაში ერთ-ერთი საუკეთესოა. სხვათა შორის, დღევანდელ მეტოქეებს ახლო მომავალში აბსოლუტურად განსხვავებული მატჩები ელოდებათ: „ვიტ ჯორჯიას“ მეტოქეები „ოლიმპი“ და „ზესტაფონი“ იქნებიან, „ლოკომოტივის“ კი - „მგლები“ და „ბორჯომი“. თუმცა, საიუბილეო მეოცე ჩემპიონატში წინასწარ ქულებს რომ ვერავისთან დაგეგმავ, განვლილმა სამმა ტურმაც დაადასტურა. ოღონდ, ორი გამონაკლისის გარდა: „ვიტ ჯორჯიამ“ და „ლოკომოტივმა“ თავისი მატჩები მოიგეს და ახლა ერთმანეთში გაარკვევენ, ამ ეტაპზე ვინ იმსახურებს ერთპიროვნულ ლიდერობას.



2008 წლის 1 მარტი. ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია 0:1

...დღევანდელ მეტოქეთა დაპირისპირებათა ისტორია ათ წელიწადს ითვლის; უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად „ლოკომოტივის“ უპირატესობა აშკარა იყო და ეს არც იყო შემთხვევითი. შეგახსენებთ, რომ მეოცე საუკუნის მიჯნაზე და ოცდამეერთის დასაწყისში „ლოკომოტივს“ საჩემპიონო ამბიციები ჰქონდა, მაშინ როცა „ვეტერინარები“ უფრო მოკრძალებული მიზნებით კმაყოფილდებოდნენ. ორივე გუნდში წლების განმავლობაში მწვრთნელებიც იცვლებოდნენ და ფეხბურთელებიც, თუმცა „ვიტ ჯორჯია“ ვერაფრით ახერხებდა დღევანდელ მეტოქესთან უპირატესობის მოპოვებას მანამდე, სანამ მთავარ მწვრთნელად **ნესტორ მუმლაძე** არ დაინიშნა - „ვიტ ჯორჯიას“არსებობის ისტორიაში ერთადერთი მწვრთნელი, კლუბში ზედიზედ მეოთხე სეზონს რომ ატარებს. აი, აქვე დღევანდელ მეტოქეთა ურთიერთშეხვედრათა სტასტისტიკას გაეცნობით და ადვილად დარწმუნდებით, თუ როგორ უჭირს „ლოკომოტივს“ ბოლო წლებში „ვიტ ჯორჯიასთან“ - ბოლო ექვსი მატჩი „ვეტერინარების“ გამარჯვებით დასრულდა. ანუ, ნესტორ მუმლაძეს „ლოკომოტივთან“ პაექრობაში ჯერ ქულა არ დაუკარგავს...

**გია ტუხაშვილი**

### ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივის დაპირისპირებათა ისტორია

| | |
|---|---|
| **1998** | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 2:2 |
| (დათვაძე, ერაძე; თ. რუხაძე, ლ. ნოზაძე) | |
| **1998-99** | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| (მარლიშვილი) | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 1:2 |
| (გ. ქორიძე; შ. ხუჯაძე, კოტორაშვილი) | |
| **1999-2000** | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 3:1 |
| (გ. ყიფიანი, ლ. ნოზაძე, გ. ქორიძე; შ. ჩომახიძე) | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| (ლ. ქებაძე; გ. ქორიძე) | |
| **2000-01** | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 1:0 |
| (დეკანოსიძე) | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| (რუსია, გ. კვარაცხელია) | |
| **II ეტაპი** | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| (გოგიჩაიშვილი, ანჩაბაძე) | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 0:0 |
| **2001-02** | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 3:1 |
| (ანჩაბაძე, ლაცაბიძე, დათვაძე; გოჩაშვილი) | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 0:0 |
| **2002-03** | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 1:3 |
| (ადამია; რუსია, ლაცაბიძე, დავითაშვილი) | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 2:1 |
| (ორბელაძე, დილმელაშვილი-ავტოგოლი; ლ. მელქაძე) | |
| **II ეტაპი** | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 1:0 |
| (ლ. მელქაძე) | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| (რ. ონიანი; ლ. მელქაძე) | |
| **2003-04** | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 1:1 |
| (დ. დოლიძე; ხომერიკი) | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 2:1 |
| (სირაძე-2; რ. გოცირიძე) | |
| **II ეტაპი** | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| (ადამია) | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 1:0 |
| (ინწკირველი) | |
| **2004-05** | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 0:0 |
| **II ეტაპი** | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| (კახელიშვილი) | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 0:1 |
| (ბობოხიძე) | |
| **2005-06** | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 2:0 |
| (გელაშვილი, მარცვალაძე) | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| (გ. ჩივაძე; გელაშვილი-2) | |
| **2006-07** | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 3:0 |
| (გელაშვილი-2, ფეიქრიშვილი) | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 0:3 |
| (გელაშვილი, რაზმაძე, ბერიაშვილი) | |
| **2007-08** | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 1:0 |
| (კლიმიაშვილი) | |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| (რაზმაძე) | |

*მეტოქეებმა ერთმანეთში 29 მატჩი ჩაატარეს; აქედან „ვიტ ჯორჯიამ“ 11 მოიგო, 8 ფრედ დაასრულა და 10 წააგო. ბურთების სხვაობა: 29-26*

ეროვნული ბიბლიოთეკა



დინამო-ოლიმპის წინ. ინტერვიუ გიორგი მეგრელაძესთან

# სიურპრიზები სამ საათზე იწყება

## თუ შეგდება იცი...



გოლაობისთვის გია მეგრელაძემ წინა სეზონის ბოლოს პროფლიგის პრიზიც დაიმსახურა

დღეს ეროვნულ სტადიონზე ძალიან მძაფრი თამაში უნდა გაჩაღდეს. ასეთ მატჩებში განსაკუთრებულად ფასეულია გამოცდილი თავდამსხმელია, რომელსაც მისხალი შანსიც თუ მიეცი, ბურთს კარში ზუსტად დაარტყამს.

რუსთავის „ოლიმპში“ ასეთი გიორგი მეგრელაძეა. მას არაერთ გუნდში უთამაშია, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. მეგრელაძე ტიპური საჯარიმოს ფორვარდია. 2006 წელს ის. თბილისის „დინამოდან“ „ბაკიში“ გადავიდა, იქიდან ყაზახურ „აქტობეში“, წინა სეზონის მეორე ეტაპისთვის კი საქართველოში დაბრუნდა და ფორმიდან ამოვარდნილმა მეტად საჭირო გოლები გაიტანა „ბორჯომში“.

რა თქმა უნდა, მეგრელაძეს მეტწილად დღევანდელ მატჩზე ვესაუბრეთ.

**- მიმდინარე ჩემპიონატში „ოლიმპს“ ჯერ მოგება არ აქვს? რას დააბრალებდი ამას?**

- „ოლიმპს“ ჯერ მატჩი არ წაუგია. მხოლოდ ორი შეხვედრა ვითამაშეთ და ისიც კარგ გუნდებთან. „ზესტაფონი“ რა ძალასაც წარმოადგენს, ყველამ იცის, ახალციხის „მესხეთმა“ კი ასეთი გუნდი სტუმრად დაამარცხა და დღეს ბოლნისშიც დაუმარცხებელი გამოდგა. მოკლედ, თუ „ზესატფონს“ და „მესხეთს“ ვერ მოვუგეთ, ეს ჯერ ბევრს არაფერს ნიშნავს.

**- „დინამოსთან“ მატჩი რას ნიშნავს „ოლიმპისთვის“? რის ხარჯზე აპირებთ ასეთ მეტოქესთან გამარჯვებას?**

- პირველ რიგში, კარგი მომზადებით. ვფიქრობ, გავიმარჯვებთ. ამ მატჩს განსაკუთრებული ინტერსით ველით. „ოლიმპი“ ისეთი გუნდია, ფეხბურთელთა ნახევარზე მეტს ადრე „დინამოში“ რომ უთამაშია. ყოფილ გუნდთან წარმატება კი ყველასთვის განსაკუთრებულია.

**- და განსაკუთრებულადაც ემზადებით „დინამოსთან“ შესახვედრად?**

- ისე ვემზადებით, როგორც ნებისმიერი თამაშისთვის

**- ანუ „დინამოს“ ტაქტიკური თუ სხვა სიუპრიზები არ ელის?**

- სიუპრიზები 15 სათზე მატჩი რომ დაიწყრბა, უმალ იქნება და როგორი, ამაზე თამაშის შემდეგ ვისაუბროთ.

**- ამ სეზონში „დინამოს“ თამაშს ალბათ ნახავდი და რა შთაბეჭდილება დაგრჩა?**

- ნორმალური გუნდია, ოლონდ არ უმართლებს, ასე იყო წინა ტურის მატჩში „ლოკომოტივთან“. ისიცაა, რომ რაც გუნდების რაოდენობა შემცირდა, უმაღლეს ლიგაში თითქმის ყველა კარგი გუნდია და ქულების დაგროვებაც გაძნელდა.

**- პირადად შენ როგორ ხარ მომზადებული. ბოლო ორ წელიწადში ოთხჯერ გადახვედი გუნდიდან გუნდში...**

- თავს ნორმალურად ვგრძნობ, მთელი გუნდი უკეთესად ვიქნებოდით მზად, ჩემპიონატი დროულად რომ დაწყებულიყო. ვარჯიშებს არ ვაცდენდით, მაგრამ თამაშით უფრო კარგად შედიხარ ფორმაში, ვარჯიში თამაშს ვერ შეცვლის. რაც შეეხება გუნდიდან გუნდში გადასვლას, ამ სეზონში „ოლიმპიდან“ არსად წასვლას არ ვაპირებ - გუნდი ხომ ჩემპიონობისა და თასისთვის არის მომართული.

**- მაინც როგორ ახერხებ იმას, რომ არაოპტიმალურ ფორმაში მყოფსაც შეგიძლია გოლების გატანა, როგორც ამას „ბორჯომში“ აკეთებდი?**

- თუ ნიჭი გაქვს, მოუმზადებელიც გაიტან გოლს, არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, კარგ ფორმაში ხარ თუ არა. თუ გოლის შეგდება იცი, შუალამის ოთხ საათზე რომ გაგაღვიძონ, მაინც უნდა შეაგდო.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი. უკრაინა

# გიგიაძე და ბურდული ფომენკომ მიატოვა

სიმფეროპოლის „ტავრიის“ ხელმძღვანელობამ **მიხეილ ფომენკოს** თხოვნა, მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგომის შესახებ დააკმაყოფილა. **ვასილ გიგიაძე** და **ლადო ბურდული** უმწვრთნელოდ დარჩნენ.

ფომენკოს ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ უნდოდა გუნდის დატოვება, მაგრამ მაშინ კლუბის ბოსებისგან უარი მიიღო. გასულ უქმეებზე შინ „ხარკოვთან“ 1:1 ფრის შემდეგ კი ფომენკოს წასვლაზე თანხმობა უთხრეს. შეგახსენებთ, რომ საბჭოეთის ეპოქის ბოლო პერიოდში, მიხაილ ფომენკო უმაღლეს ლიგაში აღზევებულ ლანჩხუთის „გურიას“ წვრთნიდა.

გასულ სეზონში ფომენკოს გაწვრთნილმა „ტავრიამ“ მეხუთე ადგილი დაიკავა, ამჟამად კი მხოლოდ 6 ქულა აქვს, და მე-14 საფეხურზეა, ბუნებრივია კლუბი გასავარდნ ზონაშია.

„ტავრიის“ ოფიციალური ვებგვერდი ახალი მწვრთნელის შესახებ ჯერჯერობით არაფერს წერს. თუმცა უკრაინულ საიტ „უა-ფუტბოლის“ მტკიცებით, დიდი ალბათობაა ფომენკოს **სერგეი პუჩკოვი** შეცვლის, რომელიც ბოლოს პირველი ლიგის ლიდერ „სევასტოპოლს“ წვრთნიდა.

**დავით ცაბაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ხიზანიშვილი შეფილდსაც სურს



**ჯანფრანკო ძოლა** „ვესტ ჰემში“ „ბლექბერნიდან“ **ზურაბ ხიზანიშვილის** გადაბირებით რომ არის მონადინებული, ეს გუშინდელ ნომერში უკვე გაცნობეთ. გუშინ კი ხიზანიშვილზე კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა. ბრიტანულ ვებგვერდ „ითსლიპსპორტის“ მტკიცებით, ძოლას ხიზანიშვილისთვის ერთ ინგლისურ კლუბთან მოუწევს ბრძოლა - საქართველოს ნაკრების წევრის გადაბირება „შეფილდ იუნაიტედსაც“ ჩაუფიქრებია.

ზურა თუ „ბლექბერნს“ გამოეთხოვება, ალბათ, მაინც „ვესტ ჰემზე“ შეაჩერებს არჩევანს. რატომ?

მოდი ვნახოთ, თუ რა პოზიციები უჭირავთ ხიზანიშვილის მსურველ კლუბებს. „ვესტ ჰემს“ პრემიერლიგაში „ბლექბერნზე“ ორით მეტი, 12 ქულა აქვს და „არსენალთან“ ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფს. „შეფილდ იუნაიტედი“ კი პრემიერლიგის ქვედა დივიზიონში, „ჩემპიონშიპში“ ასპარეზობს და ამჟამად მეათე საფეხურზეა.

ვნახოთ, რამდენად იაქტიურებს „ვესტ ჰემი“ და დათმობს თუ არა „ბლექბერნი“ ხიზანიშვილს, რომელთანაც ზურა მინიმუმ კიდევ ორი წლითაა კონტრაქტით დაკავშირებული.

**დავით ცაბაძე**

მესხეთი. ინტერვიუ გია მესხელთან

# ბიუჯეტი არ გვაქვს, ბიჭებს ნისიაზე ვათამაშებთ

## ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა შეჩერებულია



გია მესხელი

ახალციხის „მესხეთი“ ამ ჩემპიონატში საკუთარ არენაზე თამაშს ველარ მოახერხებს. სეზონის ბოლომდე გუნდი სტუმრებს ბორჯომში მიიღებს. ეს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კობა თედიაშვილმა გვითხრა. თუმცა „მესხეთში“ დამაიმედებელი პროცესებიც დაიწყო. მწვრთნელისავე თქმით, თურქ ინვესტორებთან მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. უცხოელთა მხრიდან დაინტერესების ფაქტს „მესხეთის“ პრეზიდენტი გია მესხელიც ადასტურებს. „ლელოსთან“ საუბარში ის სხვა, მნიშვნელოვან თემებზეც ამახვილებს ყურადღებას:

- თურქი ინვესტორის საკითხი, ალბათ, საჩვენოდ გადაწყდება. თუმცა კლუბის მეპატრონის საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. „მესხეთი“ კერძო კლუბია, კერძო მფლობელები ჰყავს. ამდენად, ჩვენ საკონტროლო პაკეტი უნდა დავთმოთ და თურქებს გადავცეთ, ოლონდ, გარკვეულ პირობებსაც წავუყენებთ. უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კლუბის ნორმალურად შესანახად, წლიურად, მინიმუმ 600 ათასი ლარია საჭირო. თურქებმა უნდა მოგვცენ გარანტია, რომ ამ საქმეს მიხედავენ. თუმცა თავადაც სერიოზული მიზნები აქვთ - ახალგაზრდული გუნდის ჩამოყალიბება სურთ, რომელიც ორ წელიწადში უეფას თასზე ითამაშებს.

**- შეგიძლიათ თქვენი ბიუჯეტის ოდენობა გაგვანდოთ?**

- რომელი ბიუჯეტი? ბიუჯეტი თითქმის არ გვაქვს, ბიჭებს „პოსლეზე“ ვათამაშებთ. არადა, თვეში 50-60 ათასი ლარი მაინც გვჭირდება ტრანსპორტირებისთვის, ნორმალური ხელფას-პრემიისა და სათავო თანხის გასაცემად. მეორე ვარიანტია, 300-ათასლარიანი ბიუჯეტის მქონე გუნდი გავხდეთ და მოთამაშეებს 200-300 ლარი გადავუხადოთ. მაგრამ რას მივაღწევთ 200-ლარიანი მოთამაშეებით? ამაშია საქმე. ამიტომაც მიმაჩნია საჭიროდ, რომ სახელმწიფომ ფეხბურთს მიხედოს. სხვანაირად, მძიმე მდგომარეობიდან ვერ გამოვალთ.

**- თურქები რომელ კომპანიას წარმოადგენენ?**

- მათ „ბეშიქთაშთან“ აქვთ კავშირი, ფეხბურთში კარგად ჩახედული ხალხია. ჯერ სტადიონის ყიდვა აინტერესებთ. თუ სტადიონს არ გადმოგვცემენ, კლუბს აღარ მიხედავენ. საკითხი ეკონომიკის სამინისტროში უკვე განიხილება და იმედია, საჩვენოდ გადაწყდება.

**- კობა თედიაშვილის თქმით, „მესხეთი“ სეზონის ბოლომდე ბორჯომში ითამაშებს. სტადიონის აშენებას ხომ ზაფხულში აპირებდით?**

- დიახ, ბორჯომში ვითამაშებთ. როგორც მივხვდი, ახალციხის სტადიონის რეკონსტრუქცია გაურკვეველი ვადითაა შეჩერებული. თავიდან თქვეს, სახელმწიფო 8 სტადიონს ააშენებსო, სიაში იყო ახალციხეც, მაგრამ როგორც თქვენ იცით მშენებლობის დაწყებაზე რამე, ასე ვიცი მეც. ეტყობა, ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა შეჩერებულია.

**- შეჩერებულია?**

- რაც უნდა სამწუხარო იყოს, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. ფეხბურთის ფედერაციაში ბევრს ვესაუბრე და აღმოჩნდა, რომ რეალურად არაფერიც არ აშენდება. ისიც კარგად მახსოვს, რომ უმაღლესი ლიგის თითოეულ კლუბს, სახელმწიფო პროგრამის ეგიდით, 500 ათასი ლარს შეჰპირდნენ. ამაზეც საერთოდ არაფერს ამბობენ და დასკვნა თავად გამოიტანეთ. ნეტავ, თანხის გაცემაზე მაინც არაფერი ეთქვათ. ეს ამბავი ახალციხის გამგეობაში რომ გაიგეს, დაფინანსება შეგვიწყვიტეს - გვირჩევნია, ფული გზებისა და ხიდების მშენებლობას მოვახმაროთო და... დავრჩით ასე, ცაში გამოკიდულები. მდგომარეობა იმდენად გამოუვალი იყო, ერთიხანობა „ამერივით“, უმაღლესი ლიგის დატოვებას ვაპირებდით. ორჯერ დავწერე კიდეც განცხადება, მაგრამ ბოლოს მაინც დავხიე. უკეთესობის იმედი მაქვს, მაგრამ არ ვიცი, ეს რამდენად რეალურია. ბანკებიდან რამდენიმე სესხი ავიღე, ახლობელი ბიზნესმენები მეხმარებიან, გუნდის დაშლა არ მსურს... მაგრამ როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? ამიტომ გვჭირდება სახელმწიფოს დახმარება, მაგალითად, უკრაინული მოდელით, სადაც კლუბს სანახევროდ სახელმწიფო აფინანსებს და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფს. სხვა გამოსავალი არ ჩანს. სხვაგვარად, ჩვენი ფეხბურთის უკუსვლას ველარაფერი შეაჩერებს.

**- სახელმწიფო პროგრამის შეჩერება, ალბათ, ომის გამო მოხდა. კი, მაგრამ სად აქვს ომით დასუსტებულ ქვეყანას საიმისო თანხები, რომ ფეხბურთს მიხედოს?**

- პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, რომ აქ ომი არაფერ შუაშია. ის, რომ კლუბებს არ დააფინანსებდნენ და სტადიონებიც არ აშენდებოდა, ომის დაწყებამდე ვიცოდი. ვიმეორებ, საქმეში ჩახედულ ბევრ ადამიანთან საუბრის შემდეგ სწორედ ასეთი აზრი დამრჩა. მინდა მჯეროდეს, რომ ვცდები და ყველა გეგმა შესრულდება, მაგრამ... ამის იმედი აღარ მაქვს. ეს ლაპარაკი რომ არ დაწყებულიყო, გამგეობა 100 ათას ლარს მაინც ჩაგვირიცხავდა და „მესხეთისთვის“ ესეც შეღავათი იქნებოდა... ახლა კი ბორჯომში მოგვიწევს თამაში და დავრჩით ასე, 2 000 ქომაგის გარეშე. საქართველოში ამდენი მაყურებელიც დიდი მხარდაჭერაა. გულშემატკივარიც დავკარგეთ და სახელმწიფო დაფინანსებაც.

**- გამოდის, რომ „მესხეთი“ დაშლის პირასაა?**

- მთლად ასეც არაა, მაგრამ ვითარება ნამდვილად მძიმეა. რაღაც იმედი მაინც მაქვს, რომ სიტუაცია გაირკვევა და „მესხეთი“ გადარჩება.

**- და ბოლო კითხვა: თურქებთან მოლაპარაკება რა სტადიაშია?**

- ასე გვითხრეს, სტადიონის პრობლემას თუ მოაგვარებთ, 2009 წლის იანვრიდან კლუბს შევიძენთო.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 17. ინტერვიუ გელა შეყილაძესთან

# მსაჯებს არაფერს ვაბრალებ, შეცდომები დავუშვით

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა დაასრულა. გელა შეყილაძის გუნდმა ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა, რის გამოც ელიტრაუნდში ავტომატურად ვერ მოხვდა და ძალიან გაუჭირდება ორ საუკეთესო მესამეადგილოსანს შორის მოხვედრაც.**

**უნგრეთში გამართულ ჯგუფურ რაუნდში ჩვენი 17-წლამდელების ასპარეზობაზე ნაკრების მთავარ მწვრთნელ გელა შეყილაძეს გავესაუბრეთ...**



გელა შეყილაძე

- თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალზედ ნაგვადგა ავსტრიაში ჩატარებული მოსამზადებელი პერიოდი. კარგ პირობებში ვცხოვრობდით. ავსტრიაში ორივე საკონტროლო მატჩი მოვიგეთ, რამაც ფეხბურთელებს თავდაჯერებულობა შემატა. ამ თამაშებმა ჩვენი გუნდის პლუს-მინუსები ნათლად წარმოაჩინა. ჩვენი ხარვეზი საგოლე მომენტების რეალიზება იყო. ასევე, ფლანგის მცველებს უფრო მეტად საიმედო თამაში მართებდათ. იყო ეპიზოდები, როცა განაპირა მცველებისა და მეკარის შეუთანხმებელმა მოქმედებამ იჩინა თავი. რა თქმა უნდა, ამ კომპონენტებზე გავაკეთეთ აქცენტი, მაგრამ უნგრეთში გამოჩნდა, რომ ჯერ კიდევ გვჭირდება მუშაობა.

**- რამდენად კმაყოფილი ხართ ჯგუფურ რაუნდში გუნდის ასპარეზობით?**

- თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. სამივე შეხვედრაში მოგებაზე ვითამაშეთ. სამი ფორვარდი და ორი შემტევი ნახევარმცველი დავაყენე. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ დაცვას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით. ჯგუფურ რაუნდში ოთხი ქულა მოვიპოვეთ, მაგრამ ჩვენი თამაშით მეტ ქულას ნამდვილად ვიმსახურებდით. გააზრებული და შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ. მეორე ადგილი ნამდვილად გვეკუთვნოდა, მაგრამ...

**- მოდი სამივე მატჩი სათითაოდ შევაფასოთ. პირველი შეხვედრაში მასპინძელ უნგრეთთან 2:2 ფრეს დავჯერდით.**

- ამ მატჩში ორჯერ ვიგებდით. საერთო ჯამში, სამ ქულასაც ვიმსახურებდით. საგოლე მომენტები უნგრელებმაც შექმნეს, მაგრამ ჩვენ უფრო მეტის გატანა შეგვეძლო და ვერ მოვახერხეთ. თამაშის ჩანაწერი რომ ვნახე, არბიტრით მთლად კმაყოფილი ნამდვილად არ დავრჩი. თუმცა ეს კიდევ არაფერი, ჩეხებთან გაცილებით საშინელი მსაჯობა იყო. წუწუნში ნუ ჩამომართმევთ, უბრალოდ ფაქტი დავაფიქსირე.

**- მაინც რა ქნა ასეთი არბიტრმა ჩეხებთან თამაშში?**

- არბიტრი ძალზე ეშმაკურად გაისარჯა. ისეთი ჯარიმები დანიშნა, რომ... რაღა საჭიროა თამაშის გაჩერება, თანაც კონტრშეტევისას და ჯარიმის დანიშვნა, როცა ბურთი ისედაც ჩვენ გვქონდა? ასეთი არაერთი ეპიზოდი იყო... გარდა ამისა, როცა ორივე გუნდის ფეხბურთელები ჯარიმის ზღვარზე თამაშობდნენ, ყველა საჯარიმო ჩეხების სასარგებლოდ დანიშნა. ამ ფაქტორებმა ჩვენს გუნდზე ფსიქოლოგიურადაც იმოქმედა. 17-წლამდე ასაკში, არბიტრის მსგავსი ქმედებები ნებისმიერ გუნდზე იმოქმედებდა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩეხეთთან ნაგებას მსაჯს არ ვაბრალებ. ჩვენ გვქონდა საგოლე მომენტები, უნდა გამოგვეყენებინა და მოვიგებდით კიდეც. გოლები კი მცველებისა და მეკარის შეუთანხმებელი მოქმედების გამო გავუშვით.

ჩეხებთან მატჩის შემდეგ უნგრეთი-ბოსნიის თამაშს დავესწარი. უნგრელებმა მატჩის ბოლოს, არბიტრის მიერ დამატებულ დროში გაიტანეს და ამაში მსაჯის ხელიც ერია.

**- ბოლოს ბოსნიას 1:0 მოუგეთ.**

- ბოსნიელებს არ უნდოდათ მესამე თამაშიც წაეგოთ. ისინი მაქსიმალურად მობილიზებულები იყვნენ. ერთი კი არა, ბარე კიდევ სამი ბურთი მაინც უნდა გაგვეტანა, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ.

**- 4 ქულით მესამე ადგილზე ვართ, მაგრამ ელიტრაუნდში მოხვედრის შანსი კიდევ გვაქვს.**

- დიახ, ასეა. სამწუხარო ისაა, რომ ახლა სხვა გუნდებზე ვართ დამოკიდებული. კიდევ ოთხ ჯგუფში უნდა ჩატარდეს საკვალიფიკაციო ეტაპი და ოთხი მესამეადგილოსნიდან სამს მაინც უნდა ვაჯობოთ. სხვა რა დაგვრჩენია, ოქტომბრის ბოლოსა და ჯგუფური რაუნდის დასრულებას უნდა დაველდოთ.

**- განვლილ მატჩებზე გამოჩნდა, რომ გუნდში მთავარი მეგოლე ირაკლი შეყილაძეა. მას როგორ დაახასიათებდით?**

- ირაკლი შეყილაძე „ბაიას" აღზრდილია. უკვე რამდენიმე თვეა, რაც „ემპოლიშია" და უკვე საგრძნობლად დაეტყო იტალიაში გადასვლა. ჯგუფურ რაუნდში სულ 5 გოლი გავიტანეთ და აქედან სამი ირაკლიმ შეაგდო. მას გოლის კარგი ალღო აქვს. მოედნის ხედვითა და ზუსტი პასებით გამოირჩევა. საგოლე მომენტებსაც კარგად იყენებს და თავადაც შეუძლია შექმნა. მას შეუძლია მაღალი კლასის ფორვარდად ჩამოყალიბდეს. ამით არ უნდა დაკმაყოფილდეს და გაცილებით უკეთეს დონეზე ითამაშებს.

**- დაბოლოს, უნგრეთში გუნდს თან ახლდა ფედერაციის ტექნიკური დირექტორი პეტარ შეგრტი. ის სხვა მისიით იყო თუ გეხმარებოდათ?**

- ავსტრიის მოსამზადებელ შეკრებაზე გვეხმარებოდა. მერე კი ვენაში ტექნიკური დირექტორების შეკრებაზე იყო და უნგრეთში ორი ტური მის გარეშე ვითამაშეთ, მერე კი ისევ შემოგვიერთდა. შეგრტი ჯგუფურ რაუნდამდეც მხარში გვედგა და ვთვლი, რომ მას სარგებლის მოტანმა შეუძლია ჩვენი ნაკრებისა გუნდებისთვის.

**დავით ცაბაძე**

მენეჯერი. ინტერვიუ დავით გენძეხაძესთან

# როგორ გახდა სიმურგი ქართული გუნდი

## აზერებმა ჯორჯიული ოთხეული შეიყვარეს

**44 წლის** დავით გენძეხაძე აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის, „სიმურგის" მენეჯერია. ამ კლუბთან კარგი ურთიერთობა მაქვს და ქართველი ბიჭების ტრანსფერებში ვეხმარებიო, აზუსტებს ბატონი დავითი. ქუთაისის „ტორპედო", „სამტრედია", ტყიბულის „მეშახტე" და ფოთის „კოლხეთი" - ეს ის კლუბებია, სადაც გენძეხაძეს ფეხბურთელობისას უთამაშია. კარიერის დასრულების შემდეგ კი მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო თასის ფინალში გასულ წყალტუბოს „სამგურალსა" და მერე „ზესტაფონში".

ზაქათალის „სიმურგი" ჩვენს ინტერესს იწვევს იმის გამო, რომ საინგილოს გუნდია და დღეისთვის იქ ოთხი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს - დავით ბოლქვაძე და ირაკლი დოლიძე „ამერიდან", აგრეთვე კახა ჩხეტიანი და მიხეილ მახვილაძე, შესაბამისად, „ზესტაფონისა" და რუსთავის „ოლიმპის" ყოფილი კაპიტნები. გენძეხაძეს „სიმურგსა" და საერთოდ, აზერბაიჯანულ ფეხბურთზე ვესაუბრეთ.

**- ბატონო დავით, „სიმურგში" როგორ აღმოჩნდით?**

- სრულიად შემთხვევით. „სიმურგი" შეკრებაზე იყო ჩამოსული საქართველოში და სწორედ მის ორგანიზებასა და სპარინგ-პარტნიორების მოძებნაში დავეხმარე. ძლიერ გუნდებს შეხვდნენ - „დინამოს", „ზესტაფონს", „ამერსა" და „ლოკომოტივს". მაშინ „სიმურგი" აზერბაიჯანის პირველობის აუტსაიდერი იყო და ამ გუნდს აქ, ფაქტობრივად, არავინ იცნობდა. მთავარი მწვრთნელი რომან პაკორა მადლიერი დამრჩა. მისი ამოცანა მინიმალური ბიუჯეტით მაქსიმალურად ეფექტური შეკრების მოწყობა იყო, რაც საქართველოში შესაძლებელი აღმოჩნდა.

**- „სიმურგი" ღარიბი კლუბია?**

- ღარიბი არაა, მისი წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 3-4 მილიონი დოლარია. ამ მხრივ, აზერბაიჯანში მეექვსე-მეშვიდე კლუბია. „ხაზარის", „ინტერის", „ბაქოსა" და კიდევ ორი-სამი კლუბის ბიუჯეტი კი 30 მილიონ დოლარსაც აღწევს. ეს გუნდები შეკრებებს ესპანეთში, კვიპროსში, თურქეთსა და სხვა პრესტიჟულ ადგილებში აწყობენ. „სიმურგს" ასეთი არჩევანი არ აქვს და ამიტომაც ჩამოდის საქართველოში. ახლა მდიდარ კლუბებზე უკეთ მოემზადა და ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია... მერე ქართველი მოთამაშეების აყვანა ვურჩიე და პაკორას ყველა მათგანი გამოადგა. არადა, მანამდე მხოლოდ უკრაინელი ლეგიონერები ჰყავდა, ქართველებზე არც ფიქრობდა... ჩხეტიანმა გაამართლა, ყველა „სტანდარტულს" ის ასრულებს, ბოლქვაძე „სიმურგის" წამყვანი მოთამაშე და მაყურებლების სიმპათიაა, დოლიძემ და მახვილაძემ კონტრაქტები ახლახან გააფორმეს და ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები არიან. ბოლო ტურში „სიმურგმა" „ყარაბახს" გასვლაზე 2:0 მოუგო, რაც დიდი სენსაცია იყო. პაკორას ბოლქვაძის თამაში ძალიან მოეწონა და მითხრა, 17 წლის რომ იყოს, ფერგიუსონი „მანჩესტერში" აიყვანდაო. დიდი სახელი არ აქვს, მაგრამ პაკორა ჭკვიანი მწვრთნელია, აუტსაიდერი გუნდი ერთ-ერთ ლიდერად აქცია... ოფიციალურად, კლუბის მენეჯერი არ ვარ, მაგრამ რეალურად კი ასეა. „სიმურგის" თამაშს არ ვტოვებ.

**- ქართველი ფეხბურთელებისადმი „სიმურგის" გულშემატკივრებს როგორი დამოკიდებულება აქვთ?**

- შეიყვარეს, რადგან ადგილს ტყუილად არ აცდენენ. მერწმუნეთ, ძირითადში ლეგიონერს ხათრით არავინ ათამაშებს. ბრაზილიიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, სერბეთიდან და ხორვატიიდან აზერბაიჯანში სერიოზული ლეგიონერები ჩამოიყვანეს და ასეთ კამპანიაში ლიდერობა პატარა საქმე არაა. „სიმურგი" კახში თამაშობს, სადაც ბევრი ქართველია. ზაქათალის სტადიონი 5 ოქტომბერს იხსნება, ასე რომ, გუნდი მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდება. იქაც ბევრი ჩვენებური ცხოვრობს. საერთოდ, აზერბაიჯანელები კარგი ხალხია და ქართველსაც ისევე უკრავენ ტაშს, როგორც თავისიანს. ბევრჯერ ყოფილა, რომ სტადიონზე ქართველების გვარების სკანდირებაც მოუწყვიათ.



დავით გენძეხაძე

**- თბილისში „სიმურგისა" და ბაქოს „ოლიმპიკის" სტუმრობის შემდეგ დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ბევრი ფულიანი კლუბის კვალობაზე აზერბაიჯანული ფეხბურთი არც ისეთი განვითარებულია, როგორც გვეგონა...**

- ჩვენ ოდნავ გვისწრებენ, მაგრამ სამწუხაროც ესაა. დიდი ფული თავისას შვება. უნდა ნახოთ, ზაქათალაში როგორი სპორტული კომპლექსი ააშენეს. საქართველოში ასეთი ერთი მაინც იყოს...

**- თქვენი აზრით, შეიძლება, კუპერმა აზერბაიჯანში ნაკრებისთვის საინტერესო მოთამაშე აღმოაჩინოს?**

- საქართველოდან აზერბაიჯანში მართლაც კარგი მოთამაშეები გარბიან. არ ვიცი, რატომ არ უნდა იყვნენ საინტერესონი ნაკრებისთვის? დოლიძე და ბოლქვაძე ეროვნულ გუნდში ერთი წლის წინ თამაშობდნენ და ახლა რატომ ვერ ითამაშებენ? ან იგივე აფციაური, რომელზეც აზერბაიჯანელები გიჟდებიან... რომელი ერთი ჩამოვთვალო? კარგი იქნება, თუ კუპერი მათაც ნახავს.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. II ტურის წინ

# ქეცბაიას საშინაო დებიუტი

## ჟოზე მილანის ჯავრს ვერდერზე იყრის...



### A ჯგუფი

#### ბორდო-რომა

ორი კვირის წინ „ბორდო" „ჩელსის-თან" უიმედოდ დამარცხდა (0:4). ორი წლის წინ ფრანგებმა ჩემპიონთა ლიგის ოთხი ტური ისე ჩაატარეს, რომ გოლიც არ გაუტანიათ. სამაგიეროდ, ბოლო ორი თამაში მოიგეს და მერვედფინალ-ში ითამაშეს. ასე რომ, **ლორან ბლანის** შეგირდებისათვის ჯერ კიდევ ყველა-ფერი წინაა.

სპეკულაციების თანახმად, მოსიე ბლანი, შეიძლება, საფრანგეთის ნაკ-რებში დანიშნონ. მიმომხილველები ექ-ვობენ, რომ ეს მითქმა-მოთქმა „ბორ-დოს" საზიანოდ იმოქმედებს. ბოლო ტურში მან „სენტ ეტიენი" ვერ დაამარ-ცხა (1:1). ბორდოელთა თამაშში არა ერ-თმა ხარვეზმა იჩინა თავი. ბლანს მათ აღმოსაფხვრელად მხოლოდ სამი დღე ჰქონდა.

რუმინულ „კლუჟს" ამ ჯგუფის უიმედო აუტსაიდერად მიიჩნევენ. „ჩელსი" პირიქით, უპირობო ლიდერად მოიაზრება. მეორე ადგილისათვის სა-ვარაუდოდ „ბორდო" და „რომა" იბრძო-ლებენ. თუ ფრანგებს მერვედფინალში თამაში სურთ, კონკურენტი შინ აუცი-ლებლად უნდა დაამარცხონ.

ვინ არის აუტსაიდერი, ჯერ კიდევ საკითხავია. ორი კვირის წინ „რომამ" „კლუჟთან" შინ სენსაციურად წააგო (1:2). „ჯალოროსიმ" საფრანგეთში უკანასკნელად 2006-07 წლების სე-ზონში ითამაშა. ის „ლიონს" ეწვია და 2:0 მოუგო. რომაელებს ფრანგულ კლუბებთან დადებითი ბალანსი აქვთ: სამი მოგება, სამი ფრე და ერთი მარ-ცხი.

**ლუჩანო სპალეტის** საკადრო პრ-ობლემები აქვს. „რომას" რამდენიმე ლიდერი აკლია, პირველ რიგში, კაპიტა-ნი **ფრანჩესკო ტოტი**. ვერ ითამაშებენ **ჟუანი, პისარო, ტონეტო და კასეტი**. „ჯალოროსის" დამრიგებელი ოპტიმა-ლურ შემადგენლობას ვერ დააყენებს. მაგრამ გუნდმა იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურშიც ლიდერების გარეშე ითამაშა. „რომამ" „ატალანტას" ორი უპასუხო გოლით (**პანუჩი, ვუჩინიჩი**) მოუგო.

**დანიელე დე როსიმ** ბერგამოელებ-თან მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გა-მოტოვა. მან სასჯელი მოიხადა და საფ-რანგეთში უპრობლემოდ ითამაშებს. საეჭვოა ბრაზილიელი თავდამსხმელის **ჟულიო ბაპტიშტას** ასპარეზობა, მაგ-რამ სპალეტიმ ის საფრანგეთში მაინც წაიყვანა.

სავარაუდო შემადგენლობები

**ბორდო:** რამე, პლასენტე, დიავარა, ენრი-კე, შალმე, დიარა, ვენდელი, გუფრანი, გურ-კუფი, კავენაგი, შამაკი.

**რომა:** დონი, სისინიო, ლორია, პანუჩი, რიისე, დე როსი, მენეზი, აკვილანი, პეროტა, ტადეი, ვუჩინიჩი.

**მსაჯი:** ალბერტო მალენსო (ესპანეთი)

#### კლუჟი-ჩელსი

"ჩელსი" რუმინელ დებიუტანტებს სტუმრობს. ამ გუნდებმა პირველ მატ-ჩებში დამსახურებულად გაიმარჯვეს. "ბორდოსთან" ლონდონელების წარმა-ტება არავის გაჰკვირვებია. "კლუჟმა" კი ყველა გააოცა. მან სტუმრად "რო-მას" მოუგო. **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** მიმომხილველებს განუცხადა, ჩვენგან იოლ გასეირნებას ნუ ელითო.

"არისტოკრატები" რუმინეთში თა-მაშამდე ორი დღით ადრე ჩაფრინდნენ. სკოლარი მეტოქეს სიფრთხილით ეკი-დება. მერე რა, რომ "კლუჟს" გამოცდი-ლება აკლია. ორი კვირის წინ ამ ფაქტს რუმინელებისათვის ოდნავადაც არ შე-უშლია ხელი.

**ჯო კოული** შინ დარჩა. ტრავმის გა-მო ნახევარმცველმა "სტოკ სიტისთან" შაბათის მატჩიც (2:0) გამოტოვა. მას ბარძაყის კუნთი აქვს განწყვეტილი. და-შავებული იყო **სალომონ კალუც**, მაგ-რამ ის სწრაფად გამოჯანმრთელდა და რუმინეთში გაემგზავრა.

გასულ უქმეებზე "კლუჟს" მძიმე მატჩი ჰქონდა. მისი მეტოქე ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთი ბინადარი "სტიაუა" იყო. დაძაბული პაექრობა 1:1 დასრულ-და. "კლუჟი" სატურნირო ცხრილში მე-ხუთე საფეხურზე დარჩა.

სავარაუდო შემადგენლობები

**კლუჟი:** სტანჩოიუ, ტონი, კადუ, დე სოუ-ზა, ალვარო პერეირა, დუბარბიერი, დანი, მუ-რესანი, ტრიჩა, კულიო, კონე.

**ჩელსი:** პეტრ ჩეხი, ბოსინგვა, ალექსი, ტერი, ეშლი კოული, დეკუ, ბალაკი, ლემპარ-დი, მალუდა, დროგბა, ანელკა.

**მსაჯი:** ფლორიან მაიერი (გერმანია)

### B ჯგუფი

#### ანორთოსისი-პანათინაიკოსი

**თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისმა" ერთი დიდი სენსაცია მაშინ შემოგვთა-ვაზა, როდესაც ჩემპიონთა ლიგის ბო-ლო საკვალიფიკაციო ეტაპზე ბერძნულ გრანდ "ოლიმპიაკოსს" მოუგო. მეორე სენსაცია კი სულ რაღაც ორი კვირის წინ დაფიქსირდა: ლიგის დებიუტან-ტებმა ბრემენის "ვერდერთან" სტუმ-რად 0:0 ითამაშეს. თემურისა და მისი რაზმის მომდევნო მეტოქე ისევ ბერძ-ნული გრანდია. ქეცბაია შინ, ჩემპიონთა ლიგის მატჩს პირველად გამართავს.

სხვათა შორის, "პანათინაიკოსის" თავკაცმა **ჰენკ თენ კეიტმა** ათენში მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბი-ლისის "დინამო" დაამარცხა. ასე რომ, ქეცბაიას თანამემამულეთა გულისთ-ვისაც მართებს რევანშის აღება. ორი კვირის წინ "პანათინაიკოსმა" მილანის "ინტერს" უმასპინძლა და 0:2 წააგო.

"ანორთოსისმა" კვიპროსის ჩემპიო-ნატი შთამბეჭდავად დაიწყო: ოთხიდან ოთხი გამარჯვება. საუცხოო ფორმაშია პოლონეთის ნაკრების თავდამსხმელი **ლუკაშ სოსინი**, რომელმაც ოთხიდან სამ შეხვედრაში გაიტანა. მეორე სუნთ-ქვა გაეხსნა საბერძნეთის ნაკრების ყო-ფილ კაპიტან **ტრაიანოს დელასს**, რო-მელიც კვიპროსულ კლუბში აგვისტოს ტრანსფერებისას ჩაირიცხა.

ქეცბაიას საკადრო პრობლემები არ აქვს. მწყობრშია **სავიო ბორტოლინი** - 34 წლის ბრაზილიელი ვარსკვლავი, რო-მელსაც თავის დროზე მადრიდის "რე-ალში" არაერთი ჯილდო მოუგია. სავიომ "ანორთოსისს" აგვისტოში მიაშურა. მან კვიპროსელთა ბოლო ხუთ ოფიციალურ მატჩში შეუცვლელად ითამაშა და დაამ-ტკიცა, რომ ასაკის მიუხედავად, კიდევ ბევრის გაკეთება შეუძლია.

"პანათინაიკოსს" კაპიტანი და ცენ-ტრალური ნახევარმცველი **გიორგიოს კარაგუნისი** ვერ დაეხმარება. ტრავმის მიუხედავად, ის ნიქოზიაში მაინც გაემ-გზავრა, რათა თანაგუნდელები მინ-დორს მიღმა გაამხნევოს. განაცხადშია თინეიჯერი ვარსკვლავი **სოტირის ნი-ნისი**, რომელმაც რამდენიმე დღის წინ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე გა-აგრძელა. ვერ ითამაშებენ შვედი ნახე-ვამცველი **მიკაელ ნილსონი** და ხორვა-ტი თავდამსხმელი **ანტე რუკავინა.**

სავარაუდო შემადგენლობები

**ანორთოსისი:** ბაგალი, კაცავაკისი, ლე-ლვაკაბესი, დალასი, კონსტანტინუ, ნიკო-ლაუ, დობრასინოვიჩი, ჰავარი, ლაბანი, სა-ვიო, სოსინი.

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, ვინტრა, სარიეგი, სიმაო, სპიროპულოსი, ჟილბერტო სილვა, მატოსი, ციოლტსი, ივანშიცი, კლეი-ტონი, სალპიგიდისი.

**მსაჯი:** ერიკ ბრაამჰაარი (ჰოლანდია)

#### ინტერი-ვერდერი

გასულ უქმეებზე **ჟოზე მოურინიომ** მილანური დერბი წააგო (0:1). დღეს "ნე-რაძურის" კიდევ ერთი საინტერესო მატჩი აქვს. "ინტერი" ქულების განია-ვებას აღარ აპირებს.

ორი კვირის წინ "ინტერმა" სტუმ-რად "პანათინაიკოსს" სძლია (2:0). მოუ-რინიოს უმთავრესი ამოცანა ევროპუ-ლი თასის დაუფლებაა. სკუდეტო კარ-გია, მაგრამ **მასიმო მორატის** სკუდე-ტოები ყელში ამოუვიდა. მისმა გუნდმა იტალიის პირველობა ზედიზედ სამჯერ მოიგო. ახლა ევროპის დაპყრობის დროა.

"ინტერი" "ვერდერს" ოთხი წლის წი-ნაც შეხვდა. იტალიელებმა დამაჯერებ-ლად გაიმარჯვეს, 2:0. ორივე გოლი **ად-რიანომ** გაიტანა, რომელიც დღესაც ძირითადშია. "ვერდერს" სურს, "ანორ-თოსისთან" განიავებული ქულების შემდეგ მდგომარეობა გამოასწოროს. ოპტიმიზმის საფუძველს გერმანიის ჩემპიონატში ჩატარებული უკანასკნე-ლი მატჩები იძლევა.

„მუსიკოსებმა" ბუნდესლიგა უსახუ-რად დაიწყეს. მათ მხოლოდ მეოთხე ტურში გაიმარჯვეს (კოტბუსთან 3:0). სამაგიეროდ, ამას ფეერიული მატჩების სერია მოჰყვა - 5:2 "ბაიერნთან" (მიუნ-ხენში) და 5:4 გასულ უქმეებზე "ჰოფენ-ჰაიმთან". 13 გოლი ბოლო სამ შეხვედ-რაში ნებისმიერ გუნდს შეშურდებოდა.

"ინტერს" **ლუიშ ფიგუ** (ტერფის ტრავმა), **მაქსველი** (ბარძაყი) და **ლუის ხიმენესი** ვერ დაეხმარებიან. სავარაუ-დოდ, ძირითად შემადგენლობაში ითა-მაშებს **ნიკოლას ბურდისო**, რომელსაც მილანური დერბისას წითელი ბარათი აუფრიალეს. "ვერდერს" ნახევარმცვე-ლი **ფრანკ ბაუმანი** და თავდამსხმელი **მარტინ ჰარნიკი** დააკლდებიან. მათ სურდო შეეყარათ და გერმანიაში დარჩ-ნენ. აქილევსის მყესი აწუხებს კიდევ ერთ ნახევარმცველი **დანიელ იენსენს**. თავდამსხმელი **უგო ალმეიდა** და ზურ-გის ტრავმას იმუშებს.

სავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, მატე-რაცი, ბურდისო, კივუ, ძანეტი, კამბიასო, ვი-ეირა, მანსინი, ადრიანო, იბრაჰიმოვიჩი.

**ვერდერი:** ვიზე, ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, ბიონიში, ფრინგსი, ჰანტი, იოზილი, დიეგო, როზენბერგი, პისარო.

**მსაჯი:** ლუბომ მიხელი (სლოვაკეთი)

### C ჯგუფი

#### შახტარი-ბარსელონა

გასულ უქმეებზე "ბარსელონამ" კა-ტალონიურ დერბიში გაიმარჯვა. **პეპ გვარდიოლას** შეგირდებმა ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგეს. კრიზისზე საუ-ბარი დროებით შეწყდა. "ბარსამ" "ესპა-ნიოლთან" შემტევი ფეხბურთი აჩვენა (მეტოქის კარის მიმართულებით 31-ჯერ დაარტყა), ის ფეხბურთი, რომელ-საც "კამპ ნოუზე" ყველაზე მეტად აფა-სებენ.

"შახტარი" შინ ძლიერად თამაშობს. კატალონიელებმა დონეცკში პირვე-ლად 1978-79 წლების სეზონში ითამა-შეს. ისინი უკრაინაში 1:1 დასჯერდნენ. სამაგიეროდ, ორი მატჩის ჯამში 4:1 მო-იგეს და იმ წელს უეფას თასიც დაისა-კუთრეს.

მეორე ვიზიტი 2004-05 წლების სე-ზონში შედგა. ჩემპიონთა ლიგის ჯგუ-ფურ რაუნდში "შახტარმა" შინ 2:0 მოი-გო. ამის მიუხედავად, "ბარსამ" მეორე ადგილი დაიკავა და "მილანთან" ერ-თად, ფლეი ოფის საგზური მიიღო.

პირველი ტურში ორივე გუნდმა გაი-მარჯვა. "ბარსამ" შინ "სპორტინგს" მო-უგო (3:1), ხოლო "შახტარმა" სტუმრად „ბაზელი" დაამარცხა (2:1). თუ დღევან-დელი მატჩი ფრედ დასრულდება, ეს გუნდები მინიმუმ სამი კვირით პირველ და მეორე ადგილებს შეინარჩუნებენ.

დონეცკელთა საკადრო პრობლემე-ბის შესახებ ინფორმაცია არ გავრცე-ლებულა. გვარდიოლამ უკრაინაში 19-კაციანი შემადგენლობა წაიყვანა. გა-მოჯანმრთელდა **მარტინ კასერესი**, რომელმაც "ესპანიოლთან" მატჩი გა-მოტოვა. განაცხადშია სათადარიგო მე-კარე **ალბერტ ხორკერა**, რომელსაც მძიმე ტრავმის გამო ცხრა თვე გაუცდა.

სავარაუდო შემადგენლობები

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, კუჩერი, ჩიგ-რინსკი, შევჩუკი, ჟადსონი, ჰიუბშმანი, ფერ-ნანდინიო, ილსონი, ადრიანო, ბრანდაო.

**ბარსელონა:** ვალდესი, კასერესი, დანი-ელ ალვეში, პუიოლი, მარკესი, აბიდალი, ჩავი, ინიესტა, მესი, ანრი, ეტოო.

**მსაჯი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

#### სპორტინგი-ბაზელი

ამ გუნდებმა პირველი ტურის შეხ-ვედრები დათმეს. გასულ უქმეებზე "სპორტინგმა" "ბენფიკასთან" ლისაბო-ნური დერბიც წააგო (0:2). მთავარმა მწვრთნელმა **პაულუ ბენტუმ** თავი იმით დაიმშვიდა, რომ მის გუნდს ცუ-დად არ უთამაშია.

"ბაზელს" "სპორტინგთან" შარშან-დელი ანგარიში აქვს გასასწორებელი. გასულ სეზონში ეს გუნდები უეფას თას-ზე ასპარეზობდნენ. პორტუგალიელებ-მა შვეიცარიელი მეტოქე გზიდან ჩამოი-შორეს (ორივე შეხვედრაში სძლიეს).

გასულ უქმეებზე, "ბაზელიც" და-მარცხდა (1:2 "იანგ ბოიზთან"). შვეიცა-რიელთა დამრიგებელმა **კრისტიან გრ-ოსმა** ნაგება თავდამსხმელების სუსტი თამაშით ახსნა. რაც შეეხება დღევანდ-ელ შეხვედრას, გროსს მიაჩნია, რომ მე-ტოქე დიდ შეცდომას დაუშვებს, თუ მის გუნდს არასერიოზულად მოეკიდება.

"სპორტინგს" ორი ნახევარმცველი, **მარკო კანეირა** და **მარატ იზმაილოვი** ჰყავს დაშავებული. კანეირა საზარ-დულს იტკიებს, იზმაილოვი მუხლს. მათ "ბენფიკასთან" დერბიც გამოტოვეს. დღეს მათი ასპარეზობა საეჭვოა. თა-დარიგში იქნება კიდევ ერთ ნახევარმც-ველი **სიმონ ვუკჩევიჩი**. ის ვარჯიშისას დაშავდა. პაულუ ბენტუმ განაცხადში შეიყვანა ბრაზილიელი თავდამსხმელი **ლიდსონი**, რომელსაც მუხლის ტრავ-მის გამო აპრილის შემდეგ არ უთამაშია.

სავარაუდო შემადგენლობები

**სპორტინგი:** რუი პატრისიო, აბელი, ტო-ნელი, პოლგა, გრიმი, მიგელ ველოსო, როშემ-ბაკი, ჟოაო მოუტინიო, რომანიოლი, იანიკი, ელდერ პოშტიგა.

**ბაზელი:** კოსტანსო, ჰოდელი, აბრაა-მი, მარკი, ზანი, ჩიპერფილდი, გელაბერ-ტი, ჰუგელი, შტოკერი, კარლიტოსი, დერ-დიოკი.

**მსაჯი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)

### D ჯგუფი

#### ატლეტიკო-მარსელი

"ატლეტიკოს" ფრანგულ კლუბთან საშინაო მატჩი არასოდეს წაუგია (სამი მოგება, ერთი ფრე). გასულ უქმეებამდე მადრიდელებს შინ საერთოდ არ ჰქონ-დათ წაგებული (მიმდინარე სეზონში), მაგრამ "სევილიასთან" მინიმალურად დამარცხდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ შანსი "მარსელსაც" აქვს.

"ოლიმპიკი" საფრანგეთის ჩემპიო-ნატში დაუმარცხებლად ასპარეზობს, მაგრამ ჩემპიონატსა და საფრანგეთის თასზე ჩატარებული ბოლო ხუთი შეხ-ვედრიდან მხოლოდ ერთის მოგება მოა-ხერხა.

"ატლეტიკოს" **მანიშე** უბრუნდება. გამოჯანმრთელდა **ჯონი ჰეიტინგაც**. **ხავიერ აგირეს** ჰოლანდიელი მცველი ძალიან სჭირდებოდა. "სევილიასთან" მატჩისას მას ორი უკანახაზელი - **პაბ-ლო** და **მარიანო პერნია** დაუშავდა. ვერ ითამაშებს ძირითადი შემადგენლობის კიდევ ორი მოთამაშე, **დიეგო ფორლა-ნი** და **სიმაო საბროსა**.

"მარსელი" ესპანურ კლუბს უკანას-კნელად 2005 წელს, ინტერტოტოს თას-ზე შეხვდა. მან "დეპორტივო" ორი მატ-ჩის ჯამში 5:3 დაამარცხა. "ატლეტიკო" ფრანგებს უკანასკნელად რვა წლის წინ გადაეყარა. 2000 წელს მისი და "ლან-სის" დაპირისპირება ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა, 4:2 (ორი მატჩის ჯამში).

"მარსელის" თავკაც **ერიკ გერეტსს** ოპტიმალური შემადგენლობის გამოყ-ვანა შეუძლია. მწყობრშია ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **ბუ-დევიინ ზენდენი**, რომელსაც ჩემპიონ-თა ლიგაში "ბარსელონისა" და "ჩელ-სის" შემადგენლობაში უთამაშია.

სავარაუდო შემადგენლობები

**ატლეტიკო:** კუპე, პერეა, უიფალუში, ჰე-იტინგა, ლოპესი, მაქსი როდრიგესი, მანიშე, რ.გარსია, ლ.გარსია, სინამა პონგოლე, აგუ-ერო.

**მარსელი:** მანდანდა, ბონარტი, ჰილტო-ნი, ზუბარი, ტაივო, ვალბუენა, შეირუ, კანია, არფა, ნიანგი, კონე.

**მსაჯი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

#### ლივერპული-ეინდჰოვენი

2006-07 წლების სეზონში ეს გუნდე-ბი ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ჰო-ლანდიის ჩემპიონებმა "ლივერპულს" ერთი გოლიც კი ვერ გაუტანეს. იმ წელს მერსისაიდელებმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში გააღწიეს, სადაც "მილანმა" სძლია.

"ლივერპული" პრემიერლიგაში და-უმარცხებლად ასპარეზობს. მან ორი პრინციპული თამაში მოიგო: "მანჩეს-ტერ იუნაიტედსა" და "ევერტონთან". მიმომხილველები ერთხმად აღნიშავენ, რომ ამ სეზონში **რაფა ბენიტესს** შარ-შანდელზე უკეთესი გუნდი ჰყავს. დღეს გუნდს **ხავიერ მასკერანო** დაუბრუნ-დება. არგენტინელმა ტრავმა მოიშუშა.

ორი კვირის წინ ინგლისელებმა მარსელში სამი ქულა მოიხვეჭეს (2:0). "ეინდჰოვენი" შინ "ატლეტიკოსთან" ვერაფერს გახდა (0:3). რაფა ბენიტესს სურს, ფლეი ოფის საგზური, რაც შე-იძლება, მალე მოიპოვოს, რომ მერე პრემიერლიგაზე გადაიტანოს ყუ-რადღება.

მასკერანოს გარდა, "ლივერპულს" კიდევ ერთი ნახევარმცველი **იოსი ბე-ნაიუნი** გამოუჯანმრთელდა. "ეინდჰო-ვენს", პირიქით, წამყვანი ნახევარმცვე-ლი **იბრაჰიმ აფელაი** არ ეყოლება. გა-სიებული თითის გამო ის ინგლისში ვერ გაემგზავრა.

სავარაუდო შემადგენლობები

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგე-რი, აგერი, დოსენა, ალონსო, მასკერანო, ჯე-რარდი, კუიტი, რობი კინი, ტორესი.

**ეინდჰოვენი:** ისაკსონი, კრომკამპი, სალ-სიდო, მარსელისი, ბრეშე, ვუიტენსი, სიმონ-სი, მენდესი, ლაზოვიჩი, ჟუჟაკი, კოვერმანსი.

**მსაჯი:** ფელიქს ბრაიხი (გერმანია)

**შალვა ბიბილაშვილი**

ინტერვიუ ვისენტე დელ ბოსკესთან

# ფეხბურთს საფრთხე არასოდეს დაემუქრება

## მთავარია, მწვრთნელებმა ნიჭიერ ფეხბურთელებს ხელი არ შეუშალონ



ესპანეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მზადებას მალე შეუდგება. „სელექსიონის“ დამრიგებელ ვისენტე დელ ბოსკეს შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია. ის, ალბათ, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებისა და პრიმერა დივიზიონის მორიგი ტურის დასრულებას ელოდება. მთავარი მწვრთნელი ეროვნული გუნდის კანდიდატებს საგულდაგულოდ დააკვირდება და არჩევანს ბოლო მომენტში გააკეთებს.

**- მალე 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მზადებას დავიწყებთ. ესპანეთს ესტონეთსა და ბელგიასთან შეხვედრა ელის. რას პირდებით გულშემატკივრებს?**

- ესპანეთის ნაკრები ფეხბურთელთა ძლიერი ბირთვისგან შედგება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეს „სელექსიონში“ მოხვედრის ექსკლუზიური უფლება აქვს. შანსი აბსოლუტურად ყველა ესპანელ ფეხბურთელს გააჩნია. ეროვნული გუნდი არ არის ჩაკეტილი საზოგადოება. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, გარკვეული ცვლილებები განვახორციელო. ამა თუ იმ ფეხბურთელის შანსი ყოველი ტურის წინ იზრდება, თუმცა თუ თავიანთ უპირატესობას ვერ დაამტკიცებენ, ეს შანსი, რა თქმა უნდა, გაქრება. მოკლედ, როგორც ყოველთვის, ესპანეთის ნაკრების კარი მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებისთვისაა ღია.

**- მატასა და ნეგრედოს შანსებზე რას გვეტყვით?**

- ისინი ახალგაზრდა ბიჭები არიან. მათ თამაშს, ცხადია, საგულდაგულოდ ვაკვირდები. სხვათა შორის, მე მხოლოდ მატასა და ნეგრედოს არ ვუთვალთვალებ. 21-წლამდელთა ნაკრებში არაერთი ნიჭიერი ბიჭი ასპარეზობს. შანსი ნებისმიერ მათგანს მიეცემა. მთავარია, შესაძლებლობები გამოამჟღავნონ და დაამტკიცონ, რომ უბრალო მოთამაშეები არ არიან.

**- რას ნიშნავს უბრალო მოთამაშე?**

- ალბათ, ეს ტერმინი არ მოგეწონათ, მაგრამ უჩვეულო არაფერი მითქვამს. ესპანეთში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ფეხბურთელთა უმრავლესობა ნაკრებში თამაშს არ იმსახურებს. აი, სწორედ ისინი არიან ჩვეულებრივი მოთამაშეები. კონკურენციას საკუთარი კანონები აქვს, ასე რომ, ეროვნული გუნდის კარი მხოლოდ საუკეთესოებისთვის იქნება ღია.

**- ბოიან კრკიჩიც ახალგაზრდაა, მაგრამ რატომღაც მეჩვენება, რომ ნაკრებში მოხვედრა მას თანატოლებზე ბევრად უფრო გაუადვილდება. მეთანხმებით?**

- გულწრფელად გეტყვით, რომ ბოიანის დიდი გულშემატკივარი ვარ. ისევე როგორც არანაკლებ ნიჭიერი ბიჭების, დე ლა რედის, პედრიტოსა და პიკესი. სიმართლე გითხრათ, მე თქვენი კითხვის პათოსი არ მესმის. რა გაქვთ იმის საწინააღმდეგო, თუ ბოიანი ნაკრებში მოხვდება? თუმცა თავად ვაღიარებ, რომ მას გამოცდილება აკლია. ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება იოლი არ იქნება. მათ მოთმინება უნდა გამოიჩინონ. კლუბში გამოცდილება გაიღრმავონ და შანსს დაელოდონ. თუ პროგრესს გააგრძელებენ, ხსენებული ახალგაზრდა ფეხბურთელები შემადგენლობაში აუცილებლად მოიკიდებენ ფეხს. ხომ იცით, ჩვენს გუნდში უდიდესი კონკურენციაა. გულუბრყვილობა იქნება იმაზე ფიქრი, რომ იგივე ბოიანი ერთ, ან ორ დღეში გახდება „სელექსიონის“ ერთ-ერთი ლიდერი.

**- ესპანეთი გარემარბებს სულ უფრო და უფრო ინტენსიურად იყენებს. ეს თქვენი ტაქტიკური ჩანაფიქრია?**

- განაპირა ნახევარმცველებით ან გნებავთ, გარემარბებით შეტევაში აქტიური თამაში ტაქტიკური ჩანაფიქრი არ გახლავთ. ეს ერთ-ერთი ალტერნატივაა. ფეხბურთში სწორხაზოვნება დაუშვებელია. ასე რომ, გარემარბი თამაშის მრავალფეროვნებას განაპირობებს, ეს ერთ-ერთი საშუალებაა იმისთვის, რომ შეხვედრა მოიგო.

**- ასეა თუ ისე, გარემარბებს სისტემატურად იყენებთ. როგორ ფიქრობთ, ეს ჩვენი ნაკრების სავიზიტო ბარათია? არადა, მე თუ მკითხავთ, „სელექსიონის“ კოზირი მოკლე პასები და კომბინაციური თამაშია...**

- კი მაგრამ, ვინ გითხრათ, რომ ერთი მეორეს გამორიცხავს? დიახ, ესპანეთის საუკეთესო თვისება, კომბინაციური ფეხბურთია, მაგრამ რატომ გგონიათ, რომ კომბინაციურობა გარემარბის ინსტიტუტს გამორიცხავს? სულაც არა, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია, რომ გარემარბები კომბინაციური თამაშის კონტექსტში ჩავსვათ. თქვენ არ იცით, ამის უკან რამხელა ალმაფრენა იმალება. რა ჯობია, როცა კომბინაციის მონაწილე ტექნიკური გარემარბი ხდება. აი, ისეთი, როგორიც ლუიშ ფიგუ იყო.

**- მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ახალი დანიშნული იყავით, როცა განაცხადეთ, რომ ესპანეთის ნაკრებს მრავალი საფრთხე შეიძლებოდა დამუქრებოდა. ეს საფრთხე აღარ არსებობს, თუ ისევ მობილიზებული უნდა ვიყოთ?**

- როცა საფრთხეზე ვლაპარაკობდი, რა თქმა უნდა, მოტივაციის დაკარგვის შესაძლებლობას ვგულისმობდი. „სელექსიონმა“ ევროპის ჩემპიონატზე გაიმარჯვა. ეს ისტორიული წარმატებაა. დიდი გამარჯვებების შემდეგ გუნდებს ერთგვარი ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნებათ. მეც სწორედ ეს მაშინებს. ეს საფრთხე ჯერაც არ მოხსნილა. იმედია, ბიჭები ყველაფერს სწორად გააანალიზებენ და ახალ მოტივაციას იპოვნიან. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მოტივაციის გარეშე არაფერი გამოვა. გუნდი ერთობლიობაა, ერთ მუშტად შეკრული ორგანიზმი და თუ ამ გუნდის ერთი წევრი მაინც ჩათვლის, რომ დიდ მიზანს მიაღწია და გასაკეთებელი აღარაფერია, საქმე უფსკრულისკენ წავა.

**- არ შეიძლება ამ ერთი ფეხბურთელის მოკვეთა და პრობლემის მოგვარება?**

- ჯერ ერთი, მოტივაცია შეიძლება, ერთბაშად რამდენიმე მოთამაშემ დაკარგოს, ეს კატასტროფა იქნება. თუნდაც ეს პრობლემა ერთ კაცს შეექმნას, სიტუაცია მაინც გამწვავდება. დავუშვათ, ამ პრობლემას წამყვანი მოთამაშე წააწყდა. განა მისი გაშვება დიდი დანაკლისი არ იქნება? ვთქვათ, ის დავიდ ვილია იყოს. მიპასუხეთ, გული არ გეტკინებათ, დავიდი ესპანეთის ნაკრებიდან რომ გავუშვა?

**- რა თქმა უნდა, მაგრამ თუ არ დაიმსახურებს, უნდა გაუშვათ.**

- ყველაზე იოლი ამა თუ იმ მოთამაშის ნაკრებიდან გაგდებაა, მაგრამ მთავარმა მწვრთნელმა იმდენი უნდა შეძლოს, რომ მისმა შეგირდებმა მოტივაცია არ დაკარგონ. ხომ ხვდებით, ეს რამდენად მნიშვნელოვანია. შეიძლება, ადამიანმა ფიზიკური ფორმა დაკარგოს, მაგრამ არ უნდა დავუშვათ, რომ მას მენტალური სახის პრობლემები შეექმნას. ადამიანი ჰომოსაპიენსია და თუ თანდაყოლილი ან გენეტიკური დაავადება არ აქვს, საკუთარი გონება სწორად უნდა მართოს.

**- დავიდ სილვას ტრავმა ნახევრდაცვისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია?**

- არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩვენ ამა თუ იმ ტრავმირებული ფეხბურთელის ღირსეულად შეცვლას ვერ შევძლებთ, თუმცა ფაქტია, სილვა არაჩვეულებრივი ფეხბურთელია და გული დამწყდა, რომ ტრავმა მიიღო. სამწუხაროდ, ფეხბურთი ტრავმებისგან არასოდეს იქნება დაზღვეული. მოკლედ, დავიდს თანავუგრძნობ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ის მეტნაკლებად უმტკივნეულოდ შევცვალოთ.

**- ცოტა ხნის წინ მწვრთნელების საერთაშორისო კონგრესზე იყავით. როგორი შთაბეჭდილებებით ჩამოხვედით?**

- არაჩვეულებრივი იყო. ძალიან კმაყოფილი ვარ. კარლოს ალბერტო პარეირამ დაუვიწყარი მოხსენება გააკეთა. აშკარად ეტყობოდა, რომ ის მსოფლიო ჩემპიონი მწვრთნელია. პროფესიული ნიუანსებით გაჯერებული მოხსენებები მოვისმინეთ. ვმსჯელობდით, ფეხბურთი უსახურობისგან როგორ უნდა დავიცვათ. მენეჯერებსაც მოვუსმინეთ. იყო კამათი, ზოგი ამბობდა, რომ ზედმეტი კომერცია ფეხბურთს საფრთხეს უქმნის, თუმცა უმეტესობამ ეს მოსაზრება არ გაიზიარა. მოკლედ, ძალიან კმაყოფილი გახლავართ.

**- საინტერესოა, ფეხბურთი უსახურობისგან როგორ უნდა იქნას დაცული?**

- ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება შეიძლება არსებობდეს. მე თუ მკითხავთ, ფეხბურთი უსახურობისგან ანთებულმა გულმა უნდა გადაარჩინოს. უნიჭო ფეხბურთელი ლამაზად ვერასოდეს ითამაშებს. ის ყოველთვის სხვა ხერხების გამოყენებით ეცდება ფონს გასვლას. ასეთმა მოთამაშემ გუნდმა რაოდენ დიდ წარმატებასაც არ უნდა მიაღწიოს, სილამაზისა და ესთეტიკის მოთხოვნილება არ ექნება. ხოლო, როცა ფეხბურთელს ბუნებისგან ნაბოძები ნიჭი აქვს, ის მუდამ იმას ცდილობს, რომ ამ ნიჭიერების ხარჯზე სხვებისგან გამორჩეული იყოს. მთავარია, მწვრთნელმა ნიჭიერ შეგირდს ტალანტის წარმოჩენის შანსი არ მოუსპოს. ღრმად მწამს, რომ ნიჭიერი ფეხბურთელები არასოდეს გამოილევიან. ასე რომ, თუ მწვრთნელები გონივრულად მოიქცევიან, ფეხბურთს საფრთხე არასოდეს დაემუქრება.

პოსტფაქტუმ...

# რობინიო: რეალში ცუდი ატმოსფერო იყო




„მანჩესტერ სიტიში“ გადასვლის შემდეგ **რობინიომ** „რეალი“ სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენჯერმე გააკრიტიკა. როგორც ჩანს, ბრაზილიელ ფორვარდს გულში ბოლმა დაუგროვდა და ნისლიანი ალბიონზე ცდილობს ამ ბოლმისგან დაცლას. თუ აქამდე კრიტიკა ძირითადად კლუბის ხელმძღვანელობას შეეხებოდა, ამჯერად სამხრეთამერიკელი თანაგუნდელებსაც გადასწვდა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით თავად რობინიოს გუშინდელ განცხადებას გაგაცნობთ:

*„რაც დრო გადის, უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ „მანჩესტერ სიტიში“ გადმოსვლით სწორი გადაწყვეტილება მივიღე. აქაური ატმოსფეროთი აღფრთოვანებული ვარ. გულწრფელად ვიტყვი, რომ სამეფო კლუბში არცთუ ჯანსაღი ატმოსფერო სუფევდა. ალბათ, ამ თვალსაზრისით ჩემი წამოსვლის შემდეგაც არაფერი შეცვლილა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ფეხბურთელებს ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება არ ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, იქ ერთსულოვნებას ვერ ვხედავდი. ძალიან ბევრი მოთამაშე ავადმყოფური ეგოიზმით არის დაავადებული. მადლობა ღმერთს, „სიტიში“ აბსოლუტურად განსხვავებული ატმოსფეროა. აქ ყველა ერთმანეთის მეგობარია. ფეხბურთელები ერთმანეთს მხარში ვუდგავართ. ინგლისში არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს და დარწმუნებული ვარ, რომ პრემიერლიგაში კარიერის საუკეთესო წლებს გავატარებ. ეჭვი არ მეპარება, გუნდის ხელმძღვანელობა არასოდეს ინანებს, რომ ჩემ სანაცვლოდ საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა. წარმატებული თამაშისთვის აბსოლუტურად ყველა პირობა მაქვს“.*

რა შეიძლება ამაზე ითქვას? ალბათ, ყველა ადამიანი თავად გამოიტანს დასკვნას, ამიტომ კომენტარისგან თავს შევიკავებთ. თუმცა ერთი რამ უდავო ფაქტია. ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც რობინიომ „რეალი“ დატოვა და „მანჩესტერ სიტისთან“ გააფორმა კონტრაქტი. მას შემდეგ ბრაზილიელი ყოფილი კლუბის გაკრიტიკების შანსს ხელიდან არ უშვებს. თვალში საცემია, რომ მისი სიტყვები ბოლმითა და წყენითაა აღსავსე. ბუნებრივია, რობინიო უმიზეზოდ ასე არ მოიქცეოდა. სხვა საკითხია, რამდენად მისაღებია ეს მიზეზი, მაგრამ უდავოა, რომ სამხრეთამერიკელი მადრიდელთაგან შეურაცხყოფილად გრძნობს თავს. ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზი, ალბათ, გაჭიანურებული სატრანსფერო მოლაპარაკება გახლდათ. გემახსოვრებათ, რობინიოს გადაბირების სურვილი „ჩელსის“ ჰქონდა, მაგრამ **რამონ კალდერონმა რომან აბრამოვიჩის** წინადადება უარყო და ფეხბურთელი ლონდონში არ გაუშვა. არადა, ბრაზილიელს „სტემფორდ ბრიჯზე“ თამაში ძალიან უნდოდა. კალდერონის გაჯიუტების გამო რობინიო კინაღამ მადრიდში დარჩა. „სიტისთან“ მოლაპარაკებები სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე მცირე ხნით ადრე დასრულდა. სავარაუდოა, რომ რობინიოს სწორედ ასეთი დამოკიდებულება არ მოეწონა. ის ალბათ, ყოფილი თანაგუნდელების ინერტულობითაც უკმაყოფილო დარჩა და ახლა ნისლიანი ალბიონიდან სამეფო კლუბის დაკნინებას ცდილობს.

ამ მასალას ისევ რობინიოს სიტყვებით დავასრულებთ: *„დღითიდღე უფრო ბედნიერად ვგრძნობ თავს. ახალ გუნდს არაჩვეულებრივად შევეწყვე. დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე „მანჩესტერ სიტი“ ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი გახდება. ამ გუნდს საამისოდ ყველა პირობა აქვს. „სიტიში“ ყველა იმ თვისებას გამოვავლენ, რასაც მადრიდში ჯეროვნად არ აფასებდნენ. რაც დრო გავა, უფრო ტექნიკურ ფეხბურთს ვითამაშებ. ჩემი გუნდის გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ მალე პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად მაღიარებენ. რამდენიმე კვირა მაცადეთ და ინგლისი საუკეთესო რობინიოს გაიცნობს“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშლილი გენიოსი

# ნართმეული დღესასწაულის მოკლე ისტორია

წლების წინ სახელოვანმა ინგლისელმა მწვრთნელმა **ბობი რობსონმა** არანაკლებ სახელოვან **პოლ გასკოინს** შეშლილი უწოდა და თქვა, მალე ამაში ყველა დარწმუნდებითო. სერ ბობი მართალი აღმოჩნდა. იმხანად პოლის ოინები ეჭვის საფუძველს ნაკლებად იძლეოდა, თუმცა ინგლისელთა ყოფილი დამრიგებელი ამაში უკვე დარწმუნებული იყო. ფეერიული თამაშების გარდა, გაზა საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო სამყაროს ყურადღებას არანორმალური გამოხდომებითაც იქცევდა.

ჩვენს დროში ამ ადამიანზე სხვაგვარი დასკვნის გამოტანა ძნელია. შეუძლებელია არ დაიჯერო, რომ გაზა მართლა შეშლილია - გასკოინი აგვისტოს პირველ რიცხვებში ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოვიდა და განაცხადა, რომ ამიერიდან მან მართლა ისწავლა ჭკუა... და რამდენიმე დღეში მორიგ თავგადასავალში გაეხვია.

გაზას თამაშიც კაცურად შეეძლო, გართობაც, გნებავთ დალევა თუ ტირილი... 1990 წლის 4 ივლისი, ტურინი, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი ინგლისი-გერმანია, შეხვედრის 99-ე წუთი. 23 წლის ფეხბურთელმა ჩემპიონატზე მეორე უაზრო ყვითელი ბარათი დაიმსახურა. ცხადი გახდა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინგლისი ფინალში გავიდოდა, გადამწყვეტ შეხვედრაში ის მაინც ბორტს მიღმა დარჩებოდა. მსოფლიომ მაშინ პირველად იხილა, თუ როგორ ატირდა ფეხბურთელი. გენიოსი და უჭკუო, მომხიბვლელი და ცინიკოსი, ხუმარა და ლოთი, მსოფლიოს ელჩი და დეპრესიული დებოშირი - აი, ეს არის იმ კომპლიმენტების ნაწილი მისთვის რომ უწოდებიათ. მას მერეც, რაც პოლი ფეხბურთიდან წავიდა, მასში არ გამქრალა უნარი, რომ საზოგადოების ყურადღება პირადი ცხოვრების ყოველი წვრილმანით მიეპყრო. ბრიტანეთმა სამიოდე წლის წინ, ნოემბრის ცივ დღეს მთელი კუნძულის უსაყვარლესი შვილი **ჯორჯ ბესტი** მიწას მიაბარა, გაზა კიდევ მის გზას ადგას და თავს იკლავსო, - წერენ ინგლისელი ჟურნალისტები. ბრიტანეთს არ სურს, მეორე გენიოსსაც უდროოდ გამოეთხოვოს.

ზემოთაც დავწერეთ, რომ რამდენიმე კვირის წინ ის ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოწერეს, სადაც ექიმი **ჯონ მაკიოუნი** ალკოჰოლიზმის, დეპრესიისა და პარანოიისაგან მკურნალობდა (ამ უკანასკნელის გამო გაზამ მაისში კინაღამ თავი მოიკლა). დოქტორ მაკიოუნს უკვე თვლა აერია, თუ მერამდენედ გადის პოლი ამ კურსს. მას პაციენტთან ინტენსიური ურთიერთობა უკვე 10 წელია, აქვს. სწორედ მან დაარწმუნა პოლი, რომ მისი ხსნა მხოლოდ ოჯახს შეუძლია. ფსიქიატრიული კლინიკა ლონდონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. პოლს იქ ყოველდღიურად აკითხავდნენ მამა, დები, ძმები, ასევე ყოფილი მეუღლე **შერილი** და შვილი **რეგანი**.

საავადმყოფოდან გამოსვლისას გაზა უმალ პაპარაცების რადარებზე გამოჩნდა. პოლმა მათ ობიექტივებს მცირე ხნით თავი აარიდა და დასასვენებლად პორტუგალიაში გაემგზავრა. სექტემბრის შუა რიცხვებში პოლი შინ, მშობლიურ ქალაქ დანსტონში დაბრუნდა და მეორე დღესვე შარში გაყო თავი. დილას, ჯერ კარგად გათენებულიც არ იყო, როცა ვეტერანი ფეხბურთელი სახლიდან გამოვიდა, ცოტა ხანს მანქანით ისეირნა, მერე კი „რატომღაც" დალევის უსაშველო სურვილმა შეიპყრო. გაზამ მანქანა პირველივე ბართან გააჩერა, გადმოვიდა და შესასვლელისკენ გაემართა. მისდა გასაკვირად, ლუდის ბარი დაკეტილი დახვდა. ამან ის არ „დააბნია", ჯიბიდან საკუთარი სახლის გასაღები ამოიღო და კარების გაღება სცადა. რაკი ამ მეთოდმა არ გაამართლა, ბარს გარშემო შემოუარა, ყოველი შემთხვევისთვის, ფანჯრებში შეიჭყიტა, იქნება და იქ ვინმე ყოფილიყო... უცბად თვალი მოჰკრა, რომ მის საქმიანობას „მორიგე" პაპარაცი ადევნებდა თვალს. ვინ იცის მერამდენედ, მან ფოტორეპორტიორზე გაიწია და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ორიოდე წუთში ადგილზე პოლიცია მივიდა და გასკოინი დააკავა.




2001 წელს პოლმა გულწრფელად აღიარა, რომ ის ალკოჰოლიზმით იყო დაავადებული. ამის მიუხედავად, მისმა დიდი ხნის მეგობარმა **უოლტერ სმიტმა**, ვისთან ერთადაც მას „რეინჯერსში" სამი წარმატებული სეზონი ჰქონდა ჩატარებული, ნდობა კიდევ ერთხელ გამოუცხადა და თავისთან „ევერტონში" წაიყვანა. ამავე წლის ზაფხულში გაზა გუნდთან ერთად ამერიკაში, არიზონის შტატში გაფრინდა შეკრებაზე, მაგრამ ფეხბურთელმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ კლინიკა „ფენიქსში" დაწოლილიყო, სადაც ის ალკოჰოლიზმისგან განიკურნებოდა. გუნდის ხელმძღვანელობამ მისი გადაწყვეტილება მოიწონა.გაზამ 28-დღიანი კურსი ჩაიტარა. *„მკურნალობის შემდეგ აღარ ვდგამ სულელურ ნაბიჯებს. გასახდელშიც ნორმალურად ვიქცევი, ვმხიარულობ, ვხუმრობ, ვცდილობ, ხალისი შევიტანო და ბიჭებიც აღარ ჩქარობენ პრესას გაანდონ ყველაფერი ის, რასაც ჩავდივარ. ვცდილობ, ყველას დავანახვო, თუ როგორ მიყვარს თითოეული მათგანი,"* - განუცხადა ერთ-ერთ ბრიტანულ გაზეთს პირველი ევერტონული შეკრების შემდეგ ვარსკვლავმა. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელი ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა მკურნალობას და პრევენციის მიზნით ხშირად მიფრინავდა არიზონაში. მიუხედავად სერიოზული განწყობისა, მან მაინც ვერ მოახერხა ძველ დონეზე დაბრუნება, რაშიც უპირველესი დამნაშავე ტრავმები იყო. განსაკუთრებით გართულდა მისი მარჯვენა მუხლის მდგომარეობა. მალე უოლტერ სმიტი „ევერტონიდან" გაუშვეს და რახან ძლიერი მფარველი გვერდში ველარ დაიგულა, თავადაც დატოვა „გუდისონ პარკი". გაზამ ქვედა დივიზიონის „ბარნლის" მიაშურა, სადაც სულ რაღაც ექვსი თამაშის ჩატარება მოახერხა. გასკოინი მიხვდა, რომ ეს უკვე დასასრული იყო... გამოსავლის ძიებაში მან თვალი ისევ ბოთლისკენ გააპარა. სმას განსაკუთრებით შერილთან შერიგების უშედეგო მცდელობის შემდეგ მოუმატა. *„მუდამ მარტოსულად ვგრძნობ თავს, მაშინაც კი, როცა მეგობრების გარემოცვაში ვარ,"* - დაიჩივლა პოლმა და განაგრძო *„ბოთლთან მეგობრობა და მასთან ყოველ საღამოს ხმაშეწყობილი საუბარი"*.

2003 წელს მას კიდევ ერთი შანსი მიეცა, რომ საყვარელი საქმე მცირე ხნით მაინც ეკეთებინა და ბურთი ეგორებინა. ჩინეთის მეორე დივიზიონის „ჰანსუ ტიანმამ" მას ცხრათვიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 400 000 გირვანქა აღუთქვა. ჩინეთში წასვლამდე გაზამ საქმეს ხელი კიდევ ერთხელ სერიოზულად მოჰკიდა - ვარჯიშებზე იმდენად სერიოზულად იხარჯებოდა, რომ ერთხელ გულიც კი წაუვიდა, რადგან არტერიულმა წნევამ დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა. აღმოსავლეთში დასავლელ ვარსკვლავს ტრანსპარანტებითა და აღტაცებული შეძახილებით შეეგებნენ, გაცილებით კი წყევლა-კრულვით გააცილეს. განა, რა დააშავა ასეთი? ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ (სასტარტო 4 ტურში 2 გოლი), მან მკურნალობის მიზნით შეერთებულ შტატებს მიაშურა. რამდენიმე კვირაში კი ატიპური პნევმონიის საფრთხის მომიზეზებით უკან აღარც ჩასულა. *„იქაურობა ჯოჯოხეთი იყო. ასე ცუდად ვერსად ვიგრძნობდი თავს,"* - თავი იმართლა ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ფეხბურთელმა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ის სინჯებს... „ვულვერჰემპტონში" დათანხმდა. ყველაფერმა უქმად ჩაიარა. 2004 წელს გაზამ ისევ შტატებში ამოყო თავი, ამჯერად ბოსტონში და ადგილობრივ „ბოსტონ იუნაიტედში" ხუთი უსახური თამაში ჩაატარა. კარიერის უკანასკნელ თამაშში გასკოინმა კისრის ტრავმა მიიღო. ფარდა საბოლოოდ დაეშვა. ოქტომბერში, მას მერე, რაც პოლმა კუჭის წყლულზე ოპერაცია გაიკეთა, ლონდონში სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა, იქვე თქვა, რომ მწვრთნელის რანგში აპირებდა ძალების მოსინჯვას. უცნაური იყო პრესკონფერენციაზე მისი დასკვნითი სიტყვა: *„აღარ მსურს, ვიყო პოლი ან უბრალოდ გაზა. ეს სახელები წარსულს მაჯაჭვავენ და მოსვენებას მიკარგავენ. შეგიძლიათ ამიერიდან* **G-8** *(***G***, გვარის პირველი ასო და* **8***, ნომერი, რომლითაც ის მთელი კარიერა თამაშობდა) დამიძახოთ."* მას საკუთარი თავისგან გაქცევის მწველი სურვილი კლავდა. ორიოდე თვეში „ჯი ეითი" რამდენიმე კვირით საწოლს სწორედ იმ დაავადებამ მიაჯაჭვა, რასაც ის ჩინეთიდან გამოექცა - პნევმონიამ. ცოდვა გამხელილი სჯობსო და გაზამ შიდსზე ჩააბარა ანალიზი. ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

2005 წლის აგვისტოში პოლ გასკოინმა ოცნება აისრულა და სამოყვარულო ლიგის „კეტერინგ თაუნი" ჩაიბარა. პირველივე ვარჯიშზე გუნდის საწვრთნელ მოედანზე პოლი ადრიანად გამოცხადდა, ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად დამუხტა, ავარჯიშა და იმავე საღამოს გვარიანად გაილეშა. მისი ხელმძღვანელობით „კეტერინგმა" პირველივე შეხვედრა „პოპისს" მოუგო. პირველი დღის განრიგის შეცვლას პოლი არც აპირებდა. დილას წვრთნა, საღამოს დალევა. ასე გაგრძელდა 39 დღის განმავლობაში. კლუბის მეპატრონეებს ყელში ამოუვიდათ გაზას ლოთობა და კარისკენ მიუთითეს. პოლმა, რა თქმა უნდა, იმ საღამოსაც დალია, ცუდ ხასიათზე მყოფს ერთ-ერთი პაპარაცი ხელში ჩაუვარდა და საბრალოს წვერის გაპუტვას გაზა მონდომებით შეუდგა... მეორე დღეს ინგლისურმა ტაბლოიდებმა პირველ გვერდებზე გამოაჭენეს.

გასკოინს ცხოვრებაში მხოლოდ სკანდალებით არ გაუთქვამს სახელი. 2006 წლის აგვისტოში, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ, იცოდა რა, რომ პოლს ცხოვრებაში სმაზე მეტად მხოლოდ ბავშვები უყვარდა, სთხოვა მას, რომ „ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი მეკარე **რეი კლემენსთან** ერთად მონაწილეობა მიეღო აქციაში, რომელსაც საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია SOS Children's Village (მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოფელი) ბოტსვანაში ატარებდა. ფეხბურთელმა მონაწილეობა მიიღო არა მხოლოდ სპონსორების მოძიებაში, არამედ თავადაც საკმაოდ მსხვილი თანხა გაიღო. ეს ფეხბურთელისთვის პირველი აფიშირებული საქველმოქმედო ღონისძიება იყო, იქამდე კი პოლი ამას ყოველგვარი ფოტოჟურნალისტებისა და კამერების თანდასწრების გარეშე, სხვებისგან უჩუმრად აკეთებდა.

2007 წლის დასაწყისში მან მეორე ცნობილ დებოშირ **ვინი ჯონსს** მიჰბაძა და ბედი კინოში სცადა. „უკანასკნელმა გარბენამ" დიდი წარმატებები ვერ მოიპოვა და ამით ვერც ჩვენმა გმირმა მოიპოვა მსახიობის სახელი, რადგან ფილმში ის მხოლოდ ეპიზოდურ როლს თამაშობდა, ადამიანისა, რომელსაც საჭირო დროს საჭირო არჩევანი უნდა გაეკეთებინა. სცადეთ და გაავლეთ პარალელი მის პირად ცხოვრებასთან. კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ ცხოვრება არ არის ფილმი, სადაც მსგავსი სცენების დროს არ ცდებიან. გაზა ცხოვრებაში მწარედ შეცდა.



ფეხბურთელი თავად გამოუტყდა ჟურნალისტს, რომ ფილმის შემდეგ ის უფრო მეტს ფიქრობს იმაზე, თუ რა უნდოდა გამოსულიყო და რეალურად რას მიაღწია, რა შეცდომა დაუშვა, სად ვერ გათვალა, ვის გული ატკინა, ვის ხორციელი ტკივილი მიაყენა (აქ აქცენტი უეჭველად შერილზეა). ყოველივე ამაზე ის ბოთლ ლუდ(ებ)თან ერთად ფიქრობს ხოლმე. არცაა გასაკვირი. კაცს, რომელიც ერთ-ერთი სანაკრებო შეხვედრის შემდეგ „უემბლის" ახლომდებარე ბარში ბუცებითა და სანაკრებო ფორმით დასალევად შევიდა, ეს ეპატიება. დღეს ფეხბურთელს უკვე თამამად შეუძლია საკუთარ თავს ყვითელი ბარათი უჩვენოს, ყვითლიდან წითლამდე კი ერთი ნაბიჯია.

გაზამ საკუთარი ნიჭი დიდი მონდომებით, უმოწყალოდ ჩაკლა. მან მსოფლიოს ფეხბურთს დღესასწაულები წაართვა. ამის უფლება კი გენიოსს ნამდვილად არ ჰქონდა.

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

პოლ გასკოინის ავტობიოგრაფიის პირველი ნაწილი » 16

სერია A. სამწვრთნელო გადაადგილებების მოლოდინში

# ბოლონიაში დეშამს ელოდებიან?



იტალიაში ერთი სამწვრთნელო ცვლა უკვე მოხდა. პირველ ტურში „უდინეზესთან“ სტუმრად დამარცხების შემდეგ „პალერმოს“ დამრიგებელი **სტეფანო კოლანტუონო** პოსტიდან დაითხოვეს. ეს იყო სიცილიელთა პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** საფირმო სვლა. თუმცა არც სხვა პრეზიდენტები არიან მწვრთნელებისადმი გულჩვილნი. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს იტალიაა, სადაც კლუბებს ოდიოზური (იტალიელებისავე აღიარებით) ბოსები მართავენ.

როგორც ამბობენ, წყალი შეუდგა „რეჯინას“ მწვრთნელ **ნევიო ორლანდის**. კალაბრიულმა კრებულმა ხუთ მატჩში მხოლოდ 1 ქულის აღება მოახერხა. შევთანხმდეთ, რომ ჯერ ადრეა ლაპარაკი იმაზე, თუ ვის რა შანსი აქვს ლიგაში დასარჩენად. მაგალითისთვის წინა ჩემპიონატიც გამოდგება, როცა ახალ წლამდე „კალიარი“ გამოტირებული ჰყავდათ, მაგრამ სარდინიელებმა მეორე წრე მშვენივრად ჩაატარეს და სერია A-ში ადგილი ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდეს. ასეა „რეჯინაც“. თუმცა, როგორც ჩანს, კლუბის პრეზიდენტი **ლილიო ფოტი** თავს იზღვევს, არ უნდა, რომ სადავეები გაუშვას ხელიდან, თორემ მერე შეიძლება გვიან იყოს.

ამიტომაც დაიწყო სპეკულაციები, გუნდში **ლუიჯი დე კანიოს** დაბრუნების თაობაზე. დე კანიო თავისუფალია მას მერე, რაც მაისში „ქუინზ პარკ რეინჯერსიდან“ დაითხოვეს. მართალია, მან შეძლო ლონდონური კლუბის ჭაობიდან ამოთრევა, მაგრამ სამუშაოს გასაგრძელებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. დე კანიო სამსახურის ძიებაშია. მას რამდენიმე წინადადება აქვს, თუმცა გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია:

*„დიახ, იყო ზარები სხვადასხვა გუნდიდან. „რეჯინა“? ნამდვილად არაფერი ვიცი, რადგან მე არავინ დამკავშირებია“* - აცხადებს დე კანიო „რადიო ინკონტროსთან“ კომენტარში. პრესა რატომღაც დარწმუნებულია, რომ „რეჯინასა“ და „უდინეზეს“ ყოფილი თავკაცი ფოტისთან საიდუმლო მოლაპარაკების ამბავს მალავს. მედიის ვარაუდით, ორლანდის წასვლა-დარჩენა მომავალ ტურზეა დამოკიდებული. 5 ოქტომბერს კალაბრიელები „კატანიას“ მასპინძლობენ. დე კანიოს გარდა პრესა ასახელებს **ვალტერ ნოველინოსა** და თვით **ალბერტო ძაკერონის** კანდიდატურებსაც.

დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა „ბოლონიაშიც“, სადაც „მილანთან“ პირველ ტურში მოპოვებული სენსაციური გამარჯვების (2:1) შემდეგ ეიფორია კარგა ხანია ჩაცხრა. მას მერე „ბოლონიამ“ ზედიზედ 4 მატჩი წააგო და გასავარდნ სამეულში მოკალათდა. არადა, **დანიელე არიგონის** ნამდვილად ჰყავს ის შემადგენლობა, რომელსაც თავისი პოტენციალით ათეულზე დაბლა ყოფნა არ ეკადრება. არიგონი კი ის კაცია, რომელმაც თავის დროზე „ლივორნოში“ ნაყოფიერი მუშაობით დაიგდო სახელი. ეტყობა, კლუბის პრეზიდენტი **რენცო მენარინიც** ამიტომ იკავებს თავს რადიკალური ზომებისგან, თუმც იქვე საყურადღებო განცხადებას აკეთებს: *იმედი მაქვს, სატურნირო მდგომარეობას მწვრთნელის შეუცვლელად გამოვასწორებთო.* „ბოლონიას“ მომავალი მატჩი ბევრ კითხვას გასცემდა პასუხს, რომ არა „ინტერი“. ამ შაბათს ემილია-რომანიულ კლუბს სწორედ ჩემპიონთან აქვს გასვლითი მატჩი, რაც არიგონის მიმართ მძიმე ვერდიქტისთვის ნამდვილად არ გამოდგება.

პრესაში კი უკვე დაიწყეს ჭორაობა და ფრიად საინტერესო კანდიდატურაც დაასახელეს. „ტუტოსპორტის“ ინფორმაციით, უახლოეს მომავალში არიგონის **დიდიე დეშამი** შეცვლის. დეშამი უმუშევარია. ალბათ, შეხსენება არ გჭირდებათ, რომ 2006/07 წლების სეზონში მან „იუვენტუსი“ სერია B-დან A-ში დააბრუნა. იმაზე ალარაფერს ვამბობთ, რომ დეშამს „ბებერ ქალბატონთან“ ერთად კარიერის საუკეთესო წლები აქვს გატარებული. ამდენად, ის იტალიურ ფეხბურთს ხუთი თითივით იცნობს. მის გარდა, არიგონის ერთ-ერთ სავარაუდო შემცვლელად „პალერმოდან“ გათავისუფლებული **სტეფანო კოლანტუონოც** მოიაზრება.

„კალიარიზე“ რაღა უნდა ვთქვათ. სარდინიელებს ჯერ ქულაც არ აუღიათ და ხუთ ტურში ერთადერთი გოლი აქვთ გატანილი. ალბათ, კლუბის შეფი **მასიმო ჩელინო** მიხვდა, რომ **დავიდე ბალარდინის** გაშვებით შეცდომა დაუშვა. ახლანდელ დამრიგებელ **მასიმო ალეგრის** ამ დონეზე მუშაობის გამოცდილება არ აქვს. ასე რომ, სინიორ ჩელინოს ბოლო ადგილი არ უნდა უკვირდეს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მომდევნო ტურში „კალიარი“ „მილანს“ მასპინძლობს, ნათელი გახდება, რომ ალეგრის გუნდს ზედიზედ მეექვსე მარცხის საშიშროება აქვს. მაგრამ გააჩნია მარცხსაც. თუ სარდინიელები ბრძოლაში წააგებენ, მწვრთნელი შეიძლება გადარჩეს, განადგურების შემთხვევაში კი შანსი მიზერული იქნება. აქაც, ერთ-ერთ ალტერნატივად **ვალტერ ნოველინოს** კანდიდატურა სახელდება.

გვერდი მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

ინციდენტი

# არბიტრმა ბოდიში მოიხადა

შაბათს „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ბოლტონს“ შეხვდა. ჩემპიონმა პირველი გოლი 11-მეტრიანით გაიტანა, რის შემდეგაც თამაშში გარდატეხა მოხდა. მანამდე, **გარი მეგსონის** გუნდი სერ **ალექს ფერგიუსონის** შეგირდებს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა, ამ გოლის მერე კი თამაშის სადავეები მთლიანად „მანკუნიანელთა“ ხელში გადავიდა და მატჩი მათივე გამარჯვებით, 2:0 დასრულდა.

თითქოს, ჩვეულებრივადაა ყველაფერი - „იუნაიტედმა“ მასზე აშკარად სუსტი მეტოქე საკუთარ მოედანზე დაამარცხა. მაგრამ არც ასე მარტივადაა საქმე. შეხვედრის მე-60 წუთზე არბიტრმა **რობ სტაილზმა** სტუმართა კარში ფრიად საეჭვო პენალტი დანიშნა, თითქოსდა, **ლოიდ სამუელის** მხრიდან **კრისტიანო რონალდოზე** უხეშობის გამო. რონალდომ მშვიდად კი აღასრულა მისია, მაგრამ როგორც გაირკვა, რეფერი შეცდა. ეს მან თავად აღიარა და „ბოლტონს“ ბოდიშიც მოუხადა. ამის თაობაზე BBC-ის PGMO-ის (Professional Game Match Official) ხელმძღვანელობამ ამცნო.

ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, თუ რა ფორმით მოიხადა ბოდიში არბიტრმა, რომლისთვისაც ეს პირველი შემთხვევა არ არის. გასულ სეზონში ანალოგიური სიტუაცია იყო „ლივერპულისა“ და „ჩელსის“ შეხვედრის დროსაც, როცა **სტივ ფინენი ფლორან მალუდასთან** ორთაბრძოლის დროს 11-მეტრიანით დასაჯა. მოგვიანებით სტაილზმა შეცდომა აღიარა და „ლივერპულს“ ბოდიში მოუხადა...



სერია B

# გვიდოლინი პარმაში

ცხადია, სერია B ჩვენგან ესოდენ დიდ ყურადღებას ვერ დაიმსახურებდა, რომ არა „პარმას“ ფაქტორი. იტალიისა და ევროპული ფეხბურთის ყოფილ გრანდს აქაც გადასარჩენად აქვს საქმე. შეიძლება, კლუბის მესვეურებს ეგონათ, რომ სერია A-ში დაბრუნებას ცეკვა-ცეკვით შეძლებდნენ, მაგრამ გავიდა 6 ტური და გუნდს მხოლოდ ერთი მოგება აქვს. ასე თუ გაგრძელდა, ელიტაში დაბრუნების ოცნება კი არა, ეგებ „პარმას“ სერია B-შიც მზის ქვეშ ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწიოს ბრძოლამ. ჰოდა, ასე რომ არ გაგრძელდეს, კლუბის პრეზიდენტმა **ტომაზო გირარდიმ** გადაწყვიტა, სასწრაფოდ ზომები მიიღოს.

გამოცდილ მწვრთნელ **ლუიჯი კანის** გუშინ თანამდებობა დაატოვებინეს. ამ გადაწყვეტილების შემდეგ მას უკმაყოფილება არ დაუმალავს: *იმედგაცრუებული ვარ, ამას არ ველოდი და დრო მჭირდება, რათა ყველაფერში გავერკვე და პასუხი გაგცეთო.* მაგრამ ვიდრე კანი გაერკვევა, დღეს „კოლეკიოში“ ახალი მწვრთნელი მივა და პირველ ვარჯიშსაც ჩაატარებს. ლაპარაკია **ფრანჩესკო გვიდოლინზე**, რომელსაც ჯერ კიდევ გასული სეზონის მიწურულს უწინასწარმეტყველებდნენ „ენიო ტარდინიზე“ მისვლას, მაგრამ მაშინ მძიმე ხვედრს („პარმა“ უკვე განწირული იყო გასავარდნად) თავი აარიდა. თუმც არც ახლა აქვს იოლი მისია. ერთადერთი მისალები შედეგი „პარმას“ აღზევება იქნება. გვიდოლინის შრომაც ამის მიხედვით დაფასდება.



ისევ დერბის ირგვლივ

# მილანი ტიფოზების თვალით

დერბიში გამარჯვებამ „როსონერის" გულშემატკივრები აღაფრთოვანა. ლომბარდიის დედაქალაქში მილანისტების ზეიმი დილამდე გაგრძელდა. მადონინა უკვე შეაფასა არაერთმა ექსპერტმა და კიდევ ბევრი შეაფასებს. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობენ ტიფოზები. ამჯერად, სწორედ გამარჯვებული გუნდის ქომაგთა აზრს გაგაცნობთ. „მილანის" გულშემატკივართა ყველაზე დიდი დაჯგუფება „ბრიგატე როსონერის" ვებგვერდზე ფეხბურთელთა შეფასებები და მოკლე დახასიათებები გამოქვეყნდა. მასალას მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

### აბიატი (7.5)

ერთხელაც არ დავეჭვებულვართ მის მზადყოფნაში. ერთნაირად საიმედო იყო როგორც კარის ხაზზე თამაშისას, ისე გამოსვლებზე. „მილანს" მეკარე გამოუჩნდა.

### ძამბროტა (8)

იდეალურად ითამაშა. ნაქებ **კვარეშმას** ფეხი არ გაანძრევინა და რაც მთავარია, შეტევაშიც აქტიური იყო. 90-ე წუთზე ჩადენილი გმირობისთვის კი ცალკე იმსახურებს მადლობას. გახსოვთ ალბათ, საჯარიმოში მყოფ მეტოქის ფორვარდს ფეხებში ჩაუვარდა და გუნდი გაშვებულ გოლს გადაარჩინა.

### მალდინი (7)

დროის უმეტესი ნაწილი ძალიან დამაჯერებელი გახლდათ, რაც ყველაზე მეტად გვახარებს. „მილანს" დღეს სწორედ ასეთი მალდინი სჭირდება. დიახ, მატჩის ბოლო წუთებზე მის ზონაში **კრუსი** და **იბრაჰიმოვიჩი** შეიჭრენ, თუმცა ყველაფერი კარგად დასრულდა და უმჯობესია კაპიტანს ამ დეტალებზე ნუ გამოვეკიდებით.

### კალაძე (7)

კახამ მეტოქის შეტევის ჩაშლის მიზნით, არაერთხელ გადააგდო ბურთი აუტზე, ასე უმაღლესი კლასის მცველები არ იქცევიან, მაგრამ დერბი დერბია და მთავარია, კარი უსაფრთხოდ იყოს. რამდენჯერმე კარგად დააზღვია მალდინი, რაც ასევე მის აქტივში უნდა შევიტანოთ.

### იანკულოვსკი (6.5)

რამდენჯერმე უყურადღებოდ ითამაშა და ბურთი სახიფათო ზონაში დაკარგა, რაც მისი დონის მოთამაშეს არ ეპატიება. თუმცა, მთლიანობაში კარგად გაისარჯა, შეტევაშიც ერთვებოდა და „ინტერის" მარჯვენა ფრთას გასაქანი არ მისცა, არადა **მანსინი-მაიკონის** დუეტი ძალიან ცდილობდა.

### გატუზო (7.5)

ტრადიციულად ბევრი იბრძოლა და თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. რამდენჯერმე იუხეშა კიდეც და შეიძლებოდა გაეგდოთ, მაგრამ რინოს ხომ მსაჯები ბევრ რამეს პატიობენ. გამარჯვებაში ლომის წილი მიუძღვის.

### ზეედორფი (7.5)

**პირლოს** ფუნქციები იტვირთა და დიდებულად იასპარეზა. მეტოქის არაერთი იერიში ჩაშალა და კონტრშეტევა წამოიწყო. კარგია, რომ საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ანდრეას ღირსეული შემცვლელი გამოუჩნდა, **ბრავო ზე**.

### ამბროზინი (6.5)

სერიოზული შეცდომა არ დაუშვია, თუმცა ვერც გაიბრწყინა. ვიცე-კაპიტანს სასტარტოში ადგილის შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევის გაღება მოუწევს, რადგან გატუზოს გამოჯანმრთელებამ მის პოზიციებს საფრთხე შეუქმნა.

### კაკა (8)

ასეთი კაკა დიდი ხანია არ გვინახავს. იდეალურად მოქმედებდა და გუნდისთვის დიდი სარგებელიც მოიტანა. მისი საგოლე გადაცემა **რონალდინიოზე** კი ერთ რამედ ღირს. იმედია, კაკა ასევე გააგრძელებს.

### რონალდინიო (7)

გაუჩომ გოლი გაიტანა და მისი ამჟამინდელი ფორმის გათვალისწინებით, ეს უკვე საკმარისზე მეტია. რონიმ თამაშს ფეხი კარგად აუწყო და მთლიანობაში ძალზე დადებითი შთაბეჭდილება დატოვა.



### პატო (6)

**ანჩელოტიმ** კარგად იცოდა, რომ „ინტერის" მცველთა გარემოცვაში პატოს ბევრი შანსი არ ექნებოდა. მას კაკასთავის და რონალდინიოსთვის ზონები უნდა გაეხსნა. ალეშანდრემ ეს კარგად გააკეთა, თუმცა მაღალი შეფასებისთვის ცოტა მეტია საჭირო.

### ფლამინი (6)

თამაშში აქტიურად ჩაერთო და ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. თუმცა, შეიძლებოდა მატჩის ანტიგმირიც გამხდარიყო, გავიხსენოთ ეპიზოდი, როდესაც კრუსთან ჭიდილში კინაღამ თერთმეტმეტრიანი აიკიდა.

### შევჩენკო (6), ბონერა (6)

დახასიათების გარეშე

ინტერვიუ პატრიკ ვიეირასთან

# მარცხის მიზეზი მსაჯი არ ყოფილა

## მიაჩნია ფრანგ ნახევარმცველს



„მადონინას" შემდეგ „მილანისა" და „ინტერის" ფეხბურთელები იტალიელი ჟურნალისტების მთავარი სამიზნეები გახდნენ. შედეგიდან გამომდინარე, უფრო გახსნილები „როსონერის" მოთამაშეები არიან, ინტერელებს კი დანა პირს არ უხსნით. თუმცა ეს არ ეხება პატრიკ ვიეირას. ფრანგი ნახევარმცველი ყოველთვის სწყალობდა პრესას და ტრადიციას არც დერბის შემდეგ უღალატა. „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტმა ვიეირასთან საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ ჩაწერა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

**- დერბით დავიწყოთ, რას უნდა მივაწეროთ „ინტერის" მარცხი?**

- დერბის წაგება ძალიან საწყენია და ამის უარყოფა სისულელეა. ჩვენ უმნიშვნელოვანეს მატჩში დავმარცხდით. იმედი მაქვს, ვიპოვით საკუთარ თავში ძალას და უახლოეს პერიოდში დავივიწყებთ კვირა სალამოს სან სიროზე მომხდარს. რაც შეეხება მარცხის მიზეზებს, განსაკუთრებული მიზეზი არც არსებობს. ვეთანხმები მასიმო მორატის და ჟოზე მოურინიოს, „მილანმა" შეძლო გოლის გატანა, ჩვენ ვერა და მოიგეს კიდეც. აქვე, მეტოქეს კომპლიმენტებს ვუძღვნი.

**- ზლატან იბრაჰიმოვიჩს თუ ეთანხმებით, მისი თქმით, „ინტერი" მატჩის არბიტრთან დამარცხდა და არა „მილანთან"?**

- ჩემი აზრით, საგოლე შეტევისას კაკა მართლაც თამაშგარეში იყო და შესაბამისად, ეს ბურთი არ უნდა ჩათვლილიყო. იყო კიდევ რიგი ეპიზოდები, როდესაც არბიტრი „მილანის" სასარგებლოდ შეცდა, მაგრამ იბრას ნათქვამს მაინც გადამეტებულად მივიჩნევ. მსაჯი ვერ გადაწყვეტს მატჩის ბედს თუ მოწინააღმდეგეზე მაღლა დგახარ. საკუთარ თავზე უნდა ვიმუშაოთ, შეცდომები აღმოვფხვრათ და შედეგიც ისეთი გვექნება, როგორც „ინტერის" გულშემატკივარს გაახარებს.

**- „მილანი" უფრო „დამშეული" ჩანდა, ანჩელოტის გუნდი თითქოს უფრო მონდომებული იყო?**

- პირველ ტაიმში მართლაც ასე იყო, „მილანი" უფრო აქტიურობდა და უფრო აგრესიულადაც თამაშობდა. მეორე ნახევარში თამაშის სურათი შეიცვალა და როსონერის უპირატესობაც ნაკლები იყო. მსაჯს რომ ჩვენთვის კაცი არ გაეგდო, დიდი იყო შანსი, ანგარიში გაგვეთანაბრებინა და მოგებაზეც გვეფიქრა, თუმცა ათი ფეხბურთელით ამის გაკეთება ვერ შევძელით.

**- თუმცა შანსი გქონდათ და თანაც არაერთი.**

- დიახ, როგორც მინიმუმ, გათანაბრება შეგვეძლო. მოურინიო მეორე ტაიმში ფაქტობრივად ვაბანკზე წავიდა და ეს ალბათ სწორიც იყო. ყველაფერთან ერთად „ინტერს" ფორტუნამაც აქცია ზურგი.

**- დერბიში მარცხის დავიწყება იოლი არაა, ოთხშაბათს კი უკვე ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის გამართვა გიწევთ?**

- ზემოთაც აღვნიშნე, რომ ასეთი მატჩის დავიწყება რთულია, მაგრამ პროფესიონალები ვართ და ჩვენი ვალია, მომავალზე ვიფიქროთ. წინ რთული მატჩი გვაქვს და მთელი კონცენტრაცია ლიგის შეხვედრისთვის უნდა მოვახდინოთ.

**- მეტოქედ კი ბრემენის „ვერდერი" გყავთ, რას იტყვით გერმანელებზე?**

- „ვერდერი" ძალიან კარგი გუნდია. ბრემენელები შემტევ, ავანტიურისტულ ფეხბურთს თამაშობენ და ხშირად მიზანს აღწევენ კიდეც. თუმცა ბუნდესლიგა ერთია და ჩემპიონთა ლიგა მეორე - გერმანელები დაცვაში მოიკოჭლებენ, სამაგიეროდ შეტევაში არიან სახიფათონი. ვეცდებით, „ვერდერის" შემტევებს გასაქანი არ მივცეთ, ამით ჩვენი გამარჯვების შანსს ერთი-ორად გავზრდით.

**- წელს „ინტერის" მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაა?**

- ნამდვილად არა. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგასა და იტალიის ჩემპიონატში გამარჯვებაა. „ინტერს" შესწევს ძალა ორივე ფრონტზე იბრძოლოს. სხვანაირად არც შეიძლება, გუნდში ოცზე მეტი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია და როგორ ფიქრობთ, გვაქვს უფლება რომელიმე ტურნირი მეორეხარისხოვნად მივიჩნიოთ? - რა თქმა უნდა, არა.

**- მაშინ სერია A-ს ლიდერზეც გვითხარით ორიოდე სიტყვა.**

- „ლაციოსგან" ასეთ კარგ თამაშს არავინ ელოდა, თუმცა ძნელი სათქმელია - რატომ. ფაქტია, რომ რომაულ გუნდში საკმაოდ კვალიფიციურმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი და ბუნებრივია, შედეგსაც აჩვენებენ. ძალიან მომწონს მარიო სარატეს თამაში, ვფიქრობ, მას დიდი მომავალი აქვს.

**- რამდენხ ხანს გაგრძელდება „ლაციოს" ლიდერობა?**

- ლიდერობაში არაა საქმე და საერთოდ, ჩემპიონატის ამ სტადიაზე ცხრილს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია რამდენ ხანს ითამაშებს „ლაციო" ასეთ გამართულ ფეხბურთს. ვფიქრობ, არ არსებობს საბაბი, რის საფუძველზეც შეიძლება გუნდს კრიზისი დაეწყოს. ლაციალეს ევროთასებზე არ უწევს ასპარეზობა, დელიო როსი კვირიდან კვირამდე სერია A-სთვის ამზადებს ფეხბურთელებს და ასეთ ვითარებაში, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა სრულიად შესაძლებელია.

**- სერია A-ში „ინტერის" მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევთ?**

- ორიგინალური პასუხი ნამდვილად არ მაქვს. პირველობისთვის ჩვენთან ერთად „მილანი", „იუვენტუსი" და „რომა" იბრძოლებენ. როსონერი ბრწყინვალე ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და თანაც ამ გუნდის მთავარი საზრუნავი სკუდეტოს მოპოვებაა. გაუჭირდებათ „რომას" და „იუვეს", თუმცა ეს გუნდები გამარჯვებას არიან მიჩვეულნი და უბრძოლველად არც ამ სეზონში დათმობენ რამეს.

**- იტალიის ჩემპიონატში მართლაც დიდი კონკურენციაა, თუმცა ჩემპიონთა ლიგაში ინგლისური კლუბები დომინირებენ, რას იტყოდით ამ საკითხზე?**

- შედეგები ყველაფერზე მეტყველებს. ინგლისური გუნდები მართლაც დომინირებენ, თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია. გახსოვთ ალბათ, რამდენიმე წლის წინ ლიგის ნახევარფინალში სამი ესპანური გუნდი გავიდა და პირინეული ფინალი ვიხილეთ, მოგვიანებით იგივე გააკეთეს იტალიურმა კლუბებმა, გასულ სეზონში კი უკვე ინგლისელები გამოირჩნენ. ეს ჩვეულებრივი მომენტია და არა მგონია ინგლისელთა დომინირება ტენდენციაში გადაიზარდოს. პრემიერლიგაში დიდი ფული იდება, უცხოელი ინვესტორები თანხებს არ იშურებენ, თუმცა ეს შედეგის გარანტი ნამდვილად არ იქნება.

**- დერბის დავუბრუნდეთ. როგორ ხასიათზე იყო მატჩის შემდეგ მოურინიო?**

- როგორც ყოველთვის, ჩაფიქრებული გახლდათ. რა თქმა უნდა, აღმოფრთოვანებული ვერ იქნებოდა, თუმცა არც ტრაგედია შეუქმნია. დარწმუნებული ვარ, უახლოეს საათებში მატჩს დეტალურად გაარჩევს და საჭირო დასკვნებს გამოიტანს. არსებული ხარვეზები უმოკლეს დროში უნდა აღმოვფხვრათ.

**- მოურინიომ უკვე გააკეთა რამდენიმე მკვახე განცხადება და ამისთვის კრიტიკაც დაატყდა თავს. როგორ უნდა მოიქცეს ჟოზე იტალიაში?**

- იტალიაში სკანდალების ნაკლებობა ნამდვილად არაა და არ ღირს ჟოზეს განცხადებებისთვის გადამეტებული მნიშვნელობის მინიჭება. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტები და საფეხბურთო მოღვაწეები ხშირად აზვიადებენ, რაც გამართლებული არ არის. იტალიამ უნდა გაუგოს მოურინიოს, თავის მხრივ ჟოზემ უნდა მიიღოს აპენინური ცხოვრების წესები.

**- დაბოლოს, ვიხილავთ პატრიკ ვიეირას მწვრთნელის რანგში?**

- არა, გმადლობთ. დღეს ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. ვგონებ, მაქვს სამწვრთნელო მონაცემები და შესაძლოა ჩემგან რაღაც გამოვიდეს კიდეც, მაგრამ ალბათ მაინც სხვა მიმართულებით წავალ. მშვიდი ცხოვრება მირჩევნია და ძალებს სხვა საქმეში მოვსინჯავ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

## კალათბურთი. ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

# ჯერ მწვადი და ხვანჭკარა, მერე დიეტა



შუაში მანუჩარ მარკოიშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრთაგან გუნდის წარმატება-წარუმატებლობა ყველაზე მეტად გულთან ერთ კალათბურთელს მიჰქონდა. სხვები თუ უშუალოდ მოედნიდან ადევნებდნენ თვალს მოვლენების განვითარებას, მანუჩარ მარკოიშვილი, ხელფეხშეკრული იყო - კოჭის ტრავმის გამო იგორ კოკოშკოვის გუნდს სექტემბრის მატჩებში ვერ დაეხმარა. *„ეჰ, მანუ შვედეთში გვყოლოდა..."* – გულისტკივილით თქვა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა, თუნდაც ამ დაუსრულებელი ფრაზიდან ნათლად ჩანს, რა ღირებულებას წარმოადგენს მარკოიშვილი საქართველოს ნაკრებისთვის.

ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს მანუს ინტერვიუს გაცნობა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეტყობა. ინტერვიუს პირველი კითხვა ნაოპერაციევ კოჭს ეხებოდა.

- ფეხი ბოლომდე არ დამცხრობია. კოჭის არეში ტკივილებს კიდევ ვგრძნობ. ასეთი სერიოზული ოპერაციის შემდეგ ეს ნორმალურია. "კიევთან" ერთად თურქულ შეკრებაზე არ გავფრინდი, რადგან წინასწარ ცნობილი იყო, რომ საკონტროლო მატჩებში მაინც ვერ მივიღებდი მონაწილეობას. ახლა კიევში ინდივიდუალური პროგრამით ვემზადები: დღეში ორი ვარჯიში მაქვს. ჯერ მსუბუქად დავრბივარ, შემდეგ ფიტნეს-ცენტრში მივდივარ.

**- ოპერაციის გაკეთება დაგიგვიანდა, ტრავმის მიღების შემდეგ რამდენიმე მატჩი ითამაშე...**

- კოჭი 23 მარტს, უკრაინის ჩემპიონატის რიგით მატჩში დავიზიანე. თავიდან ექიმები მამშვიდებდნენ – საშიში არაფერიაო. ამიტომ სეზონი ბოლომდე ჩავამთავრე და იტალიის ქალაქ ტრევიზოში გასამართი საზაფხულო კემპისთვის ვემზადებოდი. სწორედ იტალიაში ვიგრძენი, რომ საქმე არც თუ ისე კარგად იყო, როგორც ექიმები მეუბნებოდნენ. ინტენსიური ვარჯიშების გაძლება ფეხის გამო ძალიან გამიჭირდა. სერიოზული ტკივილის მიუხედავად, ტრევიზოს კემპი ბოლომდე მივიყვანე და შემდეგ ფინეთში გავემგზავრე. ჩემმა ყოფილმა თანაგუნდელმა ტეემუ რანიკომ მირჩია, ფინეთში ჩამოდი და აქ კარგ ექიმთან მიგიყვანო. დეტალური გამოკვლევის შემდეგ გაირკვა, რომ ტრავმა სერიოზული იყო და სასწრაფო ოპერაცია მჭირდებოდა. ოპერაცია ფინეთის ქალაქ ტურკუში გავიკეთე.

**- ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა?**

- პირველივე დღიდან აქამდე რეაბილიტაციის პროცესი გეგმაზომიერად მიმდინარეობს. იმედი მაქვს, რომ სრულყოფილად ვარჯიშს რამდენიმე კვირაში შევძლებ.

**- ტრევიზოს კემპიდან როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდი?**

- იტალიაში ბევრი ნიჭიერი კალათბურთელი შეიკრიბა. ზოგიერთი მათგანი საბოლოოდ NBA-ში აღმოჩნდა.

**- ამ ზაფხულს საქართველოში რამდენ ხანს გაჩერდი?**

- თავდაპირველად, შინ ივნისში შევიარე, თბილისში მხოლოდ სამი დღით გავჩერდი. შემდეგ ტრევიზოში გავემგზავრე... ოპერაციის მერე ორი კვირის განმავლობაში შინ ვიწექი, ხელჯოხების გარეშე სიარული არ შემეძლო.

**- ქართულ კერძებს მონატრებულს, ოპერაციის შემდეგ ექიმებმა დიეტა ხომ არ გამოგიწერეს?**

- არა. გული ვიჯერე ხაჭაპურით, რომელიც ძალიან მიყვარს. რა თქმა უნდა, მწვადსაც გეახლებოდით ხვანჭკარითურთ. სხვათა შორის, ხვანჭკარას მამაჩემი თავად აყენებს. საქართველოში იმდენად კარგად გამომკვებეს, რომ 5 კილოგრამი მოვიმატე და ახლა იძულებული ვარ დიეტა დავიცვა, რათა სტანდარტული წონა აღვიდგინო. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ საქართველოს ნაკრებს ვერ დავეხმარე. ძალიან ძნელია გვერდიდან ყურება ისეთი სანაკრებო თამაშებისა, რომლებზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქართული კალათბურთის ბედი.

**- ბოლოს "კიევის" საამსეზონო პერსპექტივებზე ვთქვათ.**

- გუნდის შეკრებისას ყველა ახალწვეული გავიცანი. მხოლოდ იერეტინსა და ბაირამოვიჩს ვერ შევხვდი, რომლებიც სანაკრებო მატჩებით იყვნენ დაკავებულნი. მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ამ სეზონში "კიევი" შარშანდელზე უკეთესი გუნდი იქნება და გაცილებით მაღალ მიზნებს მიაღწევს.

**- ახალმა მთავარმა მწვრთნელმა საშა ობრადოვიჩმა როგორი შთაბეჭდილება მოახდინა?**

- კარგი მწვრთნელია. ახალგაზრდაა, მაგრამ ძალიან ძლიერი კალათბურთელი იყო და დიდი გამოცდილების პატრონია. გუნდის წარმატება მწვრთნელზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ხელბურთი. ინტერვიუ შოთა თევზაძესთან



# ნაკრებზე ლაპარაკი დიდ ტკივილს მაყენებს!

**საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების მეკარე შოთა თევზაძემ ვლადიმერ რუსიასთან ერთად, მშვენივრად დაიწყო რუმინეთის ჩემპიონატი. შოთას „ბაკაუს" 5 ტურის შემდეგ 8 ქულა აქვს და ორ გუნდთან ერთად სატურნირო ცხრილს ლიდერობს. ამაში დიდი წვლილი ჩვენებურსაც მიუძღვის, რომელიც სისტემატურად ძირითად შემადგენლობაშია და ჩვეულებისამებრ, სტაბილურად, დამაჯერებლად ირჯება. დანარჩენზე კი თავად შოთა გვესაუბრება.**

- თავიდანვე მჯეროდა, რომ ძირითადი მეკარე ვიქნებოდი. სეზონის წინ, „ბაკაუმ" სამ საერთაშორისო ტურნირზე ითამაშა და ერთში საუკეთესო მეკარედ დამასახელეს. ამას გარდა, მოსამზადებელ ეტაპზე თითქმის ყოველ მეორე დღეს გვქონდა ამხანაგური თამაშები, რომლებიც საკმაოდ კარგად ჩავატარე. ამით „ბაკაუს" მწვრთნელები საბოლოოდ დავარწმუნე ჩემს შესაძლებლობებში. გუნდში სამი მეკარე ვართ, მაგრამ ძირითად გოლკიპერად მე ვითვლები.

**- ხუთი ტურის შემდეგ, სატურნირო ცხრილის სათავეში ხართ. მადა ჭამაში მოდისო და ჩემპიონობაზე ხომ არ ფიქრობთ?**

- სეზონის წინ, გუნდის ხელმძღვანელობამ პროგრამა მინიმუმად, ოთხეულში მოხვედრა დაგვისახა. „ბაკაუმ" ჩემ გარდა სამი სერბი ლეგიონერიც დაიმატა. საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გვყავს და კარგ თამაშსაც ვუჩვენებთ, რაც შედეგებზეც აისახება. პირველ ტურში, „რესიცას" მოვუგეთ, რომელიც „ცელენჯ კაპის" ორგზის გამარჯვებულია და სეზონის წინ, რვა ახალი მოთამაშე დაიმატა. შემდეგ ტურში კი მოქმედ ჩემპიონ '"სტიაუას" ვხვდებით და თუკი ისევ მოვიგებთ, ჩემპიონს ხუთი ქულით გადავუსწრებთ.

მთლიანობაში, გადაჭრით მაინც ვერ ვიტყვი, რომ რუმინეთის ჩემპიონატში ყველაზე ძლიერები ვართ. დანარჩენი კი სეზონის ბოლოს გამოჩნდება, ჯერ მხოლოდ ხუთი ტურია გასული...

**- რუმინეთში პირველ სეზონს ატარებთ. რა დონის ჩემპიონატია - რასაც ელოდით თუ იმაზე უკეთესი ან უარესი?**

- სხვათა შორის, აქ გადმოსვლამდე რეზო ჭანტურიას „მეტალურგიც" მიწვევდა, მაგრამ „ბაკაუ" ვამჯობინე, რაკილა რუმინეთის ჩემპიონატი მაკედონიურზე ძლიერია. შარშან ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ლიგად აღიარებულ შვედეთში ვთამაშობდი. რუმინეთის ჩემპიონატი შვედურს არაფრით ჩამოუვარდება. აქ ნებისმიერი თამაში დიდი ბრძოლაა, იოლი არაფერია და თუკი გინდა, წარმატებას მიაღწიო, სულ ფორმაში უნდა იყო.

**- ვლადიმერ რუსიაზე რას იტყვით?**

- საკმაოდ კარგად თამაშობს. თუმცა მისი რეალური ძალა კარგად ვიცი და უფრო მეტიც შეუძლია.

**- ალბათ გაიგებდით, სტუ-"შევარდენში" თქვენი ყოფილი თანაგუნდელი ირაკლი ჩიქოვანი თქვენს ყოფილ სერბულ გუნდ „მეტალოპლასტიკაში" გადავიდა. რას იტყვით „მეტალოპლასტიკასა" და სერბეთის ჩემპიონატზე?**

- მართლა? არ ვიცოდი და ძალიან გამახარეთ ამ ინფორმაციით. სერბეთის ჩემპიონატი საკმაოდ ძლიერია, „მეტალოპლასტიკა" კი თავისი სკოლით ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ვიმედოვნებ, იქ ირაკლის კარგად გამოწვრთნიან. წარმატებებს ვუსურვებ!

**- დასასრულ, ნაკრებზეც ვთქვათ...**

- თუ შეიძლება, ამ კითხვას გვერდი ავუაროთ, რადგან სანაკრებო თემა დიდ ტკივილს მაყენებს.

**- კარგი, სხვას ხომ არაფერს დაამატებდით?**

- საქართველოს გაძლიერებას და გამთლიანებას ვისურვებდი, რათა ყველა სფერო და მათ შორის სპორტიც უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს.

**კობა ხატისაშვილი**

## შვიდკაცა რაგბი. მსოფლიოს სერია

# დუბაიში მეტოქეები ცნობილია



28-29 ნოემბერს არაბათა გაერთიანებულ საემიროებში, დუბაის შვიდკაცას ტურნირი გაიმართება, რომლითაც 2008-09 წლების მსოფლიოს სერიის გათამაშება აიღებს სტარტს. დუბაიში სასპარეზოდ საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებიც მიიწვიეს. ჩვენები წილისყრით C ჯგუფში სამოას, არგენტინისა და საფრანგეთის ნაკრებ გუნდებთან ერთად მოხვდნენ.

ჯგუფური ეტაპი პირველ დღეს, 28 ნოემბერს გაიმართება. ჩვენი პირველი მეტოქე არგენტინის შვიდკაცა ნაკრები იქნება, რომელიც რეალურად ჯგუფის ფავორიტია. მერე სამოელებს დავუპირისპირდებით, ბოლო მატჩს კი, ჯგუფში ფრანგებთან გავმართავთ. უნდა ითქვას, რომ **კახა ალანიას** შეგირდებს საკმაოდ რთული შეხვედრები ელით, თუმცა ამ დონეზე სუსტი გუნდები ფაქტობრივად ვერ ხვდებიან.

პლეი ოფის მატჩები მეორე დღეს, 29 ნოემ[illegible]გაიმართება. ერთი კვირის თავზე კი, მსოფლიო სერიის მორიგი ეტაპი სამხრეთ აფრიკის ქალაქ ჯორჯიში შედგება. საქართველოს ნაკრები აქაც იასპარეზებს, თუმცა მომავალი მეტოქეების ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

A ჯგუფი: **ზელანდია, ავსტრალია, უელსი, აფრიკა 2.**

B ჯგუფი: **ს.აფრიკა, შოტლანდია, კენია, საემიროები.**

C ჯგუფი: **სამოა, არგენტინა, საფრანგეთი, საქართველო.**

D ჯგუფი: **ფიჯი, ინგლისი, აშშ, პორტუგალია.**

**ბესიკ ჯანაგავაძე**

სეოკ-ი. წინასაარჩევნო კამპანია

# კანდიდატი ოლიმპიელებს ეთათბირება

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატ **გია ნაცვლიშვილს** წინასაარჩევნო პროგრამით მორიგი შეხვედრა სეოკ-თან არსებულ ოლიმპიელთა ასოციაციის წევრებთან ჰქონდა. ასოციაცია, რომელსაც სათავეში უდგას ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორი **ლუკა კურტანიძე**, მოქმედ სპორტსმენებს აერთიანებს.

სათქმელი ამ შეხვედრაზე ორივე მხარეს საკმაო ჰქონდა. ოლიმპიელები დაინტერესდნენ მომავალი თამაშებისთვის მზადების, ახალგაზრდა პერსპექტიულ სპორტსმენებთან მუშაობის, სპორტული ბაზების დაფინანსების, ოლიმპიელთა სოციალური დაცვისა და სხვა საკითხებით. ოლიმპიური თამაშების სამივე ღირსების მედლის კავალერმა **ნინო სალუქვაძემ** კიდევ ერთხელ წამოსწია დღის წესრიგში ღია სასროლეთის საკითხი.

გ. ნაცვლიშვილს ამჯერადაც მოუხდა იმის მტკიცება, რომ მომავალში ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა აკეთოს ის საქმე, რაც მას წესდებიდან გამომდინარე ევალება და მთელი რიგი პრობლემები უნდა გადაიჭრას სპორტის დეპარტამენტთან ერთად. *„როცა საქმე მთავარ მიზანს, ქართული სპორტის წინსვლას ეხება, გასაყოფი არაფერია, თუ ყველა პირნათლად შევასრულებთ დაკისრებულ მოვალეობას, საერთო წარმატებას უთუოდ მივაღწევთ. სეოკ-ი და დეპარტამენტი ერთობლივი მოქმედების პროგრამას შეიმუშავებს, რაც მოიცავს ფართო სპექტრს და საფუძვლად დაედება ქართული სპორტის სასიკეთოდ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს“*, - თქვა გია ნაცვლიშვილმა.

საოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი ამ დღეებში შეხვდება აგრეთვე ვეტერან ოლიმპიელთა ასოციაციის წევრებს. ამ ასოციაციის პრეზიდენტი ოლიმპიური ჩემპიონი **რომან რურუაა.**

**თენგიზ თომაშვილი**

ფრენბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი

# პირველად მსოფლიოს ჩემპიონატისთვის



საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლაში ერთვება. იტალიის ქალაქ ტურინში გამართული წილისყრის შედეგად ჩვენი ეროვნული ნაკრები ასპარეზობას პირველი ეტაპიდან C ჯგუფში დაიწყებს. ქართველი ფრენბურთელების მეტოქეები დანიის, ესტონეთისა და მოლდოვას ნაკრები გუნდები იქნებიან.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი სამ ეტაპად გაიმართება. პირველ ეტაპზე რეიტინგით ყველაზე სუსტი ცამეტი გუნდი სამ ჯგუფში გაანაწილდა. ჩვენი ჯგუფიდან შემდეგ მეორე ეტაპზე მხოლოდ გამარჯვებული გადის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრება ერთ ტურად მიმდინარე წლის დეკემბერში ან გაისად, იანვარში, სავარაუდოდ დანიაში გაიმართება.

თუ საქართველოს ნაკრები ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს, მაშინ მეორე ეტაპზე ის F ჯგუფში იასპარეზებს ჩეხეთის, ბულგარეთის, ალბანეთისა და რუმინეთის ნაკრებების წინააღმდეგ. აქედან კი, ბოლო, დასკვნით ეტაპზე სამი საუკეთესო გუნდი გავა. პირველი და მეორე გუნდი H ჯგუფში მოხვდება იტალიასთან, ხოლო მესამეადგილოსანი ჯგუფში სერბეთთან.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფში ჩვენი მეტოქეებიდან, ეროვნული ნაკრებების დონეზე მოლდოვას ნაკრებს ორჯერ უკვე ვეთამაშეთ. პირველი შეხვედრა კიშინიოვში მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა 3:0. თუმცა, მერე, განმეორებით შეხვედრაში თბილისში, სპორტის სასახლეში ჩვენმა ფრენბურთელებმა რევანში აიღეს და ასევე მშრალი ანგარიშით სძლიეს მეტოქეს.

ქართველ ფრენბურთელებს ესტონელებთან შეხვედრის გამოცდილებაც აქვთ. თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თვრამეტწლამდელთა შორის, ესტონელებმა 3:2 დაგვამარცხეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ის ტურნირი სწორედ ესტონელების გამარჯვებით დასრულდა. რაც შეეხება დანიის ნაკრებს, ქართველი ფრენბურთელები მათ არასდროს გადაჰყრიან.

**ლევან ახვლედიანი,** საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: *„საქართველოს ქალ ფრენბურთელათა ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში პირველად იასპარეზებს. ჯგუფი, რომელშიც ჩვენი გუნდი მოხვდა, თანაბარი ძალის გუნდებითაა დაკომპლექტებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს.*

*პრობლემა ისაა, რომ ჯერ არ ვიცით, თამაშები სად და როდის გაიმართება. დეკემბერ-იანვარი ჩვენ ხელს არ გვაძლევს. ვინაიდან იქამდე ცოტა დროა და სათანადოდ მომზადებას ვერ მოვასწრებთ. ამასთან ნაკრებში რამდენიმე ლეგიონერი გვყავს და ძნელი სათქმელია შეძლებენ თუ არა ისინი ნაკრებში სათამაშოდ ჩამოსვლას.*

*ყველაზე დიდი პრობლემა მაინც შეჯიბრების ადგილია. განაცხადი ჩვენი ჯგუფიდან ტურის გამართვის სურვილის შესახებ არავის გაუკეთებია. მასპინძლობა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და ჩვენ ამის ფინანსები არ გაგვაჩნია. წესით, საერთაშორისო ფედერაცია ტურის გამართვას, ჯგუფში პირველ ნომერს, დანიას დაავალებს. თუ დანიამ უარი თქვა, მაშინ მას გათამაშებიდან მოხსნიან და მეორე ნომერ ესტონეთს დაევალება. ესტონეთის შემდეგ კი, რიგში ჩვენ ვართ და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ეს ამბავი მალე უნდა გაირკვეს და დეტალურ გეგმას, ნაკრების მზადების შესახებ, ამის მერე შევიმუშავებთ“.*

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს კი, 2010 წლის 29 ოქტომბრიდან 14 ნოემბრამდე, იაპონია უმასპინძლებს. მასპინძლები და მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი, რუსეთის ნაკრები შესარჩევი თამაშებიდან გათავისუფლებულნი არიან.

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი.

**პირველი ეტაპი.**

A ჯგუფი: **სლოვენია, ავსტრია, უნგრეთი, ბოსნია, ჩერნოგორია**

B ჯგუფი: **ბრიტანეთი, პორტუგალია, ისრაელი, ისლანდია**

C ჯგუფი: **დანია, ესტონეთი, საქართველო, მოლდოვა.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ქართული სპორტის სექტემბერი



საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა სექტემბერში ოთხიდან სამი გასვლითი შეხვედრა მოიგო

**1. სუმო:** ტოკიოში სუმოს ახალი რეიტინგი გამოქვეყნდა, ელიტაში კვლავ ორი ქართველია - **ლევან ცაგურია** და **ლევან გორგაძე.**

**5. ოლიმპიზმი:** ფირმა „აქსისმა“ ბინებით დააჯილდოვა საქართველოდან ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები.

**5. ფეხბურთი:** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მინსკში რუსეთთან 0:4 წააგო.

**6. ფეხბურთი:** საქართველოს ნაკრებმა დაიწყო მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევი ციკლი, ნეიტრალურ მოედანზე ირლანდიასთან დამარცხდა - 1:2.

**6. კალათბურთი:** საქართველოს ნაკრებმა სტუმრად ლუქსემბურგი დაამარცხა - 98:65.

**9. ფეხბურთი:** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა პოლონეთთან 0:5 წააგო და ქვეჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა.

**10. ფეხბურთი:** საქართველოს ნაკრებმა იტალიაში 0:2 წააგო.

**10. კალათბურთი:** საქართველოს ნაკრებმა ირლანდიის ნაკრები დაამარცხა სტუმრად - 94:77.

**11. ფეხბურთი:** „პალერმომ“ პუბლიკას ახალწვეული **ლევან მჭედლიძე** წარუდგინა.

**10. ჩოგბურთი:** **ოქსანა კალაშნიკოვამ** ინსბრუკში (ავსტრია) წყვილთა თანრიგი მოიგო.

**13–14. ფეხბურთი:** სტარტი აიღო საქართველოს პირველობამ ფეხბურთში.

**13–14. ძიუდო:** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე **ვარლამ ლიპარტელიანმა** პირველი, **გიორგი ბროლაშვილმა** მესამე ადგილი დაიკავეს.

**13. კალათბურთი:** საქართველოს ნაკრებმა გასვლაზე სლოვაკეთს მოუგო 101:78.

**17–18. ფეხბურთი:** გაიმართა საქართველოს თასის საპასუხო მერვედფინალური მატჩები.

**17. ძიუდო:** ცნობილი გახდა, რომ ვარშავაში პოლიციამ სამი ახალგაზრდა ქართველი ძიუდოისტი დააკავა.

**18. ფეხბურთი:** კამერუნელმა ფეხბურთელმა **ერიკ რომეო ჩასემმა** ყოფილ კლუბ ბოლნისის „სიონს“ უჩივლა და კომპენსაციად 20 ათასი დოლარი მოითხოვა.

**18. ოლიმპიზმი:** „ოლიმპიურმა ვარსკვლავმა“ ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები ბინებით დააჯილდოვა.

**17. კალათბურთი:** საქართველოს ნაკრები შვედეთში 59:61 დამარცხდა.

**18. ჩოგბურთი:** მინსკში დაიწყო დევისის თასის მატჩი ბელარუსისა და საქართველოს გუნდებს შორის. პირველ დღეს მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართა, **ლადო ჩიხლაძემ** წააგო და ბელარუსი 1:0 დაწინაურდა.

**20–21. ფეხბურთი:** გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის II ტურის მატჩები.

**20. ფეხბურთი:** კიევის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა **მალხაზ ასათიანს.**

**20. ძალოსნობა:** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში **ვაჟა ღონღაძემ** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**20. ჩოგბურთი:** **ოქსანა კალაშნიკოვამ** კასალეს (იტალია) ტურნირის წყვილთა თანრიგი მოიგო.

**20. ჩოგბურთი:** მინსკში საქართველოს ნაკრებმა წააგო დევისის თასის მატჩი ბელარუსთან - 0:3 და II ზონაში დაქვეითდა.

**20. რაგბი:** ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველომ ჰოლანდიის ნაკრები გაანადგურა - 62:7.

**22. ფეხბურთი:** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში მასპინძელ უნგრეთთან ფრედ ითამაშა - 2:2.

**22–23. ძიუდო:** გაიმართა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი.

**23. ფეხბურთი:** ექტორ რაულ **კუპერმა** საქართველოს ნაკრებს ღია ვარჯიში ჩაუტარა.

**23. ფეხბურთი:** ფიფამ საქართველოს ნაკრებს ოქტომბრის მატჩების თბილისში გამართვის ნებართვა მისცა.

**23. სამბო:** გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი.

**24. ფეხბურთი:** სერია A-ში **ლევან მჭედლიძის** დებიუტი შედგა.

**24. სუმო:** სექტემბრის ბაშოზე ორი ქართველი შეხვდა ერთმანეთს, **ტოჩინოშინმა კოკაი** დაამარცხა.

**24. ჭიდაობა:** გადაწყდა, რომ **რამაზ ნოზაძე** და **ბადრი ხასაია** კიევში ოპერაციას გაიკეთებენ.

**24. რაგბი:** ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველომ რუსეთს 37:0 მოუგო.

**26–27. ფეხბურთი:** გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის III ტურის მატჩები.

**26. ძიუდო:** რიგაში საჩვენებელ ტურში **ირაკლი ცირეკიძემ** და **ზაზა კედელაშვილმა** მოიგეს.

**27. ძიუდო:** მსოფლიოს სუპერთასზე **ზვიად ხანჯალიაშვილმა** გაიმარჯვა, ვერცხლი **ლევან წიკლაურმა** და ბრინჯაო **გრიგოლ შინჯიკაშვილმა** მოიპოვეს.

**28. სუმო:** სექტემბრის ბაშო **კოკაიმ** და **ტოჩინოშინმა** დადებითი ბალანსით დაასრულეს.

**28. რაგბი:** ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალში საქართველომ რუმინეთთან წააგო 28:31.

**29. ჩოგბურთი:** WTA-ს ტურნიში პირველად ითამაშა **სოფიო შაფათავამ** და გაიმარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# შაფათავა რადვანსკას წინააღმდეგ

## ქართველი დიდი სლემის ტურნირებს უმიზნებს



სოფიო შაფათავა ტაშკენტში

**ტაშკენტში**, WTA-ს ტურნირზე 19 წლის სოფიო შაფათავას (277) პირველი წარმატების შესახებ გუშინ გამცნეთ – ქართველმა პირველად კარიერაში ასეთი დონის ტურნირის ძირითად ბადეში ითამაშა და მერვედფინალშიც გავიდა. გუშინ უნდა გარკვეულიყო მისი მომავალი მეტოქე. 17 წლის ამომავალი ვარსკვლავი პოლონეთიდან ურსულა რადვანსკა (128) მე-7 ნომრად განთესილ მასპინძელს, აკგულ ამანმურადოვას (78) ხვდებოდა. რადვანსკამ შეძლო გამარჯვება ორ სეტში – 7:6, 6:3. მაშ ასე, დღეს ტაშკენტის საჩოგბურთო ცენტრის მესამე კორტზე ქართველი პოლონელს დაუპირისპირდება, გამარჯვების შემთხვევაში შაფათავა 30 სარეიტინგო ქულას დაიბევებს, რაც დაახლოებით 80 ადგილით წასწევს მას რეიტინგში წინ.

შაფათავამ გუშინ წყვილთა თანრიგში ითამაშა, სოფიო ქსენია პალკინას (ყირგიზეთი) შეუწყვილდა და სწორედ ამიტომაც დამარცხდა – წყვილთა მატჩამდე ერთი საათით ადრე პალკინამ ტურნირის სენსაცია მოახდინა, როცა მეორე ნომრად განთესილი ოლგა გოვორცოვა დაამარცხა. ბუნებრივია, ყირგიზს წყვილებში თამაშის თავი არ ჰქონდა. შაფათავამ და პალკინამ ულაპარაკოდ წააგეს ნინა ბრატჩიკოვასთან (რუსეთი) და კატრინ ფოირლესთან (გერმანია) -3:6, 2:6.

გუშინ ტურნირის ოფიციალურმა საიტმა ჩვენებურთან მცირე ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელიც ერთეულთა მატჩში კინი ლაისნეს დამარცხების შემდეგაა ჩაწერილი:

- ძალიან გახარებული ვარ, ეს ხომ ჩემი პირველი მატჩი იყო WTA-ს ტურზე. ჩემი მეტოქეც დებიუტანტი იყო, თუმცა მე უფრო გამიმართლდა.

**- ეს თქვენი საუკეთესო მიღწევაა?**

- რა თქმა უნდა.

**- ტაშკენტში პირველად ხართ?**

- დიახ, თუმცა მაქვს ნათამაშები ნამანგანის საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია.

**- როგორი გრძნობაა ასეთი დონის ტურნირზე თამაში?**

- ძალიან გახარებული ვარ, მაგრამ როდესაც ვთამაშობ, არ ვასხვავებ, რა საპრიზო ფონდისაა ტურნირი, ბოლომდე ვცდილობ ჩემი ჩოგბურთი ვაჩვენო.

**- როგორ განვითარდა მოვლენები მატჩში?**

- თავიდან ორივე ბევრ შეცდომას ვუშვებდით, შემდეგ თავი ხელში ავიყვანე და შედეგსაც სასურველს მივაღწიე.

**- საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ხართ?**

- არა, ჩემ წინ ორი ქართველია რეიტინგში. ორასეულში შეღწევას მეც ვაპირებ, იანვარში ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბადეში უნდა მოვხვდე.

**- თქვენ თავისუფლად საუბრობთ რუსულად..**

- გასაკვირიც არაფერია, დედაჩემი სანახევროდ რუსი და სანახევროდ უკრაინელია.

**- სამშობლოში ვარჯიშობთ?**

- მეტწილად კი. ორი მწვრთნელი მეხმარება. იმდენად კმაყოფილი ვარ მათი საქმიანობით, რომ მწვრთნელების შეცვლას არ ვაპირებ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ტატიშვილი წინ წაიწევს

## ბასილაშვილმა წააგო, მაგრამ იმედი დაგვიტოვა

ამერიკის ქალაქ ტრუაში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (188) ითამაშებს. ძირითადი ბადის პირველ წრეში ანას მეტოქე მე-7 ნომრად განთესილი უკრაინელი **ტატიანა ლუჟანსკაა** (177), რომელსაც ქართველი აქამდე არასოდეს შეხვედრია. ანა შარშან ამ დროს უქმობდა. ასე რომ, თუნდაც ერთი ეტაპის დაძლევა მას რეიტინგში წინსვლის საშუალებას მისცემს. ტატიშვილი ამერიკელ **მედისონ ბრენგლთან** (257) ერთად წყვილთა თანრიგში მე-4 ნომრად განთესეს. პირველ წრეში მათი მეტოქეები იქნებიან კანადელი **გაბრიელა დაბროვსკი** და ბრიტანელი **მარგო კარტერი**.

ამ ტურნირში 21 წლის **სოფიო მელიქიშვილმაც** სცადა ბედი, თუმცა ჩვენებურმა ძირითად ბადეში ვერ გააღწია. მართალია, სოფიომ პირველ წრეში დაამარცხა ამერიკელი **მორენ დიასი** (619) – 6:2, 6:4, მაგრამ მეორეში მე-5 ნომრად განთესილ ხორვატ **მირიანა ლუჩიჩთან** (463) დამარცხდა – 1:6, 3:6.

ესპანურ ლეს ფრანკეს დელ ვალესში (10 ათასი დოლარი) **სოფიო ქვაცაბაია** ძირითად ბადეშია, პირველ წრეში ის ესპანელ **მირეია რეკანსეს-პორტას** ეთამაშება. ბულგარეთში სანდანსკის ტურნირში (10 ათასი დოლარი) მონაწილეობდა **ანა ჯიქია**. რომელმაც პირველ საკვალიფიკაციო წრეში მე-9 ნომრად განთესილი ბულგარელი **ლიანა ტოდოროვა** დაამარცხა – 6:2, 6:3. მაგრამ მეორე წრეში ჩვენებურმა მე-5 ნომრად განთესილ რუს **ნადეჟდა გორბაჩკოვასთან** წააგო – 6:7, 6:4, 5:7.



ნიკოლოზ ბასილაშვილი

16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იმედისმომცემი ჩოგბურთელია – მართალია, მან ამერიკულ ლაგუნა ნიგუელში ვერ შეძლო 15-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გასვლა, მაგრამ საკვალიფიკაციოში სამი ეტაპი გაიარა და მხოლოდ ფინალში დამარცხდა. ჩვენებურმა დაამარცხა ამერიკელები **რიდლი სეგუსო** – 7:6, 6:1 და **ალექს სანდლინგი** – 6:4, 6:4, შემდეგ მოუგო მე-5 ნომრად განთესილ ლიბანელ **ბასამ ბეიდასს** – 6:3, 6:2. სამწუხაროდ, ფინალურ წრეში ბასილაშვილი მე-10 ნომრად განთესილ 21 წლის ამერიკელ **დენის ჟივკოვიჩთან** დამარცხდა – 3:6, 2:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი



# ახლა მსოფლიო ჩემპიონობის ჯერია...

**მერი არაბიძე** საჭადრაკო სამყაროში გამოჩენისთანავე გახდა განსაკუთრებული ყურადღების ღირსი - თანატოლებში ყველაფერს იგებდა და არც ბევრად უფროსებთან ჭიდილში ირცხვენდა თავს. მის კარიერაში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის რამდენიმე ტიტულია, პრიზიორიც ყოფილა არაერთხელ. ცხადია, ამ წარმატებებს ასაკობრივ ჯგუფებში მიაღწია თორემ მკითხველმა კარგად იცის, რომ ლამის სამუდამოდ დაგულებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ქალთა შორის, 17 წელია დავკარგეთ და ჯერაც ვერ დაგვიბრუნებია. არაბიძეს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ ქალთა შორისაც გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი, თუმცა იქამდე რომ დიდი გზაა გასავლელი, თავადაც კარგად უწყის. არაბიძე დღეს ჩვენი რესპონდენტია. მასთან გასაუბრების სურვილი კი მისსავე წარმატებამ დაბადა - რამდენიმე დღის წინ მონტენეგროს ქალაქ ნოვი სადში დასრულებულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე 14-წლამდელ გოგონებში ყველას აჯობა და მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი.

**- მერი, გილოცავ ჩემპიონობას. რთული იყო გამარჯვება? შორიდან ისე ჩანდა, რომ იოლად გაასწარი მეტოქეებს...**

- დიდი მადლობა მოლოცვისათვის. იოლად ნამდვილად არ მომიგია - ძალიან ძლიერი ტურნირი იყო და ყველა მეტოქესთან მაქსიმალურად უნდა დახარჯულიყავი. ამის რამდენიმე მაგალითი მქონდა: პირველ ტურში არცთუ ძლიერ მეტოქეს უფლება მივეცი, რომ ხარისხის შეწირვის ხარჯზე საკმაოდ საინტერესო შეტევა განეხორციელებინა. ერთი შეხედვით, თითქოს გამოკვეთილად შანსები არ ჩანდა და ალბათ ზედმიწევნით ზუსტი სვლები იყო საჭირო მეტოქის მხრიდან, რათა გაემარჯვა. საბედნიეროდ, შევძელი და დავიცავი პოზიცია, ბოლოს გავიმარჯვე კიდეც. ყველაზე რთული შეხვედრა კი ებრაელ გოგონასთან - მარსელ ეფრეემსკისთან მქონდა მეექვსე ტურში. მარსელი თორმეტწლამდელთა შორის გასული წლის მსოფლიოს ჩემპიონია. შავებით ვიყავი და დებიუტში მცირე უპირატესობა მივილე, მაგრამ შემდეგ გავაფუჭე და ობიექტურად წაგებული მქონდა პარტია. ერთადერთი შანსი ისლა დამრჩენოდა, რომ ცაიტნოტში მეჯობნა მოწინააღმდეგისთვის. ასეც მოხდა: მარსელი შეცდა, ხოლო მე კარგად გამოვიყენე ბოძებული შანსი.

ამ პარტიის შემდეგ დავრწმუნდი საბოლოოდ, რომ ჩემპიონობა შემეძლო; უფრო თავდაჯერებული გავხდი და დარჩენილ ტურებში მსგავსი შეცდომები აღარ დამიშვია.

**- შენი წარმატება პირველი არ არის და არც „ლელოსთან“ საუბარია სადებიუტო. თუკი კარიერის მონაგარს გადავხედავთ, საინტერესო სურათი იხატება - ტიტულებს ყოველ მეორე წელს იხვეჭ: 2004, 2006 და ახლა-2008-ში გაიმარჯვე. რაშია საქმე - კენტი რიცხვები არ გხიბლავს?**

- (იცინის) ცხადია, კენტსა და ლუწს არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, მაგრამ ასე კი გამოდის. მიზეზს ნამდვილად ვერ დაგისახელებთ.

**- ასაკის მიუხედავად, საკმაოდ გამოცდილი ხარ და ჭადრაკსაც ალბათ უკვე სხვაგვარად, სხვა კუთხით უყურებ, ვიდრე ადრეულ წლებში; ფაქტია, რომ ოსტატობაც აიმაღლე. ამიტომ საინტერესოა, რა შეიცვალა შენს თამაშში და რის გაუმჯობესებას უნდა მიაქციო ყურადღება?**

- წლების მატებასთან ერთად საჭადრაკო მსოფლმხედველობა მართლაც შემეცვალა - თუკი ადრე ღია დებიუტებს ვანიჭებდი უპირატესობას, სადაც შეტევის და კომბინაციების მეტი შანსებია, ამჯერად ნახევრად ღიაზე გადავედი და ვცდილობ, პოზიციურად ვიბრძოლო. თუ კარგ პოზიციას მივიღებ, შემდეგ შეტევას წინ აღარაფერი დაუდგება. საერთოდ, ძალიან მიყვარს შეწირვები და კომბინაციური თამაში. შესაძლოა არაკორექტული შეწირვაც კი გავრისკო, ანუ ბოლომდე არ მქონდეს დათვლილი ვარიანტი, მაგრამ ცდუნების გაძლება მიჭირს. ოსტატობის დახვეწა კი ბევრ კომპონენტში მჭირდება, - ჯერაც უამრავი რამ დამრჩა სასწავლი...

**- თანამედროვე ჭადრაკი, დამეთანხმები, რომ ძალიან გაახალგაზრდავდა, - გოგონებშიც კი შეინიშნება ეს ტენდენცია და მრავალია ისეთი, რომელიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის. აგერ, ორი კვირის წინ დასრულებულ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე შენმა თანატოლმა-თოთხმეტი წლის იფან ჰოუმ ლამის ტიტული მოიპოვა და მხოლოდ ფინალური მატჩი დათმო რუს ალექსანდრა კოსტენიუკთან. ნიჭი და ტიტულები არც შენ გაკლია და ხომ არ აპირებ უფრო მაღალ დონეზე თამაშს, ანუ მაინტერესებს - გააგრძელებ ასაკობრივ ჩემპიონატებში ასპარეზობას?**

- გეთანხმებით, რომ ჭადრაკი გაახალგაზრდავდა, მაგრამ უმაღლეს დონეზე რომ ითამაშოთ, ძალიან ბევრი თანხაა საჭირო. ბევრს ვინ ჩივის, მცირედიც კი არა გვაქვს ქართველებს და ამიტომაც ვერ დავდივართ საერთაშორისო ტურნირებზე. მე რომ ასაკობრივებში არ ვითამაშო, პრაქტიკა საერთოდ აღარ მექნება და წარმატებაზე ფიქრსაც უნდა გამოვემშვიდობო.

**- სათამაშო პრაქტიკის უქონლობა დიდი პრობლემაა, მაგრამ ჩვენებურები თურქეთსა და სხვა მახლობელ ქვეყნებში სიარულს მაინც ახერხებენ... შენ რატომღაც ვერასდროს გხედავ ხოლმე მათ შორის.**

- მეზობელ ქვეყნებში წასვლა ძალიან ძვირი რომ არ ჯდება, კი ვიცი, მაგრამ მე მაგის საშუალებაც არა მაქვს. იცით, რომ სამტრედიაში ვცხოვრობ და რაიონის ხელმძღვანელობამ დახმარების ნაცვლად სტიპენდიაც კი მომიხსნა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, ძირითადად თბილისში წამოსასვლელ თანხასაც არ მაძლევდნენ. ჩემს მშობლებსაც არა აქვთ ფინანსური შესაძლებლობა, რომ საჭიროებისამებრ უზრუნველყონ ჩემი წვრთნა და მგზავრობა. ასეთი უყურადღებობის გამო მივიღე გადაწყვეტილება, ქუთაისში გადავსულიყავი და ამ ქალაქის სახელით მეასპარეზა ყველგან. მართალია, დღემდე სამტრედიაში ვცხოვრობ, მაგრამ კვირაში ოთხჯერ ჩავდივარ ქუთაისში და ბატონ ალეკო არსენიძესთან ვმეცადინეობ. ჩემი მწვრთნელის მადლიერი ვარ; ასევე იმერეთის ჭადრაკის ფედერაციას ვუხდი მადლობას; ბატონ გია გიორგაძესაც, რომელიც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამდე იმერეთის ფედერაციას ხელმძღვანელობდა. მათი ძალისხმევით მოხერხდა ქუთაისის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელთა დაინტერესება და ამ ზაფხულს ორ საერთაშორისო ტურნირზე - არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, დუბაიში და უკრაინის ქალაქ ილიჩევსკში გავემგზავრე. შედეგიც უმალ მოვიდა - ილიჩევსკში ძალიან ძლიერ ტურნირში ვითამაშე: 12 მოჭადრაკე ერთმანეთს წრიულად შევებრძოლეთ. ჩემ გარდა კიდევ ორი ქალი იყო, დანარჩენი ვაჟები და ყველა საერთაშორისო ოსტატი გახლდათ; ორიც დიდოსტატი ბრძანდებოდა. მე თერთმეტი შესაძლებელიდან 5,5 ქულა დავაგროვე, რაც ქალთა საერთაშორისო ნორმის ტოლფასი იყო, ანუ პირველი ბალი მოვიპოვე და იმედი მაქვს, რომ მეორესაც და მესამესაც მალე შევასრულებ. ჩემგან დიდი მადლობა ეკუთვნის ქუთაისში მდებარე სამედიცინო კლინიკა „ელჯის“ ხელმძღვანელ ზაზა ლომინაძეს. მან ყოველთვიური სტიპენდია დამინიშნა 100 დოლარის ოდენობით.

**- ვინაიდან დამხმარეები გამოგიჩნდნენ, იმედია, მომავალში ტურნირებში თამაშის პრობლემა აღარ შეგექმნება, თუმცა უმაღლეს დონეზე მოსამზადებლად ბევრად მეტი შრომა და ხარჯია საჭირო, ვიდრე ამ ეტაპზე; აუცილებელია უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელებთან მუშაობა და ასე - სამტრედია-ქუთაისის გზაზე სიარული არ გაგიჭირდება? ხომ არ ფიქრობთ შენ და შენი კეთილისმსურველები, რომ ან ქუთაისში გამოხვიდე საცხოვრებლად, ანაც - თბილისში, სადაც ბევრად მეტი საშუალებაა ოსტატობის ამაღლებისთვის...**

- ამ საკითხზე გვიფიქრია, მაგრამ არც ქუთაისში გვაქვს საცხოვრებელი ბინა და არც თბილისში. დედაქალაქში როცა ჩამოვდივართ, ბინას ვქირაობთ. როგორც გითხარით, ჩემს მშობლებს ფინანსური შესაძლებლობები არა აქვთ, რომ ბინა შევიძინოთ. თუ ისეთი დამხმარე გამოჩნდება, ვინც ამ პრობლემას მოგვიგვარებს, მაშინ, ცხადია, სამტრედიას დავტოვებთ.

**- სკოლაში სწავლის საქმე როგორ არის?**

- სამწუხაროდ, სკოლაში სიარულს ვერ ვახერხებ, მაგრამ აუცილებელ განათლებას კი ვიღებ; კერძო მასწავლებელთან ინგლისურ ენაშიც ვემზადები. ჩემი არჩევანი ჭადრაკია და ამ სფეროს პროფესიულად ვუდგები, მაგრამ სხვა სპეციალობაც რომ უნდა ჰქონდეს ადამიანს, კარგად მესმის. ვისარგებლებ შემთხვევით და ჩემი სკოლის დირექტორს მანანა გედენიძეს ხელშეწყობისთვის მადლობას მოვახსენებ.

**- სულ მალე ვიეტნამში მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატი იწყება. თუ შენი წარმატებების ქრონოლოგიას კიდევ ერთხელ გადავხედავთ, მსოფლიოს ჩემპიონიც უნდა გახდე...**

- ვიეტნამში სწორედ რომ გამარჯვებისთვის მივდივარ და იმედი მაქვს, რომ ტრადიციას არ დავარღვევ და ევროპის ჩემპიონის ტიტულს მსოფლიოს ჩემპიონობასაც შევუწყვილებ.

**- წარმატებას გისურვებ!**

- დიდი მადლობა.

კრივი

# ხურციძემ ტიტული დაიტოვა

**პროფესიონალმა** მოკრივემ, **ავთანდილ ხურციძემ** კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) ვერსიით საკონტინენტთაშორისო ქამარი შეინარჩუნა. ქამრის მოცილე გამოცდილი მოკრივე, არგენტინელი **ვალენტინ ანტონიო ოჩოა** იყო. 12-რაუნდიანი შეხვედრა კიევში გაიმართა, ქართველმა სპორტსმენმა ქულებით გაიმარჯვა. 24 წლის ავთანდილ ხურციძე პროფესიულ რინგზე მეოცედ ავიდა და მე-17 გამარჯვება მოიპოვა (2 ფრე, 1 მარცხი). ქართველი საშუალოწონოსანი მსოფლიო ერთიან რეიტინგში 35-ე ადგილზეა თავის წონაში.

კიევის სპორტის სასახლეში იმავე საღამოს სხვა ორთაბრძოლებიც გაიმართა. ერთ-ერთში 29 წლის **დავით მაკარაძემ** 6-რაუნდიანი მატჩი მოუგო **რახიმ მინგალეევს**. **ანდრეი რუდენკოსა** და **ვლადიმერ ჭანტურიას** ორთაბრძოლა კი არ შედგა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

## რუბიოს ოპერაცია სჭირდება?

პეკინის ოლიმპიური თამაშების მთავარი აღმოჩენა, ესპანეთის ნაკრების მცველი **რიკი რუბიო** სეზონის სტარტს გამოტოვებს. „ხუვენტუდის" ვუნდერკინდს ხელი აქვს ტრავმირებული და თუ ექიმებს ქირურგიული ჩარევა დასჭირდათ, ამ შემთხვევაში მკურნალობა ორ-სამ თვეს გაგრძელდება.

რუბიომ დაზიანება ოლიმპიადის დროს მიიღო, მაგრამ სექტემბერში გაირკვა, რომ ტრავმა იმაზე გაცილებით სერიოზული ყოფილა, ვიდრე ექიმებს თავიდან ეგონათ.

## დეტროიტმა ეკერი დაიმატა

„დეტროიტ პისტონზმა" კონტრაქტი გააფორმა მცველ **ალექს ეკერთან**. „დეტროიტმა" ეს კალათბურთელი 2005 წლის დრაფტში ბოლო, მე-60 ნომრად აიყვანა. 2005-06 წლების სეზონში ეკერმა მიჩიგანურ კლუბში ხუთი მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 1.8 ქულა დააგროვა.

ამის შემდეგ მცველი ევროპაში გადაბარგდა, სადაც ჯერ „ოლიმპიაკოსში", შემდეგ კი „ბარსელონაში" ითამაშა. შარშანდელ ევროლიგაზე ეკერის სტატისტიკა საშუალოდ 5.5 ქულასა და 1.9 მოხსნას შეადგენდა.

## მაიამი გენერალურმა მენეჯერმა დატოვა

„მაიამი ჰიტის" გენერალური მენეჯერის პოსტი დატოვა **რენდი პფანდმა**. მან გუნდში 13 წელი იმუშავა და მისი წარმატებული მოღვაწეობის შედეგია ის, რომ „მაიამიმ" 2005-06 წლების სეზონში, თავისი არსებობის ისტორიაში ჩემპიონის პირველი ტიტული მოიპოვა.

ახლა გენერალური მენეჯერის თანამდებობას კლუბის პრეზიდენტი **პატ რაილი** შეითავსებს. ლეგენდარული მწვრთნელი სელექციის სამუშაოებით იქნება დაკავებული, მომავალი დრაფტისთვის მოემზადება და აგრეთვე კლუბის სახელფასო ბიუჯეტს გააკონტროლებს.

## ბარსელონა ცენტრს ეძებს

ახალი სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ესპანეთის „ბარსელონა" ცენტრალური თავდამსხმელის **დანიელ სანტიაგოს** (32 წლის, 216 სმ) დამატებას ცდილობს.

ესპანეთის სუპერთასზე გამართულმა მატჩებმა აჩვენა, რომ კატალონელებს მაღალი კლასის უკანა ხაზი ჰყავთ, მაგრამ ფარქვეშ ძალა და სიმაღლე აკლიათ. სწორედ ამიტომაც, „ბარსას" ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს ხელში ჩაიგდოს პუერტორიკოელი ცენტრი, რომელმაც „უნიკახა" დატოვა და თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს.

თავის დროზე სანტიაგოს NBA-შიც უთამაშია. კერძოდ, 122 მატჩი ჩაატარა „მილუოკისა" და „ფინიქსის" შემადგენლობაში. შარშანდელ სეზონში ევროლიგაზე მან 17 მატჩი გამართა და „უნიკახას" 9.0 ქულითა და 4.2 მოხსნით დაეხმარა.

## კასელი ბოსტონში დარჩა

NBA-ის ჩემპიონმა „ბოსტონ სელტიქსმა" გამოაცხადა, რომ ვეტერანი მცველი **სემ კასელი** მომავალ სეზონშიც ამ გუნდის რიგებში ითამაშებს. კასელმა ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, თუმცა ხელშეკრულების დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

კასელს ლიგაში 15 სეზონი აქვს გატარებული და შარშან კარიერაში ჩემპიონის მესამე ტიტული მოიპოვა. გასულ სეზონში ვეტერანი საშუალოდ 7.6 ქულასა და 2.1 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

ჰოკეი

## დაბრუნება ხუთი წლის შემდეგ

ჰოკეის ეროვნული ლიგის ცნობილი ცენტრფორვარდი **კლოდ ლემიე** ხუთწლიანი პაუზის შემდეგ დიდ სპორტს უბრუნდება. 43 წლის ჰოკეისტი ბოლო 10 კვირაა ინტენსიურად ვარჯიშობს „ფინიქს კოიოტზის" ჰოკეისტებთან ერთად.

*„სავარაუდოდ, ამ გადაწყვეტილების შემდეგ ბევრი გიჟად მომნათლავს. მაგრამ ადამიანი ერთხელ ცხოვრობს და როცა გონებაში რაიმე სურვილი გაუჩნდება, აუცილებლად უნდა სცადოს მისი ასრულება,* - განაცხადა ლემიემ. - *აქ ფულში არ არის საქმე. რამდენიმემილიონიან კონტრაქტს არავინ გამიფორმებს და ასეთი თანხა არც მჭირდება. ის გუნდი, რომელიც შანსს მომცემს, ნაგებული ნამდვილად არ დარჩება".*

სტენლის თასის ოთხგზის მფლობელმა ლიგაში თავისი ბოლო სეზონი (2002-03) „დალასის" შემადგენლობაში გაატარა. იმ წელს მან 68 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 20 ქულა დააგროვა.

ფორმულა 1

## როსბერგი ჰაიდფელდის ნაცვლად?

მიუხედავად იმისა, რომ „უილიამსის" პირველმა პილოტმა, გერმანელმა **ნიკო როსბერგმა** არაერთხელ განაცხადა - 2009 წლისთვის გუნდის შეცვლას არ ვაპირებო, ევროპული პრესა აქტიურად მიმოიხილავს ახალგაზრდა პილოტის „BMW-ზაუბერში" გადასვლის შესაძლებლობას.

შვეიცარიული გამოცემა Blick დარწმუნებულია, რომ ამ სეზონის შემდეგ, „BMW-ზაუბერსა" და „უილიამსს" შორის გერმანელი პილოტების გაცვლა მოხდება. „უილიამსში" გადავა **ნიკ ჰაიდფელდი**, ხოლო მის ადგილს **ნიკო როსბერგი** დაიკავებს.

შეგახსენებთ, რომ გასულ უიქენდზე გამართულ სინგაპურის გრანპრიზე ნიკომ შესანიშნავი შედეგი აჩვენა - ის **ფერნანდო ალონსოს** შემდეგ მეორე მივიდა ფინიშთან.

## ვებერი პირობითად დასაჯეს

ლეგენდარული გერმანელი ავტომრბოლის **მიხაელ შუმახერის** მენეჯერმა **ვილი ვებერმა** გერმანიის სასამართლოსგან ერთწლიანი პირობითი სასჯელი მიიღო და 720 ათასი ევროთი დაჯარიმდა.

ვილი ვებერი თაღლითობაში სცნეს დამნაშავედ. კერძოდ, შუმის მენეჯერმა 2001 წელს უკანონოდ მიითვისა გაკოტრებული კომპანია Pole Position Marketing-ის ქონება.

კრივი

## პიტერი ლუისის ფავორიტია

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონი **ლენოქს ლუისი** დარწმუნებულია, რომ WBC-ის ვერსიით საუკეთესო მოკრივე, ნიგერიელი **სამუელ პიტერი** 11 ნოემბერს, ბერლინის რინგზე აუცილებლად დაამარცხებს ამავე ვერსიით საპატიო მსოფლიოს ჩემპიონს, უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოს**.

უფრო მეტიც, ბრიტანელი მოკრივე აცხადებს, რომ პიტერი მეტოქეს ხორცის მასად აქცევს. ლუისმა, რომელმაც უფროსი კლიჩკო 2003 წელს დაამარცხა, პიტერს რამდენიმე რჩევაც მისცა, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს უკრაინელ მოკრივეს.

ჩოგბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯოკოვიჩი გაყალბებულ წილისყრაზე ალაპარაკდა

### არგენტინის ნაკრები ნადალსა და კომპანიას კორდობაში დაუხვდება



მსოფლიოს მესამე ჩოგნის **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მამა **სრდან ჯოკოვიჩი** თვლის, რომ დევისის თასის 2009 წლის გათამაშების წილისყრა გაყალბებული იყო.

წილისყრის თანახმად, სერბეთის ნაკრებს მეტოქედ ესპანეთი ერგო, თანაც მატჩი მადრიდში გაიმართება. ბუნებრივია, ესპანელები მოწინააღმდეგეს თიხნარის კორტს დაახვედრებენ და შესაბამისად, სერბებს წარმატების მიღწევის მინიმალური შანსი ექნებათ. ეს მერვედფინალი გაისად 6-8 მარტს გაიმართება.

*„თიხნარზე ესპანეთის დამარცხების შანსი დაახლოებით 2 პროცენტს უდრის",* - განაცხადა უფროსმა ჯოკოვიჩმა. მისი აზრით, სერბეთისთვის ასეთი სავალალო წილისყრის მიზეზი ქვეყნის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **სლობოდან ჟივოინოვიჩია**.

*„იმის ნაცვლად, რომ მადრიდში წილისყრას დასწრებოდა და ქვეყნის ინტერესები დაეცვა, პრეზიდენტი გაურკვეველი მიმართულებით იყო წასული",* - აღნიშნა სრდან ჯოკოვიჩმა.

საუკეთესო სერბი ჩოგბურთელის მამამ ჟურნალისტებს შეახსენა, რომ 2008 წელს, სერბეთის ნაკრებს ასევე რთული მეტოქე შეხვდა. თებერვალში სერბებმა მოსკოვში მინიმალური ანგარიშით წააგეს რუსეთის ნაკრებთან და ქვედა ლიგაში გავარდნენ.

*„რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითობის ბრალი არ არის. ჯერ რუსეთი, ახლა ესპანეთი... უბრალოდ არავის უნდა სერბეთის გამარჯვების ხილვა. მარტო ნოვაკი კი ესპანეთის ნაკრებს თიხნარზე ვერ დაამარცხებს",* - განაცხადა უფროსმა ჯოკოვიჩმა.

სრდანს მიაჩნია, რომ სერბულ ჩოგბურთს სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება. *„სერბეთმა ისევე უნდა გაუწიოს მსოფლიოში თავის ინტერესებს ლობირება, როგორც ამას ჩვენი გუნდი ნოვაკის მიმართ აკეთებს. სანამ მხარდაჭერის ჯგუფს შევქმნიდით, ჩოგბურთის სამყაროში ღარიბი აფრიკელი ბავშვივით გვეპყრობოდნენ",* - ამ სიტყვებით დაასრულა კომენტარი „ჯოკერის" მამამ.

■ ■ ■

ამასობაში გაირკვა, რომ დევისის თასის წლევანდელი გათამაშების ფინალი არგენტინის ქალაქ კორდობაში გაიმართება. ადგილობრივი ნაკრები „ორფეოს" დახურულ დარბაზში უმასპინძლებს ესპანეთს.

მაგრამ მასპინძელ მხარეს ერთი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. იმისთვის, რომ არენა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდეს, ტრიბუნების გაზრდა იქნება საჭირო. დღეისთვის „ორფეოს" 9 ათასი მაყურებლის მასპინძლობა შეუძლია, ასეთი რანგის მატჩისთვის კი, ტრიბუნები მინიმუმ 12 ათას კაცს უნდა იტევდეს.

ფინალის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ ამ პრობლემას აუცილებლად მოაგვარებენ.

ფორმულა 1

# ფერარი დანებებას არ აპირებს



„გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში „ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** კომენტარი გაუკეთა სინგაპურის გრანპრის.

*„ფერარისთვის" ეს ცუდი დღე იყო, მაგრამ წინ კიდევ სამი რბოლაა და მჯერა ჩვენი ბიჭების. მათ არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ ბოლო მომენტამდე შეუძლიათ ბრძოლა. ამაში გასულ წელს, ბრაზილიის ეტაპისას დავრწმუნდი და კვლავინდებურად მჯერა, რომ „ფერარის" ამ ჩემპიონატის მოგება შეუძლია.*

*ჩვენ საუკეთესო მანქანა გვყავს. ბრწყინვალედ ასპარეზობს ფელიპე მასა. იმედი მაქვს, ბოლო სამ რბოლაში კიმი რაიკონენიც გამოავლენს საჩემპიონო კლასს. ასე რომ, უკანასკნელ სამ ეტაპზე გუნდისგან სამ დუბლს ველი. არის თუ არა რაიკონენი მეორე პილოტი? ეს ცხადია. მან კარგად იცის, რომ ამჟერად გუნდზე და მასას საბოლოო წარმატებაზე უნდა იმუშაოს.*

*ფანტასტიკური მექანიკოსები გვყავს, მაგრამ ისინიც ადამიანები არიან და ხანდახან შეცდომებს უშვებენ. მართალია, ზოგჯერ ასეთი შეცდომების ფასი ძალიან ძვირია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მხარში უნდა ამოვუდგეთ იმასაც, ვინც სინგაპურში პიტ-ლეინზე დროზე ადრე ჩართო მწვანე შუქი. ამ სიტუაციაში ნებისმიერი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო.*

*როცა ისეთ ტრასაზე გამოდიხარ, რომელიც საცირკო ნომრებისთვის უფრო გამოდგება, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. სინგაპურის გრანპრის ბედი უსაფრთხოების მანქანამ გადაწყვიტა და მიმაჩნია, რომ ეს შეურაცხმყოფელია ფორმულა 1-სთვის. უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში ამ სიტუაციას სხვა გუნდების ხელმძღვანელებთან ერთად განვიხილავ",* - ამბობს ლუკა დე მონტეძემოლო.

■ ■ ■

„ფერარის" შტაბბინიდან გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იტალიური გუნდის ხელმძღვანელობა არ გაათავისუფლებს იმ მექანიკოსს, რომლის შეცდომამაც ბოქსებში **ფელიპე მასა** შეაყოფნა და ბრაზილიელი პილოტი ქულების გარეშე დატოვა. შეგახსენებთ, რომ სინგაპურში მექანიკოსმა ადრე დააჭირა თითი სპეციალური სისტემის ღილაკს, რომელმაც მასას პიტსტოპის დასრულება აუწყა. შედეგად, ბრაზილიელი პილოტი ტრასაზე საწვავის მილთან ერთად გაიჭრა.

ჭადრაკი

# კოსმოსი vs აშშ



სამშაბათს უნიკალური საჭადრაკო პარტია დაიწყო. ამერიკელი ასტრონავტი **გრეგ ჩამიტოფი**, რომელიც ივნისიდან იმყოფება საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე, ამერიკის მოსახლეობას ეთამაშება.

შეხვედრის რეგლამენტის თანახმად, ჩამიტოფის მიერ შესრულებული სვლები ჰიუსტონში NASA-ს ბაზაზე გადაიცემა და ამერიკის ჭადრაკის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება. ამერიკელი მოსახლეობის მხრიდან მოდერატორებად ვაშინგტონის შტატის ქალაქ ბელევუს ერთ-ერთი სკოლის აღზრდილები გვევლინებიან.

ისინი ასტრონავტის ყოველ სვლაზე ოთხ შესაძლო პასუხს შეარჩევენ და ფედერაციის ვებგვერდის სტუმრებს ერთ-ერთი მათგანის არჩევის საშუალებას მისცემენ. ის ვარიანტი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, ამერიკელების საპასუხო სვლად ჩაითვლება.

ჩამიტოფი მოწინააღმდეგეს ჰპირდება, რომ თუ ძალიან არ იქნება გადატვირთული სამუშაოთი, თითო სვლას ყოველდღე გააკეთებს. თეთრებით ასტრონავტი თამაშობს და მისი პირველი სვლა იყო - d2-d4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური

## E ჯგუფი

### ოლბორგი-მანჩესტერი 0:3

**ოლბორგი:** ზაზა, ბოგელუნდი, ოლფერსი, ბოშამი (37. კაკა), პედერსენი, აუგუსტინუსენი, რისგაარდი, კურტი, იოჰანსონი, ენევოლდსენი, საგანოვსკი.

**მანჩესტერი:** ვან დერ საარი, და სილვა (66. ბრაუნი), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ო'ში, სქოულზი (16. გიგზი), კრისტიანო რონალდო, ნანი, რუნი (59. ტევესი), ბერბატოვი.

**გოლები:** 0:1 რუნი (22), 0:2 ბერბატოვი (55), 0:3 ბერბატოვი (79)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 12(1)-27(10); **კუთხური:** 4-10; **თამაშგარე:** 1-6; **ჯარიმა:** 11-11; **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**არბიტრი:** ბენკერენსა (პორტუგალია)

**მაყურებელი:** 10 346

### ვილიარეალი-სელტიკი 1:0

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ანხელი, გონსალო როდრიგესი, გოდინი, კაპდევილა, მარკოს სენა, ერუგენი, სანტი კასორლა (90. კანი), პირესი (83. ბრუნო სორიანო), ლორენტე, როსი (76. იბაგასა).

**სელტიკი:** ბორუცი, მ. უილსონი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, ს. ბრაუნი, ჰარტლი (82. ვენეგოორ ოფ ჰესელინკი), ნაკამურა (74. რობსონი), მელონი (72. მაკდონალდი), მაკგიდი, სამარასი.

**გოლი:** 1:0 მარკოს სენა (67)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 24(8)-8(3); **კუთხური:** 9-3; **თამაშგარე:** 3-0; **ჯარიმა:** 7-18; **ბურთის ფლობა:** 69%-31%

**არბიტრი:** კასაი (უნგრეთი)

**მაყურებელი:** 21 515

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 2. ვილიარეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. სელტიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 4. ოლბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |

## F ჯგუფი

### ბაიერნი-ლიონი 1:1

**ბაიერნი:** რენსინგი, ოდო, ბრენო, ლუისო, ლამი, შვაინშტაიგერი, დემიკელისი, ზე რობერტო, რიბერი (82. ბოროვსკი), ტონი, კლოზე.

**ლიონი:** ლორისი, რევეიერი, ბოდმერი, კრისი, მენსა, ჟუნინიო (87. ბუმსონგი), ტულალანი, მაკუნი, გოვუ (36. ედერსონი), ფრედი (75. მუნიე), ბენზემა.

**გოლები:** 0:1 დემიკელისი (25-საკ. კარში), 1:1 ზე რობერტო (52)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 15(6)-11(3); **კუთხური:** 9-1; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 16-32; **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**არბიტრი:** ვასარასი (საბერძნეთი)

**მაყურებელი:** 64 000

### ფიორენტინა-სტიაუა 0:0

**ფიორენტინა:** ფრეი, იორგენსენი (46. ძაური), გამბერინი, დაინელი, ვარგასი, სანტანა, ალმირონი (74. კუჟმანოვიჩი), ფელიპე მელო, მონტოლივო (81. პაცინი), ჯილარდინო, მუტუ.

**სტიაუა:** საპატა, ოგარარუ, გოიანი, გიონეა, მარინი, ნიკოლიტა, ლოვინი, რადოი, სემედუ (90+2. კაპეტანოსი), დაირო მორენო (86. ტიაგო გომეში), სტანჩუ (77. ჟეკელი).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 16(3)-7(2); **კუთხური:** 4-1; **თამაშგარე:** 6-2; **ჯარიმა:** 20-24; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**არბიტრი:** რაილი (ინგლისი)

**მაყურებელი:** 25 838

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. ფიორენტინა | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 3. ლიონი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 4. სტიაუა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

## G ჯგუფი

### არსენალი-პორტუ 4:0

**არსენალი:** ალმუნია, სანია, გალასი, ტურე, კლიში, უოლკოტი (72. ველა), ფაბრეგასი, დენილსონი, ნასრი (65. ედუე), ადებაიორი, ვან პერსი (65. ბენდტნერი).

**პორტუ:** ჰელსტონი, საპუნარუ, ბრუნო ალვეში, როლანდო, ნელსონ ბენიტესი, ფერნანდო (46. ლუჩო გონსალესი), ტომაშ კოშტა, რაულ მეირელესი (64. ჰულკი), გუარენი, როდრიგესი (79. კანდეიაში), ლისანდრო ლოპესი.

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (31), 2:0 ადებაიორი (40), 3:0 ვან პერსი (48), 4:0 ადებაიორი (71-პენ)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 24(10)-13(4); **კუთხური:** 15-4; **თამაშგარე:** 7-1; **ჯარიმა:** 9-7; **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**არბიტრი:** ფანდელი (გერმანია)

**მაყურებელი:** 59 623

### ფენერბაჰჩე-დინამო 0:0

**ფენერბაჰჩე:** ვოლქან დემირელი, გიონული, ლუგანო, ედუ დრასენა, რობერტო კარლოსი, ემრე ბელოზოგლუ (85. უგურ ბორალი), სელჩუქ საჰინი, მალდონადო, ქაზიმ ქაზიმი, რრიჩარდსი, ალექსი (77. ბურაქ ილმაზი), გუისა.

**დინამო:** ბოგუში, ბეტაო, დიახატე, მიხალიკი, ელ-კადური (62. ნესმაჩნი), ვუკოევიჩი, გიოანე, რ. ერიომენკო, ალიევი (89. ასათიანი), ნინკოვიჩი, ბანგურა (46. შატცკიხი).

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 13(3)-8(0); **კუთხური:** 6-4; **თამაშგარე:** 4-5; **ჯარიმა:** 16-19; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**არბიტრი:** აინვალერი (ავსტრია)

**მაყურებელი:** 35 112

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 2. პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 3. დინამო | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. ფენერბაჰჩე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |



იუვენტუსი იაკუინტამ გადაარჩინა

## H ჯგუფი

### ზენიტი-რეალი 1:2

**ზენიტი:** მალაფეევი, ანიუკოვი, პუიგრენიე, ჰუბოკანი (73. დომინგესი), შირლი, ტიმოშჩუკი, დენისოვი, ზირიანოვი, დანი, არშავინი, პოგრებნიაკი (73. თექე).

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, პეპე, ჰაინცე, დიარა, დე ლა რედი, ვან დერ ვაარტი (63. ხავი გარსია), იგუაინი (89. სავიოლა), რობენი (82. დრენტე), ვან ნისტელროი.

**გოლები:** 0:1 ჰუბოკანი (4-საკ. კარში), 1:1 დანი (25), 1:2 ვან ნისტელროი (31)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 18(5)-17(5); **კუთხური:** 14-7; **თამაშგარე:** 4-2; **ჯარიმა:** 14-10; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**არბიტრი:** ბუსაკა (შვეიცარია)

**მაყურებელი:** 21 000

### ბატე-იუვენტუსი 2:2

**ბატე:** ვერემკო, კაზანცევი, რუევსკი, სოსნოვსკი, იურევიჩი, ვოლოდკო, ლიხტაროვიჩი (79. სივაკოვი), ნეხაიჩიკი (87. მირჩევი), კრივეცი, სტასევიჩი, როდიონოვი (90+2. პეჩა).

**იუვენტუსი:** მანინგერი, გრიგერა, ლეგროტალიე (18. კნეჟევიჩი), კიელინი, დე სელიე, ჯოვინკო, სისოკო, კამორანეზი (46. მარკიზიო), ნედვედი, დელ პიერო, იაკუინტა (81. ამაური).

**გოლები:** 1:0 კრივეცი (17), 2:0 სტასევიჩი (23), 2:1 იაკუინტა (29), 2:2 იაკუინტა (45+3)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 12(3)-22(6); **კუთხური:** 5-2; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 27-19; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**არბიტრი:** ატკინსონი (ინგლისი)

**მაყურებელი:** 31 400

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. ბატე | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 4. ზენიტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

# TV სპორტი

## 1 ოქტომბერი. ოთხშაბათი

### რუსთავი 2

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ანორთოსისი-პანათინაიკოსი (LIVE).
01:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. შახტარი-ბარსელონა.

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

07:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ფენერბაჰჩე-დინამო.
09:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:45 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:05 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. არსენალი-პორტუ.
14:05 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ფიორენტინა-სტიაუა.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბაიერნი-ლიონი.
18:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ოლბორგი-მანჩესტერ იუნ.
20:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ზენიტი-რეალი.
22:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
00:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბორდო-რომა.
02:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ინტერი-ვერდერი.
04:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:55 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. შახტარი-ბარსელონა.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუტი-ტოტენჰემი.
08:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვილიარეალი-სელტიკი.
11:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ფიორენტინა-სტიაუა.
13:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ოლბორგი-მანჩესტერ იუნ.
15:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
15:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. არსენალი-პორტუ.
17:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბატე-იუვენტუსი.
19:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ზენიტი-რეალი.
21:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის წინ (LIVE).
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ინტერი-ვერდერი (LIVE).
02:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლივერპული-ეინდჰოვენი.
04:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-ვოლფსბურგი.
06:15 სპორტდოსიე. ავსტრალიური ფეხბურთი.
06:40 სპორტის სამყარო.

### EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 სნუკერი. მასტერსი. III დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩები.
15:00 სნუკერი. მასტერსი. II დღე. შანხაი. ჩინეთი.
15:45 სნუკერი. მასტერსი. III დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:30 მულტისპორტი.
22:40 ცხენოსნობა. სუპერლიგა.
23:40 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:45 გოლფი. PGA-ის ტური.
00:45 გოლფი. ევროპის ტური.
01:15 გოლფ-კლუბი.
01:20 აფროსნობა. საფრანგეთი.
01:35 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:40 მულტისპორტი.
01:45 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
02:15 სნუკერი. მასტერსი. III დღე. შანხაი. ჩინეთი.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
12:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXVII ტური. კაშივა-კავასაკი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-იაპონია. ბრაზილია.
14:30 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
15:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:30 სპიდვეი. შვედეთის გრანპრი.
17:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ირანი. ბრაზილია (LIVE).
19:00 ახალი ამბები.
19:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-ჩინეთი. ბრაზილია (LIVE).
21:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი.
21:30 ახალი ამბები.
21:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
22:00 ახალი ამბები.
22:30 კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი.
01:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
05:00 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### უეფას თასი

| I რაუნდი. II მატჩები | |
|---|---|
| ცსკა (მ)-სლავენი | 1:0 (2:1) |
| სტ. პატსი-ჰერტა | 0:0 (0:2) |

### ამხანაგური მატჩი

| | |
|---|---|
| ს. აფრიკა-მალავი | 3:0 |

### ინგლისი

| ჩემპიონატი | |
|---|---|
| ბრისტოლი-პლიმუტი | 2:2 |
| ბარნსლი-უოტფორდი | 3:2 |
| კარდიფი-ქოვენთრი | 2:1 |
| დერბი-ბირმინგემი | 1:1 |
| დონკასტერი-შეფილდი | 0:2 |
| იფსვიჩი-ბარნსლი | 3:0 |
| პრესტონი-სუონსი | 0:2 |
| უენსდი-ნოტინგემი | 1:0 |
| საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 2:0 |
| ვულვზი-რედინგი | 0:3 |
| კრ. პალასი-ჩარლტონი | 1:0 |
| ქუინზ პარკი-ბლეკპული | 1:1 |
| **I ლიგა** | |
| კოლჩესტერი-ლესტერი | 0:1 |

### იტალიის თასი

| | |
|---|---|
| სალერნიტანა-სასუოლო | 2:2, პენ. 6:5 |

### შვედეთი

| II დივიზიონი | |
|---|---|
| მალმიო-ჰელსინგბორგი | 1:2 |
| ბრომაპიოკარნა-იონჩოპინგი | 5:0 |
| ჰაკენი-ატვიდაბერგი | 4:3 |
| ვასბი-სირიუსი | 1:2 |

### ირლანდია

| | |
|---|---|
| დროგება-კობ რამბლერსი | 0:0 |

### ირლანდიის თასი

| | |
|---|---|
| დერი-კორკი | 0:0, პენ. 5:3 |

### უელსი

| | |
|---|---|
| პრესტატინი-ნიუი | 3:3 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ტორპედო | 4:3 |
| ტრაქტორი-ს. იულიაევი | 1:1 |
| ლოკომოტივი-ვიტიაზი | 4:1 |
| სევერსტალი-ცსკა | 3:1 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| კიოლნი-ჰანოვერი | 4:0 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| კეჟმაროკი-ჟილინა | 4:6 |
| ნიტრა-პოპრადი | 3:1 |
| სკალიცა-მიკულაში | 1:3 |
| ზვოლენი-კოშიცე | 2:2 |
| ტრენჩინი-ბისტრიცა | 1:2 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| ესეტი-იუვიასკიულა | 1:7 |
| ჰიფკ-კაიპა | 3:3 |
| იოკერიტი-პელიკანსი | 5:2 |
| ლუკო-საიპა | 3:1 |
| ტაპარა-კიეკო | 3:1 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-პარდუბიცე | 2:1 |
| ზლინი-ბუდეიოვიცე | 1:1 |
| ლიტვინოვი-ზნოიმო | 4:2 |
| ბოლესლავი-სპარტა | 1:2 |
| პლზენი-კლადნო | 3:2 |
| კარლოვი ვარი-ტრშინეცი | 2:2 |
| ლიბერეცი-სლავია | 2:2 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ციურიხი-ბილი | 3:3 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| იურგორდენი-აიკ | 2:2 |
| სიოდერტალე-ფერიესტადი | 0:2 |
| ტიმრა-ლულეა | 3:1 |

## ჩოგბურთი

### ATP. მეცი

| | |
|---|---|
| ალმაგრო-შვანკი | 6:7, 2:6 |
| გრანოლერსი-ჟიკელი | 3:6, 2:6 |
| ტურსუნოვი-ასკიონე | 6:7, 6:2, 6:4 |
| კალერი-ჟუანი | 7:5, 1:6, 2:6 |
| მატიო-დევილდერი | 6:0, 6:2 |
| ლუბიჩიჩი-ჰანესკუ | 1:6, 6:7 |
| კარლოვიჩი-ბალდატისი | 4:6, 6:1, 6:0 |
| სიმონი-მაუ | 4:6, 6:3, 1:6 |

### ATP. ტოკიო

| | |
|---|---|
| კარანუშიჩი-კონდო | 6:2, 6:2 |
| ოდესნიკი-კიმი | 6:4, 6:3 |
| სირიანი-ი. იტო | 6:3, 6:2 |
| უდომჩოკე-ლევინე | 6:4, 1:6, 0:6 |
| იანგი-სლანარი | 6:4, 3:6, 2:6 |
| ნიშიკორი-კენდრიკი | 7:6, 6:7, 6:2 |
| გრეგორცი-ლუ | 4:6, 6:7 |
| პეტცშნერი-შტადლერი | 2:6, 4:6 |
| ნავარო-ჩიპოლა | 6:7, 6:7 |
| მამიტი-ევანსი | 3:6, 7:5, 6:4 |
| რეინოლდსი-ტ. იტო | 6:3, 6:1 |
| სელა-ფაუ | 7:5, 6:1 |

### WTA. შტუტგარტი

| | |
|---|---|
| ბარტოლი-ციბულკოვა | 6:3, 6:1 |
| კორნე-პირონკოვა | 2:6, 1:6 |
| აზარენკა-შავაი | 7:5, 6:3 |
| პენეტა-ა. ბონდარენკო | 6:4, 2:6, 1:6 |
| ა. რადვანსკა-ს. ზახვალოვა | 6:3, 6:2 |
| ვ. უილიამსი-გრონეფელდი | 6:1, 6:2 |
| პეტროვა-ბ. ზახვალოვა | 6:2, 6:2 |

### WTA. ტაშკენტი

| | |
|---|---|
| კრისტეა-ძეჰალევიჩი | 7:6, 7:5 |
| კლეპაჩი-ლაგერდ ბრიტუ | 0:6, 7:6, 2:6 |
| მანასიევა-აბდურაიმოვა | 6:1, 6:1 |
| გოვორცოვა-პალკინა | 6:7, 6:4, 5:7 |
| ლაპუშჩენკოვა-ბრატჩიკოვა | 4:6, 6:1, 7:6 |
| ოლარუ-ო'ბრაიენი | 6:2, 6:1 |
| უ. რადვანსკა-ამანმურადოვა | 7:6, 6:3 |
| სავჩუკი-ნიკულესკუ | 7:5, 1:0 უარი |
| პანოვა-ოგოროდოვა | 6:4, 6:0 |
| პენგი-როდიონოვა | 6:4, 6:1 |
| ვოსკობოევა-პუტჩეკი | 6:1, 6:1 |
| იაკიმოვა-შვედოვა | 1:6, 0:6 |

### WTA. ტოკიო

| | |
|---|---|
| ბენეშოვა-ვიკმაიერი | 4:6, 6:3, 3:6 |
| პინი-სუარეს ნავარო | 6:0, 7:5 |
| პეერი-დატე | 6:3, 6:1 |
| ჩეტკოვსკა-ფუჯივარა | 6:7, 4:6 |
| კრეიბასი-ვოზნიაკი | 5:7, 7:6, 3:6 |
| პარმენტიე-ფუდა | 5:7, 2:6 |
| სანტანჯელო-გაიდოშოვა | 4:6, 6:7 |
| ვოზნიაჩკი-დულკო | 4:6, 6:0, 6:3 |
| ტანასუგარნი-დუბუა | 6:1, 6:3 |
| ჟენგი-პალვიუჩენკოვა | 2:6, 2:6 |
| კირილენკო-ზაკოპალოვა | 6:4, 2:6, 5:7 |

# დიადი ლოთის ოდისეა

**ბოლო დღეებში პოლ გასკოინის პიროვნება კვლავ აქტუალური გახდა. ლეგენდარული გაზა ისევ სვამს, ფსიქიატრიული კლინიკების ხშირი სტუმარია, პოლიციის განყოფილებაშიც ამოჰყო თავი. ბოლოს კი მისი სიკვდილის ცნობაც გავრცელდა, მაგრამ ეს ინფორმაცია ინგლისის პოლიციამ არ დაადასტურა.**

**ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ ბრწყინვალე ფეხბურთელის კარიერა გავიხსენოთ და ის გზაც გავიხსენოთ, რომელიც ინგლისელმა მწვერვალიდან უფსკრულამდე გაიარა.**



**პოლ ჯონ გასკოინმა** საფეხბურთო კარიერა 1983 წელს, „ნიუკასლ იუნაიტედის" მეორე შემადგენლობაში დაიწყო. ინგლისის ჩემპიონატში პირველი მატჩი ორი წლის შემდეგ, „სენტ ჯეიმს პარკზე" „ქუინზ პარკ რეინჯერსის" წინააღმდეგ ჩაატარა... 1985-88 წლებში ლიგაში და თასზე 99 მატჩი ჩაატარა და 25 გოლი გაიტანა. სწორედ ეს შედეგი გახდა იმის საბაბი, რომ 1988 წლის 18 ივლისს, „ტოტენჰემ ჰოტსპურის" მაშინდელმა მწვრთნელმა **ტერი ვენეიბლზმა** „ნიუკასლს" გაზას სანაცვლოდ 2 მილიონი ფუნტი გადაუხადა. იმავე წლის 3 სექტემბერს პოლმა პირველად ითამაშა „ტოტენჰემის" შემადგენლობაში - ნიუკასლელი ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა.



პოლ გასკოინი ინგლისელი ფეხბურთელის (მაღალი, ათლეტური, მინდორზე და მის მიღმა ნამდვილი ჯენტლმენი) სტერეოტიპში არ ჯდებოდა. სიმაღლე -172 სმ, წონა - 75 კგ (ხანდახან მეტი). ასეთი მონაცემებით „მეორე სართულზე" ვერ ითამაშებ. კრიტიკოსები მას „მსუქან პინგვინს" უწოდებდნენ. გასკოინი ბრიტანული ფეხბურთის ყველა კანონს ეწინააღმდეგებოდა და მიუხედავად ამისა, მაინც საყოველთაო ყურადღებას იმსახურებდა. მას შეეძლო 40-მეტრიდან პარტნიორისთვის პირდაპირ ფეხზე დაესვა ბურთი. არავის შეეძლო ჯარიმიდან გოლის ისე გატანა, როგორც ამას ინგლისელი აკეთებდა. მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა ბურთთან ერთად 50 მეტრის გარბენა და გზად მეტოქის ნახევარი გუნდის მოტყუება. ამით ის ბრიტანული საფეხბურთო სკოლის მთავარ პრინციპს არღვევდა: „როცა მეტოქეს მოატყუებ და ბედს გამოცდი, ბურთი პარტნიორს გადააწოდე". დიდი გაბარიტების წყალობით, პოლი თითქმის ყველა ორთაბრძოლიდან გამარჯვებული გამოდიოდა - მეტოქეები მინდორზე ეცემოდნენ და რაც მთავარია, უმეტეს შემთხვევაში გასკოინი ამას წესის დარღვევის გარეშე აკეთებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ინგლისელის ჯადოქრობა სპორტის ამ სერიოზულ სახეობას ბავშვის გასართობად აქცევდა. სწორედ ამის გამო შეიყვარეს ის მთელ ბრიტანეთსა და მსოფლიოში.

მატჩის დროს გასკოინი ბობოქრობდა, ყვიროდა, ხელებს იქნევდა, მოწინააღმდეგეს პირდაპირ ეუბნებოდა ყველაფერს, რასაც მასზე და მის ოჯახზე ფიქრობდა. მას შეეძლო ენა გამოეყო მეტოქე გუნდის ფეხბურთელისთვის ან ტრუსი ჩაეხადა მისთვის. შეეძლო ყვითელი ბარათი ამოეცალა მსაჯის ჯიბიდან და მოწინააღმდეგისთვის ეჩვენებინა. მატჩები მისი მონაწილეობით ნამდვილ შოუს ემსგავსებოდა, ისეთივე სასაცილოს, როგორიც **ბენი ჰილის** სკეტჩები იყო. ამიტომაც მიიღო პოლმა მეტსახელი „გაზა", რომელიც მისი მეორე სახელი გახდა. *„გასკოინმა საფეხბურთო სტადიონი ნამდვილ გაზას სექტორად გადააქცია!"* - წამოიძახა ერთხელ BBC-ის საფეხბურთო კომენტატორმა. გულშემატკივრებმა ამ სიტყვას კიდევ ერთი ასო დაუმატეს.

## ნაკრების დაძახილი

1988 წლის 14 სექტემბერს პოლს დებიუტი ჰქონდა ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში. მან „უემბლიზე" ბოლო 5 წუთი ითამაშა დანიის ნაკრების წინააღმდეგ. ინგლისმა ის მატჩი 1:0 მოიგო. ბედის ირონიით, ნაკრების მაშინდელი მთავარი მწვრთნელი **ბობი რობსონი** იყო, რომელმაც „იფსვიჩში" მუშაობის პერიოდში, უარი თქვა 14 წლის გასკოინის აყვანაზე. ამჯერად კი ცნობილმა სპეციალისტმა საერთაშორისო არენაზე თავის გამოჩენის საშუალება მისცა გაზას. 1989 წლის 26 აპრილს პოლმა ნაკრებში პირველი გოლი გაიტანა. ამჯერადაც „უემბლიზე" შეცვლაზე შევიდა მინდორზე და ალბანეთთან 5:0 მოგებულ მატჩში გამოიჩინა თავი. ამხანაგურ და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრებში ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ, ბობი რობსონმა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და აქცენტი 23 წლის ნახევარმცველზე გააკეთა. იმ ფეხბურთელზე, რომელსაც თავად რობსონი „მოფერებით" ასე ეძახდა: daft as a brush - „ჩლუნგი, როგორც საცობი".

## იტალია 90

იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ინგლისის ნაკრებმა ბოლო 24 წლის განმავლობაში პირველად მოიპოვა ნახევარფინალის საგზური, გაზას გაბრწყინების ტურნირი აღმოჩნდა. პოლი ინგლისის ნაკრების ნახევარდაცვის ლიდერად მოგვევლინა.

ინგლისსა და ბელგიას შორის მერვედფინალში დამატებითი დროის ბოლო წუთი მიდიოდა. ტაბლოზე ნულები ეწერა და არცერთი გუნდი არ იყო წინააღმდეგი ბრძოლის ბედი პენალტების სერიით გადაეწყვიტა. და აი, აქ გაზამ მარტო დარჩენილი **დევიდ პლატი** შენიშნა, მთელ მოედანზე ულამაზესი და უზუსტესი პასი გააკეთა. ინგლისმა 1:0 მოიგო. შემდეგ იყო დაუვიწყარი მეოთხედფინალი კამერუნის ნაკრების წინააღმდეგ, რომელშიც დისპეტჩერმა ორი შესანიშნავი პასით მეკარესთან **გარი ლინეკერი** გაიყვანა. სწორედ ამ დუეტმა გადაარჩინა ინგლისი კოშმარული წაგებისგან. თანამემამულეებმა უკვე მაშინ დააფასეს სათანადოდ გასკოინის ნიჭი. მაგრამ გულწრფელად იმ დროს შეიყვარეს, როცა მსხვილი პლანით მისი ატირებული სახე იხილეს. გერმანიასთან ნახევარფინალში პოლმა ჯერ იმიტომ ღვარა ცრემლები, რომ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, შემდეგ კი პენალტების სერიით წაგება გამოიტირა.

## ისევ სახლში

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გასკოინმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. „ფრანს ფუტბოლის" ტრადიციული გამოკითხვის შედეგად „ტოტენჰემის" ნახევარმცველმა „ოქროს ბურთისთვის" ბრძოლაში მეოთხე ადგილი დაიკავა. მის ნიჭს **გრემ ტეილორიც** აღიარებდა, რომელმაც ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბობი რობსონი შეცვალა. *„ინგლისის ნაკრები გაზას გარეშე იგივეა რაც საუზმე შვრიის ფაფის გარეშე"*, - ამბობდა ტეილორი.

სპეციალისტები თვლიდნენ, რომ გასკოინი მინიმუმ ათი წელი ინგლისის ნაკრების ლიდერი უნდა ყოფილიყო. ქვეყანაში ნამდვილი „გაზამანია" დაიწყო. მსოფლიოს ჩემპიონატზე საბენეფისო გამოსვლის შემდეგ, პოლს უფლება არ ჰქონდა ცუდად ეთამაშა. მას რიგში ედგნენ სარეკლამო სააგენტოები, ის სტუმრად მივიდა Wogan-ში (ინგლისში პოპულარული ტელეპროგრამა) და პოპ-ვარსკვლავადაც კი მოგვევლინა. ჯგუფ Lyndasfarne-თან ერთად ძველი ჰიტის - Fog on the tyne-ის რემიქსის ჩაწერაში მიიღო მონაწილეობა. პრემიერლიგაში მისი ყველა თამაში დასამახსოვრებელი იყო. პრაქტიკულად მარტომ გაიყვანა „ტოტენჰემი" ლიგის თასის ფინალში. იმ სეზონის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი იყო „უემბლიზე" „არსენალის" წინააღმდეგ - ნახევარფინალი, სადაც პოლმა 27 მეტრიდან ფანტასტიკური გოლი გაიტანა და ერთიც გარი ლინეკერს გაატანინა.

## ტრიუმფი და ტკივილი

1991 წელს, „ნოტინგემთან" ლიგის თასის ფინალში გამარჯვებას მოწყურებულმა გაზამ **გარი პარკერს** გამეტებით ჩაარტყა ფეხი პირდაპირ მუხლში. იმ ფინალს **როჯერ მილფორდი** მსაჯობდა, რომელიც ყველას უყვარდა სამართლიანი გადაწყვეტილებებისა და იმ ადამიანური თვისებებისთვის, რომელსაც ის ყველაზე დაძაბულ მატჩებში იჩენდა ხოლმე. მილფორდმა აქაც გასაოცარი სირბილე გამოიჩინა და პოლს ყვითელი ბარათიც არ უჩვენა. როგორც შემდეგ გაირკვა, სჯობდა იმ მომენტში წითელი ბარათი ამოეღო. გაზა არ დაწყნარდა და ახლა **გარი ჩარლზის** მუხლს დაუმიზნა, მაგრამ თავად დაზარალდა და უმძიმესი ტრავმა მიიღო. პოლს მარჯვენა მუხლზე ჯვარედინი მყესები გაუწყდა და მიუხედავად იმისა, რომ „ტოტენჰემმა" იმ დღეს თასი მოიპოვა, მას თამაშის გმირებს შორის ნამდვილად ვერ მოიხსენიებდნენ. მატჩის დარჩენილ ნაწილს გაზამ საავადმყოფოში უყურა და მოგვიანებით აღიარა, რომ საკუთარი თავის მიმართ ზიზღის გრძნობა დაეუფლა, როცა მეორე დღეს მისი თანაგუნდელები თასთან ერთად ეწვივნენ სტუმრად.

*„ის ფინალი გასკოინის დღედ უნდა ქცეულიყო, მაგრამ სულელური ტრაგედია მოხდა, - იხსენებს „ტოტენჰემის" მაშინდელი მთავარი მწვრთნელი ტერი ვენეიბლზი. - ალბათ, მე დროულად უნდა დამეწყნარებინა გაზა. რამდენიმე კვირის წინ, პოლმა ნახევარფინალში ჯარიმიდან ფანტასტიკური გოლი გაუტანა „არსენალს". გაზას ძალიან უნდოდა „უემბლიზე" გასვლა და მსოფლიოსთვის თავისი ოსტატობის ჩვენება, მაგრამ როგორც ჩანს, გადაინვა. მისთვის ყველაფერი სავალალოდ დასრულდა".*

ამ საშინელმა და საბედისწერო ტრავმამ მთლიანად შეცვალა გასკოინის კარიერა და იქნებ, მთელი ცხოვრებაც.

**ვასო კუჭუხიძე**

*(გაგრძელება იქნება)*

